

აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურა ქართულ უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(მსგავსების დამდგენი პროგრამის ადაპტაცია და პლაგიატის აღქმა აკადემიური
პერსონალის მიერ)

გიგა ხოსიტაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების
დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიგა ხოსიტაშვილი



26.11.2024

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი შეისწავლის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატის აღმოჩენის, მისი პრევენციის მექანიზმებისა და სტრატეგიების გამოყენების თავისებურებებს და პლაგიატისადმი აკადემიური პერსონალის ზოგად დამოკიდებულებას. ამ ფართო კონტექსტში კვლევისათვის საინტერესოა შემდეგი საკითხები: ა) პლაგიატის აღმოჩენის და თავიდან არიდების ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა სტუდენტებთან მუშაობისას; ბ) პლაგიატისადმი ზოგადი დამოკიდებულება აკადემიური პერსონალის თვალთახედვით; გ) პლაგიატის დამდგენი ტექნოლოგიების გამოყენებასა და პლაგიატისადმი ზოგად დამოკიდებულებას შორის არსებული ურთიერთმიმართება. საკითხის შესწავლის ბევრი შესაძლო რაკურსიდან კვლევა აქცენტს აკეთებს პლაგიატზე, როგორც მორალურ დილემაზე და რესპონდენტების მოსაზრებებს სწორედ ამ ჭრილში განიხილავს.

კვლევის ფარგლებში მიგნებების სტრუქტურირებისთვის ორი თეორიული მოდელია გამოყენებული – ჰუპერისა და რიბერის (1995) ტექნოლოგიებით სწავლების მოდელი საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკის აღწერაში გვეხმარება, ხოლო მეორე – ბანდურას (1990) მორალური გამოთიშვის კონცეფცია – პლაგიატისადმი დამოკიდებულებების (კერძოდ, პლაგიატზე თვალის დახუჭვის) დასაბუთებათა კლასიფიკაციასა და ანალიზში.

კვლევაში გამოყენებულია შერეული დიზაინის ერთ-ერთი სახე, ე. წ. მიმდევრობითი აღმოჩენითი დიზაინი, სადაც რაოდენობრივი კომპონენტი წინ უძღვის თვისებრივს, თუმცა დამხმარე ფუნქციას ასრულებს თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების სტრატეგიის განსაზღვრისთვის. საკვლევი საკითხები საქართველოში ორი უნივერსიტეტის მაგალითზე არის შესწავლილი. ორივე უნივერსიტეტი წარმოადგენს მსგავს კონტექსტურ გარემოს – კვლევის პროდუქტიულობის შედარებით მაღალი მაჩვენებლით და პლაგიატთან ბრძოლის ფორმალური მექანიზმების გამოყენების შედარებით ხანგრძლივი გამოცდილებით.

სამიზნე უნივერსიტეტებში რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული პროფესორი აღნიშნავს, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად ხვდება პლაგიატის შემთხვევებს საუნივერსიტეტო სივრცეში. პლაგიატის პრობლემის სიმწვავის აღქმის თვალსაზრისით გარკვეული განსხვავებები ვლინდება აკადემიური მიმართულებებისა და სწავლების საფეხურის მიხედვით. აკადემიურ პერსონალში ასევე საკმაოდ მაღალია პლაგიატის გამოვლინებებისადმი ლოიალური დამოკიდებულება. რაოდენობრივ კომპონენტში ჩართული ყოველი მეხუთე გამოკითხული პროფესორი, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, პლაგიატის შემთხვევებს დასაშვებად მიიჩნევს. მიუხედავად ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამების გამოყენების ათწლიანი გამოცდილებისა, ამ ტექნოლოგიის პოტენციალის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით საუნივერსიტეტო სივრცეში ისევ მნიშვნელოვანი გამოწვევებია.

პლაგიატზე თვალის დახუჭვის არგუმენტირების ე. წ. მორალური გამოთიშვის (გადაწყვეტილებისაგან დისტანცირების) მექანიზმების ჭრილში ანალიზი მრავალ ზოგად ინსტიტუციურ გამოწვევაზე და ასევე ტექნოლოგიების დახვეწის საჭიროებებზე მიანიშნებს. კვლევის კიდევ ერთ საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის, რომ პლაგიატზე თვალის დახუჭვის გადაწყვეტილებისგან დისტანცირების მაჩვენებელი უარყოფითად არის დაკავშირებული ტექნოლოგიების ათვისების ხარისხთან - ის უფრო დაბალია იმ რესპონდენტებში, რომლებიც უფრო სრულყოფილად ფლობენ და სისტემურად იყენებენ ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენ ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. კვლევის ეს მიგნება პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებასა და მასთან ბრძოლის ტექნოლოგიების ინტეგრაციისკენ მიმართული ინტერვენციების შეთანხმებულად, პარალელურად განხორციელების აუცილებლობაზე და პლაგიატთან ბრძოლის პრობლემის სხვა თეორიული ჩარჩოების ჭრილში – უფრო კომპლექსურად და მრავალმხრივად – შესწავლის საჭიროებაზე მიანიშნებს.

სამიზნო სიტყვები: აკადემიური კეთილსინდისიერება; პლაგიატი; მორალური დილემა; უმაღლესი განათლება.

Abstract

This study examines the peculiarities of plagiarism detection and prevention mechanisms and strategies in Georgian higher education institutions. Within this broad context, three specific dimensions are of interest to the study: a) the practice of using technological tools for detecting and preventing plagiarism when working with students; b) the general attitudes towards plagiarism; and c) interconnection between the aspects of using technological tools and general attitudes towards plagiarism from the perspective of academic staff.

Among the many possible angles for studying the issue, the research emphasizes plagiarism as a moral dilemma and considers respondents' opinions within this framework.

The study employs two theoretical constructs, the first of which aids in describing the practice of combating plagiarism within the university setting (Hooper and Rieber's Teaching with Technology model (1995)), while the second assists in classifying and analyzing justifications for this practice (Bandura's concept of Moral Disengagement (1990)).

The research employs a mixed-methods approach known as sequential exploratory design, where the quantitative component precedes the qualitative one but serves a supportive role in determining the data collection and processing strategies within the qualitative component. The relationships outlined in the study's conceptual framework are examined using examples from two universities in Georgia. Both universities represent similar contextual environments—with relatively high levels of research productivity and longer experience with formal mechanisms for combating plagiarism.

According to the study's findings, nearly every second surveyed professor reports frequently or very frequently encountering plagiarism cases in the university setting. Perceptions of the severity of the plagiarism issue vary across academic fields and levels of study. Among academic staff, there is also a considerable tolerance toward manifestations of plagiarism. One in five surveyed professors considers plagiarism acceptable under certain circumstances. Despite a decade of experience using text-matching software, significant challenges remain within the university setting regarding the practical utilization of this technology.

The analysis of plagiarism through the mechanisms of so-called moral disengagement (distancing from decision-making) highlights various general institutional challenges, as well as the need for further refinement of the technologies themselves. Another interesting finding of the research is that the level of disengagement from the decision to turn a blind eye to plagiarism is negatively associated with the degree of technological proficiency – the disengagement is lower among respondents who more comprehensively master and systematically use tools for identifying textual similarities in the educational process.

This finding points to the necessity of implementing interventions aimed at changing attitudes toward plagiarism and integrating plagiarism prevention technologies in a coordinated and parallel manner. It also underscores the need to study the problem of plagiarism more comprehensively and multidimensionally through other theoretical frameworks.

Keywords: Academic Integrity; Plagiarism; Moral Dilemma; Higher Education

მადლობა

პირველ ყოვლისა, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ **თამარ ბრეგვაძეს**, რომელიც ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე მეხმარებოდა. მისი როგორც პროფესიული, ასევე ადამიანური მხარდაჭერის გარეშე ნაშრომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა.

მადლობა ეკუთვნის ჩემს რესპონდენტებს, რომლებიც დამთანხმდნენ და დამითმეს დრო. მათი მონაწილეობის გარეშე მოცემული კვლევა ვერ შედგებოდა.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის აკადემიურ პერსონალს სადოქტორო კოლოკვიუმების ფარგლებში მუდმივი უკუკავშირისთვის და შესაძლებლობისთვის, მემუშავა ჩემთვის საინტერესო საკითხზე.

მადლობა ეკუთვნის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომელმაც დაფინანსებისთვის შეარჩია ჩემი სადოქტორო კვლევა (გრანტის ნომერი: PHDF-22-1620).

მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებს და მეგობრებს – ზვიად ზალიკიანს, ეკა ჭყვიძელს, ელენე ჯიბლაძეს, მადონა გიორგაძეს და ნინო გოგიჩაძეს, სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დახმარებისა და გამხნეებისთვის.

დაბოლოს, მადლობას ვუხდი ოჯახის წევრებს – **მშობლებს, ძმას**, მთელი ამ დროის განმავლობაში მუდმივად გვერდში დგომისთვის.

სარჩევი

სარჩევი	viii
ცხრილების ჩამონათალი.....	x
დიაგრამების და სქემების ჩამონათვალი.....	xii
შესავალი	1
პრობლემის აღწერა.....	2
კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები	5
ლიტერატურის მიმოხილვა	9
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში	9
პლაგიატის კვლევის თანამედროვე კონტექსტი	14
ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამების გამოყენება	18
აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ	21
პლაგიატის კვლევა საქართველოში	23
ნაშრომის კონცეპტუალური მოდელი და ძირითადი კონსტრუქტები	28
კონცეპტუალური მოდელი.....	28
პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკა უნივერსიტეტში – ტექნოლოგიებით სწავლების მოდელი	30
პლაგიატთან დაკავშირებული ქცევის რაციონალიზაცია – მორალური გამოთიშვის თეორია	34
მეთოდოლოგია	37
კვლევის დიზაინი და მეთოდები	37
შერჩევის სტრატეგია და კვლევის მონაწილეები.....	41
კვლევის ინსტრუმენტების აღწერა.....	45
მონაცემთა შეგროვების პროცესი და მონაცემთა ანალიზი	47
კვლევის შეზღუდვები	52
კვლევის შედეგები.....	55
პლაგიატის შემთხვევები უნივერსიტეტში – ზოგადი დაკვირვება და პრობლემის სიმწვავის აღქმა	56

მსგავსების დამდგენი პროგრამის Turnitin გამოყენება	61
პლაგიატის მიმართ ზოგადი დამოკიდებულებები	69
რატომ ხუჭავს აკადემიური პერსონალი თვალს პლაგიატზე? – მორალური გამოთიშვის მექანიზმები	73
კოგნიტიური რეკონსტრუქცია – ქცევის წარმოჩენა პოზიტიურ ჭრილში	74
აგენტობის მინიმიზაცია	88
შედეგების უგულებელყოფა	107
ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება.....	114
კვლევის ძირითადი მიგნებები და მათი ინტერპრეტაცია.....	127
პლაგიატის პრევენცია ტექნოლოგიების გამოყენებით	129
აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ	134
მიმართებები პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებებსა და ტექნოლოგიების გამოყენებას შორის	139
დასკვნა და რეკომენდაციები.....	140
ბიბლიოგრაფია	147
დანართები.....	162
დანართი #1 თვისებრივი კომპონენტის პროტოკოლი	162
დანართი #2 რაოდენობრივი კომპონენტის კითხვარი.....	164
დანართი #3 შერჩეული უნივერსიტეტების მახასიათებლები.....	169

ცხრილების ჩამონათალი

ცხრილი 1. რაოდენობრივი კომპონენტის მონაწილეთა განაწილება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით	38
ცხრილი 2. თვისებრივი კომპონენტისთვის რესპონდენტთა განაწილება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით	40
ცხრილი 3. ტექნოლოგიების გამოყენების სკალა (პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA)): გაცნობის, გამოყენებისა და ინტეგრაციის ფაზა	44
ცხრილი 4. პლაგიატის სიხშირის აღქმა აკადემიური პერსონალის მიერ (ძირითადი მახასიათებლების მიხედვით).....	54
ცხრილი 5. ჩემს პრაქტიკაში პლაგიატი ხშირია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა რესპონდენტთა პასუხებზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	55
ცხრილი 6. რესპონდენტთა განაწილება ტექნოლოგიების გამოყენების სკალაზე.....	57
ცხრილი 7. სხვადასხვა ფაქტორის გავლენა ტექნოლოგიების ინტეგრაციის საფეხურზე მოხვედრის ალბათობაზე – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	59
ცხრილი 8. აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ (ძირითადი მახასიათებლების მიხედვით).....	63
ცხრილი 9. ჩემი აზრით, პლაგიატი დასაშვებია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა დამოკიდებულებაზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	64
ცხრილი 10. რესპონდენტების განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (კოგნიტიური რეკონსტრუქცია/მორალური გამართლება)...	70

ცხრილი 11. რესპონდენტების განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (კოგნიტიური რეკონსტრუქცია/ევფემისტური ნიშანი)	71
ცხრილი 12. კოგნიტიური რეკონსტრუქცია – ევფემისტური ნიშანი (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	73
ცხრილი 13. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (კოგნიტიური რეკონსტრუქცია/ხელსაყრელი შედარება)	76
ცხრილი 14. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (აგენტობის მინიმიზაცია/პასუხისმგებლობის გადატანა).....	80
ცხრილი 15. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (აგენტობის მინიმიზაცია/პასუხისმგებლობის დიფუზია)....	93
ცხრილი 16. აგენტობის მინიმიზაცია – პასუხისმგებლობის დიფუზია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	94
ცხრილი 17. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (შედეგების უგულვებელყოფა /დამახინჯება)	100
ცხრილი 18. შედეგების უგულვებელყოფა-დამახინჯება (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია	101
ცხრილი 19. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება/დეჰუმანიზაცია)	109

ცხრილი 20. ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება-დეჰუმანიზაცია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	110
ცხრილი 21. ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება – ბრალის ატრიბუცია.....	114
ცხრილი 22. ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება – ბრალის ატრიბუცია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია.....	115
ცხრილი 23. თვისებრივი კვლევის შედეგები ბანდურას მორალური გაუცხოების მექანიზმების ჭრილში.....	126

დიაგრამების და სქემების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილება დებულების მიხედვით (N=372)	94
დიაგრამა 2. რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილება დებულების მიხედვით.....	111
სქემა 1: ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო.....	30

შესავალი

აკადემიური კეთილსინდისიერება ფუნდამენტური პრინციპია ყველა იმ ორგანიზაციისთვის, რომელიც ცოდნის შექმნისა და გადაცემის ამოცანას ემსახურება. ინსტიტუციურ კონტექსტში (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისადმი ერთგულება აისახება უნივერსიტეტის ორგანიზაციულ კულტურაში, ისევე, როგორც ძირითად პროცესებში – სწავლასა და კვლევაში.

მოცემული ნაშრომი აკადემიური კეთილსინდისიერების ერთ-ერთ ასპექტს, პლაგიატთან ბრძოლის გამოცდილებას და პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებას შეისწავლის. თავის მხრივ, პლაგიატთან ბრძოლა საუნივერსიტეტო სივრცეში მრავალი განსხვავებული რაკურსით, ასევე ბევრი სხვადასხვა განზომილების ჭრილში შეიძლება დავინახოთ. ამ ნაშრომში კვლევის ფოკუსი რამდენიმე თვალსაზრისით არის დავიწროებული, კერძოდ: ა) ე. წ. მიზნობრივი ჯგუფების თვალსაზრისით; ბ) საკვლევი საკითხის განზომილებების კუთხით; გ) საკვლევი საკითხის განზომილების ინტერპრეტაციის რაკურსის თვალსაზრისით.

მიზნობრივი ჯგუფების კუთხით ნაშრომი წარმოაჩენს საუნივერსიტეტო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეჯგუფის, აკადემიური პერსონალის პერსპექტივას პლაგიატთან ბრძოლის შესახებ ორი მსხვილი, საჯარო, მულტიპროფილური უნივერსიტეტის კონტექსტში. ეს უნივერსიტეტები საქართველოს აკადემიურ სივრცეში პლაგიატთან ბრძოლის თვალსაზრისით შედარებით წარმატებულ მაგალითებად ითვლება (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში: *შერჩევის სტრატეგია და კვლევის მონაწილეები*). აკადემიური პერსონალი საკუთარ გამოცდილებასა და დამოკიდებულებას პლაგიატის საკითხზე სტუდენტებთან მუშაობის კონტექსტში გვიზიარებს.

საკვლევი საკითხის განზომილებების თვალსაზრისით, კვლევის ფოკუსს, ერთი მხრივ, წარმოადგენს პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკა (განსაკუთრებული აქცენტით პლაგიატის

დამდგენი ტენოლოგიების გამოყენებაზე ან მისი გამოყენებისგან თავის შეკავების მიზეზებზე), ხოლო, მეორე მხრივ, პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის ზოგადი დამოკიდებულებები (განსაკუთრებული აქცენტით პლაგიატზე „თვალის დახუჭვის“ ან მის მიმართ „რბილი“ დამოკიდებულებების გამოვლინებების რაციონალიზაციაზე).

პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის ზოგადი დამოკიდებულება, თავის მხრივ, წარმოჩენილია ე. წ. გადაწყვეტილებისგან დისტანცირების მექანიზმებზე ფოკუსით. ვინაიდან პლაგიატი აკადემიურ სივრცეში ნაკლებად მისაღებ ქცევას წარმოადგენს, რესპონდენტების თვითრეფლექსია მიმართულია იმ გარემოებებისა და არგუმენტების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც აღწერს პლაგიატთან ბრძოლის კონკრეტული ინსტრუმენტების არგამოყენების, პლაგიატზე „თვალის დახუჭვის“ ან მის მიმართ შედარებით „რბილი“ დამოკიდებულების გამოვლენის შემთხვევებს ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ პრაქტიკაში.

პრობლემის აღწერა

სტუდენტებს შორის პლაგიატი ერთ-ერთი მწვავე და ამავე დროს რთულად აღმოფხვრადი პრობლემაა მსოფლიოს მასშტაბით, აკადემიური სივრცის სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში (Biliae-Zulle et al. 2005; Batane 2010; Curtis and Tremayne 2021). პლაგიატის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის აკადემიურ ლიტერატურაში საუბარია აკადემიური წერის კომპეტენციების ნაკლებობაზე, დროის არაეფექტურ მართვაზე, სტრესულ გარემოზე, გაზრდილ კონკურენციასა და საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატის მართვის მექანიზმების არაეფექტურობაზე (Abbasi et al. 2021; Sadruddin 2021). მკვლევრები ასევე მიანიშნებენ, რომ ამ კონტექსტში მნიშვნელობას იძენს ტექნოლოგიური განვითარებაც, რის გამოც უფრო მარტივი გახდა სხვა ავტორის ტექსტების მითვისება.

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში პლაგიატის გახშირებული შემთხვევების პარალელურად შეიქმნა ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამები (Turnitin; Urkund; Grammarly; Unicheck; Plagscan და სხვ.), რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია

ტექსტების დადარება მსგავსების დადგენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსგავსი პროგრამები მრავლად არის, ყველა მათგანის მუშაობის პრინციპი მსგავსია – ნაშრომის ატვირთვის შემდეგ ტექსტის შედარება ხდება უკვე არსებულ ტექსტებთან და მათ შორის მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი ავტომატურად დაანგარიშდება. ეს ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ყველა ტიპის წერიტი აკადემიური ნაშრომის სხვა ტექსტებთან მსგავსების დადგენისთვის.

დღეისათვის ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამები ძალიან პოპულარულია აკადემიურ დაწესებულებებში, როგორც პლაგიატთან ბრძოლის ინსტრუმენტი. პირდაპირი ფუნქციური დანიშნულების გარდა (ტექსტებს შორის მსგავსების აღმოჩენა და შესაძლო პლაგიატზე მინიშნება), ამ ტიპის პროგრამებს უფრო ფართო საგანმანათლებლო და საინფორმაციო დატვირთვაც აქვთ – მათი გამოყენება შესაძლებელია პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის და აკადემიური წერის კომპეტენციების განვითარებისთვის.

აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ასოციაციის (ENAI) რეკომენდაციებში საუბარია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის კუთხით, სხვა მექანიზმებთან ერთად, მიზანშეწონილია მსგავსი ტექნოლოგიური მხარდაჭერის არსებობაც (Tauginienė et al. 2019), თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სიღრმისეული ცოდნა, თუ როგორ გამოიყენოს ეს პროგრამები და როგორ გააკეთოს მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია (Weber-Wulff et al. 2013).

მსოფლიოში ამ ტიპის პროგრამებისადმი მზარდი ინტერესის თვალსაზრისით გამონაკლისს არც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ. საქართველოს უნივერსიტეტების უმეტესობას დღეისათვის შემენილი აქვს ლიცენზია მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის გამოყენებისთვის. სულ მცირე ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს ინსტრუმენტი უნივერსიტეტებში პლაგიატთან ბრძოლის ფორმალური მექანიზმების ნუსხაში ცენტრალურ ადგილს იკავებს, თუმცა ცოტა რამ არის ცნობილი ამ პროგრამების საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონტექსტში გამოყენების ეფექტურობის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, როგორც ყველა სხვა ტექნოლოგიური ცვლილებისადმი, ამ კონკრეტული ინსტრუმენტისადმი აკადემიური პერსონალის მიმდებლობა ხშირად არაერთგვაროვანია და სასწავლო/კვლევით პროცესებში მისი დანერგვაც განსხვავებული წარმატებით მიმდინარეობს (Haymes 2008). მრავალი კვლევა სწავლობს კონკრეტულ მიზეზებს, რომლებიც, შესაძლოა, ბარიერებს წარმოქმნიდეს ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისას. მკვლევრები საუბრობენ ცვლილებებისადმი რეზისტენტულობაზე, რომელსაც, თავის მხრივ, შესაძლოა განაპირობებდეს კომპეტენციების დეფიციტი, საბოლოო მიზნის ბუნდოვანება, ორგანიზაციული მხარდაჭერის მექანიზმების არაეფექტურობა და პირადი დამოკიდებულება პლაგიატის საკითხის, ისევე როგორც თავად პროგრამის ეფექტიანობის მიმართ (Johnson et al. 2012).

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში არსებობდეს შესაბამისი მხარდამჭერი სისტემები (როგორც კომპეტენციების ამაღლების, ისე ინფორმაციის გავრცელების კუთხით) და ეს მხარდაჭერის სისტემები მაქსიმალურად მორგებული იყოს აკადემიური პერსონალის სპეციფიკურ საჭიროებებს (Polly, Martin, and Guilbaud 2021); მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის ზოგადი დამოკიდებულება როგორც უშუალოდ ცვლილების სპეციფიკის მიმართ (ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება პლაგიატთან ბრძოლაში), ისე ზოგადად პლაგიატის საკითხის მიმართ (პრობლემის მნიშვნელოვნების და სიმწვავის აღქმა). კვლევები ადასტურებს, რომ ხშირად პლაგიატის სხვადასხვა ფორმასთან მიმართებით აკადემიური პერსონალის შეხედულებაც განსხვავდება. ამ წარმოდგენებს, თავის მხრივ, განაპირობებს როგორც აკადემიური პერსონალის პირადი მახასიათებლები, ისე ორგანიზაციული და კონტექსტური ფაქტორები (Bennett, Behrendt, and Boothby 2011).

საქართველოში პლაგიატის კვლევის დიდი გამოცდილება არ არსებობს. დაახლოებით ათი წლის წინ ამ მიმართულებით განხორციელებულ პირველ ფართომასშტაბიან რაოდენობრივ კვლევაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტების უმრავლესობაში პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო მსგავსების

დამდგენი პროგრამების გამოყენებას ეპიზოდური ხასიათი და ვიწრო დანიშნულება აქვს (არ ხდება პროგრამის შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება სასწავლო მიზნებით) (ბაქრამე et al. 2016, 55). 2018 წელს ცვლილება შევიდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) ავტორიზაციის სტანდარტში. ახალი სტანდარტის მიხედვით (2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების დაცვა), უსდ-ს მოეთხოვება, ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა კეთილსინდისიერებასთან მიმართებით, ასევე პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების გამართული მექანიზმები და შესაბამისი სერვისები (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, 2017). ამ მნიშვნელოვანი კონტექსტური ცვლილებების შემდეგ განხორციელებული მოკვლევის შედეგები მიუთითებს, რომ უნივერსიტეტების ნაწილში მოხერხდა ევროპული გამოცდილების გაზიარება პლაგიატის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, თუმცა გამოწვევად რჩება აკადემიურ პერსონალში პლაგიატის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება (Glendinning et al. 2021; Chokoraia 2023).

კვლევის მიზანი და საკვლევ კითხვები

მოცემული ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის დანერგვის გამოწვევები ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ამ გამოწვევებთან კომბინაციაში განიხილოს აკადემიური პერსონალის ზოგადი დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს პროგრამის გამოყენებასა და პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებას შორის შესაძლო კავშირების აღმოჩენა და ამ საკითხთან დაკავშირებული დისკუსიის გაღრმავება.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- როგორ გამოიყენებენ ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენ პროგრამას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებთან მუშაობისას?

- როგორია აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ?
- როგორია კავშირი ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენებასა და პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებას შორის?

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრება უმაღლესი განათლების საფეხურზე საქართველოში მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია ისტორიულ, სოციალურ და სისტემურ ფაქტორებთან (ბაქრაძე et al. 2016). საბჭოთა საგანმანათლებლო მოდელის მემკვიდრეობამ, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ფაქტების მექანიკურ დამახსოვრებასა და დისციპლინაზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი კვლევისა და ეთიკური სტანდარტების გაგებაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების თანახმად, არსებითია ორგანიზაციული ცვლილების მართვის კვლევების კონტექსტუალიზაცია, რადგან ორგანიზაციული ცვლილებები ყოველთვის ხორციელდება კულტურული, სტრუქტურული და გარემო ფაქტორების უნიკალურ ეკოსისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ცვლილებებისთვის მზადყოფნასა და მიდგომებზე (Armenakis and Bedeian 1999). კონტექსტის უგულვებელყოფას მივყავართ გამარტივებულ მოდელებამდე, რომლებშიც ვერ ხდება რეალური გამოწვევების ასახვა (Langley et al. 2013). შესაბამისად, მოცემული კვლევა პლაგიატთან ბრძოლის გამოწვევებს ორი კონკრეტული უნივერსიტეტის ე. წ. „კრიტიკული ქეისების“ მაგალითზე განიხილავს. ეს უნივერსიტეტები კვლევისათვის შეირჩა იმგვარად, რომ მათ კონტექსტში გამოვლენილი გამოწვევები აქტუალური ყოფილიყო საქართველოში მოქმედი სხვა უნივერსიტეტებისთვისაც.

თეორიული თვალსაზრისით კვლევა წარმოადგენს პირველ მცდელობას, საქართველოში პლაგიატთან ბრძოლის კონკრეტული ტექნოლოგიის დანერგვის პროცესის შესაფასებლად გამოიყენოს ტექნოლოგიების დანერგვის პროცესის აღმწერი ზოგადი მოდელი (Hooper and Rieber 1995). მოცემული თეორია და შესაბამისი საზომი ინსტრუმენტი საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთისგან განვასხვაოთ ტექნოლოგიის გამოყენების საფეხურები და თანმდევი გამოწვევები.

აკადემიური პერსონალის პლაგიატისადმი დამოკიდებულებების აღსაწერად აგრეთვე გამოყენებულია ალბერტ ბანდურას მორალური გამოთიშვის მოდელი (Bandura 1990) – მორალურად არაკომფორტული ქცევის რაციონალიზაციის ზოგადი ტიპოლოგია, რომელსაც აკადემიური პერსონალის მიერ „პლაგიატზე თვალის დახუჭვის“ გასამართლებლად არსებული არგუმენტაციის დასაჯგუფებლად ვიყენებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე თეორიული კონსტრუქტი და თანმდევი საზომები ხშირად გამოიყენება ორგანიზაციული ცვლილების კვლევებში, მოცემული კვლევა წარმოადგენს პირველ მცდელობას, როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ კონკრეტული კონტექსტის – პლაგიატთან ბრძოლის სპეციფიკის შესასწავლად.

აკადემიური პერსონალის პლაგიატისადმი დამოკიდებულებების წარმოჩენის ეს სპეციფიკური რაკურსი შესაძლებლობას გვაძლევს, პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმების გამოწვევები ამ მექანიზმების „მომხმარებელთა“ არგუმენტების ჭრილში დავინახოთ. თუმცა კვლევის ფარგლებში ვლინდება უფრო ფართო ორგანიზაციული თუ სისტემური გამოწვევები, რომლებიც საკითხის სხვა თეორიული მოდელების ჭრილში ანალიზის საჭიროებაზე მიუთითებს.

პრაქტიკული თვალსაზრისით მოცემული კვლევის შედეგები საინტერესო იქნება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ასევე სისტემურ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები და განათლების კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, კომპლექსურად მიმოიხილოს პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმების დანერგვის დინამიკა და შედეგები საქართველოში, იგი განავრცობს აქამდე არსებულ ცოდნას საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოადგენს იმ მიმართულებებს, რომლებიც აუცილებელია საკითხის შემდგომი კვლევისა და პრობლემის გადაჭრისთვის შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვისთვის.

ნაშრომი მოიცავს შვიდ ძირითად ნაწილს:

- პირველი ნაწილია შესავალი, რომელშიც აღწერილია საკვლევი პრობლემა და განხილულია მისი აქტუალობა. აქვეა წარმოდგენილი მოცემული კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები;
- მეორე ნაწილი ეთმობა საკვლევი საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც, თავის მხრივ, ხუთ ქვეთავს აერთიანებს. პირველში მოცემულია აკადემიური კეთილსინდისიერების ცნების განმარტება უმაღლესი განათლების ჭრილში, მეორე ქვეთავში საუბარია პლაგიატის კვლევის თანამედროვე კონტექსტზე. მესამე ქვეთავი თავს უყრის ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენელი პროგრამის შესახებ არსებული კვლევების შედეგებს, მეოთხე კი ეთმობა აკადემიურ პერსონალში პლაგიატის აღქმის საკითხებს. მეხუთე ქვეთავში წარმოდგენილია პლაგიატის კვლევის მოკლე მიმოხილვა საქართველოში;
- მესამე ნაწილში წარმოდგენილია ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო — აღწერილია კვლევისათვის საინტერესო განზომილებები და მათი ანალიზის თეორიული მოდელები;
- ნაშრომის მეოთხე ნაწილი ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას. დეტალურად არის აღწერილი კვლევის მეთოდების კომბინირებისა და რესპონდენტთა შერჩევის ლოგიკა, საუბარია კვლევის ინსტრუმენტზე, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების დეტალებზე. აქვეა წარმოდგენილი მსჯელობა კვლევის ეთიკის საკითხებსა და მოცემული კვლევის შეზღუდვებზე;
- მეხუთე ნაწილში შეჯერებულად არის წარმოდგენილი კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების შედეგები.
- მეექვსე ნაწილი ეთმობა დისკუსიას და კვლევის მიგნებების დაკავშირებას ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩოს ძირითად მდგენელებთან;
- მეშვიდე ნაწილში მოცემულია ნაშრომის დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებიც მოცემული კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა და განკუთვნილია შემდგომი კვლევებისთვის;

- ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ინტერვიუს პროტოკოლი და სხვა დანართები.

ლიტერატურის მიმოხილვა

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში

აკადემიური კეთილსინდისიერება (Academic Integrity) ფართო ცნებაა და მისი შინაარსიც ხშირად განსხვავებულ ინტერპერაციებს იძენს. ეს ტერმინი აქტიურად გამოიყენება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან და აღწერს პროცესებს, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ეთიკური ნორმების დაცვას სასწავლო პროცესში. ევროპის აკადემიური კეთილსინდისიერების ქსელი (ENAI) აკადემიურ კეთილსინდისიერებას განმარტავს, როგორც პროფესიულ პრინციპებს, სტანდარტებსა და ღირებულებებს, რომელთაც ეფუძნება სასწავლო და კვლევით პროცესში (Tauginienė et al. 2018) მიღებული გადაწყვეტილებები.

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები – პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, აღიარება და პასუხისმგებლობა – უმაღლესი განათლების საფეხურზე ეთიკური ქცევის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს (International Center for Academic Integrity 2018). ამ პრინციპების დაცვა სასწავლო გარემოში ხელს უწყობს ცოდნის ეთიკურ შექმნასა და გავრცელებას.

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის მრავალი ფორმა არსებობს, რომელთაგან პლაგიატი მხოლოდ ერთ-ერთია. სხვა ტიპის დარღვევები ქმედებებია, რომლებიც ზიანს აყენებს სასწავლო პროცესს და ინსტიტუციურ რეპუტაციას, აკადემიურ გარემოში კი მნიშვნელოვნად მოქმედებს განათლების ხარისხზე და სტუდენტებში გვევლინება, როგორც ეთიკური ნორმების დარღვევა (Hughes and McCabe 2006). ამ დარღვევების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა მოტყუება (Cheating), რაც გულისხმობს აკრძალული რესურსების გამოყენებას გამოცდების ან დავალებების შესრულებისას. ეს შეიძლება მოიცავდეს პასუხების გადაწერას, ნებართვის გარეშე ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენებას ან სხვა პირის მიერ ფულის გადახდის სანაცვლოდ

დავალების შესრულებას (Bretag et al. 2019). ასევე საკმაოდ გავრცელებული ფორმაა მონაცემების ფაბრიკაცია და ფალსიფიკაცია. ფაბრიკაცია გულისხმობს გამოგონილ მონაცემებს ან წყაროებს, ხოლო ფალსიფიკაცია – მონაცემების ან შედეგების შეცვლას. მსგავსი დარღვევები განსაკუთრებით სერიოზულია კვლევითი პროცესის დროს და ზიანს აყენებს ავტორისა და კვლევითი ინსტიტუტის/უნივერსიტეტის სამეცნიერო რეპუტაციას (Steneck 2006). კიდევ ერთი ფორმა შეიძლება იყოს თანამშრომლობა ნებართვის გარეშე, რაც შეიძლება დადასტურდეს მაშინ, როცა სტუდენტები ერთობლივად მუშაობენ დავალბაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტრუქციის მიხედვით არ არის ნებადართული.

ამ ტალღის საპასუხოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასობრივად ამოქმედდა ეთიკის კოდექსები, რომლებიც სწავლებისა და კვლევის პროცესში კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის ერთგვარ გარანტიად მიიჩნევა. თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ ბევრ კონტექსტში მხოლოდ ეთიკის კოდექსის არსებობა არ აღმოჩნდა საკმარისი — სტუდენტები და პროფესორები აღნიშნავენ, რომ ეს მიდგომები გაწერილი იყო დოკუმენტში, თუმცა პრაქტიკაში მათი განხორციელება არ ხდებოდა (McCabe, Trevino, and Butterfield 1999). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, როგორც წესი, მსგავსი დოკუმენტები უფრო მეტად ორიენტირებულია სანქციებზე და არა პრევენციის მექანიზმებზე და/ან სწავლებაზე (Wendy Sutherland-Smith 2010).

დროთა განმავლობაში აკადემიურ წრეებში შედგა ერთგვარი შეთანხმება აკადემიური კეთილსინდისიერების საზიარო პრინციპებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსგავსი იქნებოდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ეს პრინციპები ყურადღებას ამახვილებს აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებაზე, ასევე სტუდენტების ინფორმირებულობისა და მათთვის შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე, შეფასების ინსტრუმენტების გამჭვირვალობისა და გადაცდომაზე რეაგირების ქმედითი მექანიზმების არსებობის მნიშვნელობაზე (McCabe and Pavela 2004, 14). აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების საერთო ჩარჩოში ასევე მნიშვნელოვანია

აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის როლი. მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის შექმნა და შენარჩუნება (Zobel and Hamilton 2002; Bretag 2013), უფრო მეტიც, ამ პროცესში აუცილებელია სხვა გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობაც, მათ შორის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანიზაციებისა თუ სხვა აქტორების (Hendershott, Drinan, and Cross 2000; De Maio and Dixon 2022).

ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები ყურადღებას ამახვილებს კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბების პროცესში ქვეყნებისა და რეგიონების კულტურულ-სოციალური კონტექსტის მნიშვნელობაზე. სხვადასხვა კონტექსტში ჩატარებული უახლესი კვლევები პლაგიატთან ბრძოლის განსხვავებულ პრიორიტეტულ ასპექტებზე მიუთითებს. მაგალითად, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების მიმართულებით მიმდინარე გამოწვევების ანალიზი აჩვენებს უნივერსიტეტების მხრიდან ჰოლისტური მიდგომის არსებობის საჭიროებას, იმისათვის, რომ კეთილსინდისიერების პრინციპები ერთნაირად მნიშვნელოვანი გახდეს ყველა აქტორისთვის და არა მხოლოდ სტუდენტებისათვის (Bretag et al. 2014a.; Möller 2023). აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებში, ეფექტური მექანიზმების ნაკლებობასთან ერთად, კვლევის ფოკუსს წარმოადგენს აღქმებისა და დამოკიდებულებების თავისებურებები, რომლებიც აფერხებს ე. წ. „დასავლური ღირებულებების“ დამკვიდრებას. კვლევები მიუთითებს, რომ აზიის ბევრ ქვეყანაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა შეიძლება დაკავშირებული იყოს იერარქიული საგანმანათლებლო სისტემის ტრადიციასთან, სადაც სტუდენტებს ძირითადად სთხოვენ ავტორიტეტული წყაროების დასწავლას, ნაცვლად იმისა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ არსებული ცოდნა და ისე შეიმეცნონ. ავტორები აღნიშნავენ, რომ მსგავს საგანმანათლებლო სისტემებში ორიგინალურობისა და დამოუკიდებელი აზროვნების კონცეფცია შეიძლება ნაკლებად იყოს ხაზგასმული, რაც იწვევს აკადემიური კეთილსინდისიერების განსაზღვრების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს (Macfarlane, Zhang, and Pun 2014; Ahmed 2020). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებშიც აქცენტი კეთდება საერთო ევროპული

რეგულაციების და მექანიზმების დანერგვის გამოწვევებზე. კერძოდ, მიუხედავად ბოლონის პროცესის ფარგლებში უმაღლესი განათლების ჰარმონიზაციის მცდელობისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებები. კვლევები მიუთითებს, რომ მაშინ, როცა ზოგიერთი ქვეყანა მნიშვნელოვნად პროგრესირებს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების კუთხით, სხვა ქვეყნები მათ ჩამორჩებიან, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთიანი და კოორდინირებული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების კუთხით (Glendinning 2020, 62). ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საკვლევო საკითხი, ძირითადად, განხილულია საბჭოთა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თავისებურებების ჭრილში (Houdyshellm 2017), ისევე, როგორც ბოლონის პროცესთან და უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის კონტექსტში. კვლევები აჩვენებს, თუ როგორ შეუწყო ხელი საბჭოთა პერიოდის ავტორიტარულმა საგანმანათლებლო პრაქტიკამ იმ კულტურის შექმნას, სადაც აკადემიური გადაცდომა, მათ შორის პლაგიატი, ხშირად ნორმალიზებული იყო. საბჭოთა პერიოდში საგანმანათლებლო სისტემა უფრო მეტად ორიენტირებული იყო არსებული ცოდნის დამახსოვრებაზე, რაც თითქმის არ ტოვებდა სივრცეს ორიგინალური მუშაობისა და კრიტიკული აზროვნებისთვის. შედეგად, აკადემიური კეთილსინდისიერების კონცეფცია არ იყო იმდენად განვითარებული და სტუდენტები უფრო მეტად ორიენტირდებოდნენ გამოცდების წარმატებით ჩაბარებასა და ინსტიტუციური მოთხოვნების შესრულებაზე, ვიდრე ეთიკური ნორმების გაგების განვითარებაზე (ბაქრაძე et al. 2016; Luniachek et al. 2020).

ამ განსხვავებების მიუხედავად, მსოფლიოს მასშტაბით პლაგიატის საკითხის კვლევის საერთო, გამჭოლ თემას წარმოადგენს ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გავლენა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე და პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკაზე (Sutherland-Smith 2015). ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობები ეხმარება უნივერსიტეტებს, უფრო ეფექტური გახადონ პლაგიატთან ბრძოლის რეგულაციები და მექანიზმები, თუმცა ამავდროულად, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გამარტივების

გამო, იზრდება აკადემიური გადაცდომების ალბათობა (Hanbidge et al. 2020). ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად ფართოვდება მათი გამოყენების მიზნები და ფორმები (Morris 2015), ისევე, როგორც ამ ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბი და გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები.

აკადემიური კეთილსინდისიერების კონტექსტში ტექნოლოგიების როლისადმი განსაკუთრებული ინტერესი ბოლო წლებში რამდენიმე ტრიგერულ მოვლენას უკავშირდება. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონტექსტურ მოვლენას წარმოადგენდა პანდემია. პანდემიის პერიოდში ონლაინსწავლის ფორმატმა გამოიწვია ტრადიციული შეფასების მეთოდების ცვლილება და გაზარდა არაკეთილსინდისიერი ქმედებების, მათ შორის პლაგიატის, შესაძლებლობები. რადგან სტუდენტები გამოცდებს და დავალებებს მეტწილად ონლაინ ასრულებდნენ, ბევრი საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობდა, რომ უზრუნველყო აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა (Cheong et al. 2021; Maryon et al. 2022). საგანმანათლებლო სივრცე ახალი მოცემულობის წინაშე დააყენა ასევე ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების უაღრესად სწრაფმა განვითარებამ. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ადვილად შექმნან ტექსტები, რომელსაც გამოიყენებენ დავალებებსა თუ სხვა აკადემიურ ნაშრომებში. რაც თავის მხრივ, მასწავლებლისთვის ართულებს პროცესს, გაარჩიოს სტუდენტის ორიგინალური ნამუშევარი და ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ტექსტი. ამ გარემოებების ფონზე დადგა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების ძირეული გადახედვის საჭიროება (Cotton, Cotton, and Shipway 2023). ევროპის აკადემიური კეთილსინდისიერების ასოციაციამ (ENAI) შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკურ გამოყენებას სასწავლო პროცესში (Foltynek et al. 2023). რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს შესაძლო საფრთხეების/დარღვევების შესახებ ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებაზე. რეკომენდაციებში ასევე ხაზგასმულია საუნივერსიტეტო პოლიტიკის მნიშვნელობა, რომ არ მოხდეს საყოველთაოდ აღიარებული აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა (Foltynek et al. 2023).

პლაგიატის კვლევის თანამედროვე კონტექსტი

პლაგიატი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული გამოვლინებაა. როგორც ევროპის აკადემიური კეთილსინდისიერების ასოციაცია განმარტავს, პლაგიატი არის სხვისი იდეის, ტექსტის ან სტრუქტურის გამოყენება ავტორის მითითების გარეშე (Tauginienė et al. 2018, 7). თავად ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან, რომელიც განიმარტებოდა როგორც ქურდობა/მოპარვა და მას ძირითადად ადამიანებთან მიმართებით იყენებდნენ, როდესაც საუბარი იყო მონებით ვაჭრობაზე და ადამიანის დატყვევებაზე (Akbar 2018a).

მსოფლიოში პლაგიატის ფენომენის კვლევის დიდი გამოცდილება არსებობს. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევა ჩაატარა, იყო ამერიკელი მეცნიერი უილიამ ანდერსონი. თითქმის სამოცდაათი წლის წინ ის დაინტერესდა, რას ფიქრობდნენ სტუდენტები პლაგიატის შესახებ, რადგან ვარაუდობდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკმაოდ ხშირი იყო მოტყუების/გადაწერის მცდელობები, რაც პლაგიატის გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ (Anderson 1957).

სამეცნიერო კვლევების სისტემური ანალიზი მიუთითებს, რომ პლაგიატის ფენომენს სხვადასხვა რაკურსით შეისწავლიან. კერძოდ, სამეცნიერო კვლევების საგანს წარმოადგენს პლაგიატის ფორმები და სახეები, პლაგიატის განმაპირობებელი ინდივიდუალური, ორგანიზაციული და კონტექსტური ფაქტორები, დამოკიდებულებები პლაგიატის მიმართ, პლაგიატის დამდგენი ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა, შედეგები და სხვ. (Akbar 2018b; Foltýnek, Meuschke, and Gipp 2019; Hattingh, Buitendag, and Lall 2020).

პლაგიატის კვლევის სფეროში თვალსაჩინო მიმართულებაა შედარებითი კვლევები. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება ჩეხი მეცნიერი ტომაშ ფოლტინეკი. მისი კვლევები მიუთითებს, რომ ევროპის ქვეყნებში სტუდენტების დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ განსხვავებულია. თუ სტუდენტები ლიტვიდან და ბულგარეთიდან სერიოზულ პრობლემად არ აღიქვამდნენ ნაშრომში 40% პლაგიატის

არსებობას, მათი თანატოლები დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, კვიპროსიდან და ჩეხეთიდან მიიჩნევენ, რომ ეს საგანგაშო მაჩვენებელია (Foltýnek 2012). არსებული კვლევების საფუძველზე მან მკვლევართა ჯგუფთან ერთად ჩამოაყალიბა რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლების მიმართულებით გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, სადაც აღნიშნა, რომ პლაგიატთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის პირდაპირ გადმოღება ამერიკის, ავსტრალიის ან დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან არ იქნებოდა სწორი, რადგან აუცილებელია ადგილობრივი მახასიათებლების (კულტურული ასპექტები, პლაგიატის მიმართ ცნობიერების დონე, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის კომუნიკაციის ფორმა და სხვ.) გათვალისწინება და შესაბამისი მექანიზმების კონკრეტულ საჭიროებებზე მორგება (Mahmud, Bretag, and Foltýnek 2019).

პლაგიატის კვლევის მეორე, გავრცელებულ მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტებში პლაგიატის პრაქტიკის ხელშემწყობი ინდივიდუალური, ორგანიზაციული და კონტექსტური ფაქტორების ანალიზი. მაგალითად, კვლევები, რომლებიც სტუდენტთა შორის პლაგიატის მიმართულებით ცნობიერების დონეს შეისწავლიდნენ, მიუთითებს, რომ რიგ შემთხვევებში სტუდენტებმა არ იციან აკადემიური სტილის გამოყენება, ვერ ხვდებიან თვითპლაგიატის მნიშვნელობას და უჭირთ აკადემიური წერის კურსში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა (Bašić et al. 2019). ინდივიდუალური ფაქტორების კატეგორიაში ასევე საუბარია თვითმენეჯმენტისა და დროის მართვასთან დაკავშირებულ ასპექტებზე. ორგანიზაციული და ინსტიტუციური ფაქტორების კატეგორია აერთიანებს სწავლების მეთოდებს, საუნივერსიტეტო პოლიტიკას და სტუდენტებისთვის არსებულ დამხმარე სერვისებს, ხოლო კონტექსტური ფაქტორების კატეგორიაში შედის თანატოლებს შორის კონკურენცია, შეჯიბრებითობა და სტრესი, რომელიც უკავშირდება სასწავლო გარემოს (Muluk and Safrul 2021). ამ გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტში არსებობდეს პლაგიატის შესახებ სტუდენტების ინფორმირების ქმედითი მექანიზმები (Bretag et al. 2014b) და ეფექტური სასწავლო პროგრამა, რომელიც სტუდენტებს განუვითარებს ინფორმაციის მოძიების, წყაროების სანდოობის შეფასების, საკუთარი მოსაზრებების წერილობით ჩამოყალიბების

უნარებს, რაც თავისთავად გულისხმობს აკადემიური სტილის საკითხების სწავლებასაც (Alua, Asiedu, and Bumbie-Chi 2023).

ტომას ლანკასტერმა 2006 წელს პირველად გამოიყენა ტერმინი „ნაშრომის ყიდვა“ (Contract Cheating), რომელიც მან განმარტა, როგორც ქმედება, როდესაც სტუდენტი სხვა ადამიანს ან კომპანიას უხდის ფულს მისთვის ნაშრომის მომზადების სანაცვლოდ. მანამდე არსებული ტერმინი მხოლოდ ტექსტის ყიდვასთან ასოცირდებოდა (essay mill), ლანკასტერის კვლევამ აჩვენა, რომ ამ მეთოდს არა მხოლოდ ტექსტური დავალებების შემთხვევაში იყენებდნენ, შესაბამისად, ახალი ტერმინი თავის თავში ყველა სახის ნაშრომის ყიდვას აერთიანებს (Lancaster 2006). სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სტუდენტებში საკმაოდ გავრცელებულია ნაშრომის ყიდვის პრაქტიკა, უფრო მეტიც, სტუდენტებმა აღიარეს, რომ იცნობენ თანატოლებს, ვინც ჩართულია ამ პროცესში და გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნაშრომების წერას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს (Lancaster et al. 2019). მსგავსი ქმედებების გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას ხშირად ასახელებენ საუნივერსიტეტო გარემოს, სწავლა-სწავლების არსებულ პრაქტიკას, რომელიც არ არის ორიენტირებული სტუდენტისა და პროფესორის მჭიდრო თანამშრომლობაზე (Bretag et al. 2019). კვლევები აჩვენებს, რომ პრაქტიკაში ძალიან იშვიათად გვხვდება შეფასების ისეთი მეთოდი/ფორმა, სადაც ნაშრომის ყიდვის შესაძლებლობა შეიძლება სრულად გამოირიცხოს (Bretag, Harper, Burton et al. 2019; Harper, Bretag, and Rundle 2021), ამიტომ რეკომენდაციას გაცემენ, რომ უნივერსიტეტებმა გაამდიერონ მუშაობა ისეთი გარემოს შექმნისთვის, სადაც პროფესორისა და სტუდენტის საქმიანობა დამყარებული იქნება მჭიდრო თანამშრომლობაზე, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს იმ სტრესს (მათ შორის მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს), რომელიც ხშირად ხდება მსგავსი გადაცდომების მიზეზი (Rundle, Curtis, and Clare 2023; Ferguson, Toye, and Eaton 2023).

პლაგიატის მიმართულებით კვლევების კიდევ ერთ ჯგუფს წარმოადგენს პლაგიატთან ბრძოლის ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ეფექტურობის ანალიზი. თავისთავად, მსგავსი ინსტრუმენტები არ მოიაზრება პლაგიატის პრევენციის ერთადერთ მექანიზმად

და განხილულია როგორც დამხმარე საშუალება (Ellis 2012). კვლევები მიუთითებს, რომ პროგრამებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები: ნაწილი უკეთ მუშაობს კონკრეტულ ენაზე ან ენათა ჯგუფისთვის, ხოლო მეორე ნაწილს აქვს უფრო მოცულობითი რეპოზიტორი, რასთანაც ადარებს ტექსტებს. პროგრამები ასევე განსხვავდება დამატებითი ფუნქციების თვალსაზრისით – მაგალითად, უკუკავშირის მიწოდება (Foltýnek et al. 2020). მნიშვნელოვანია სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაცია და პროგრამის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა, რათა მათ იცოდნენ, როგორ გამოიყენონ სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისთვის მსგავსი შესაძლებლობა (Mphahlele and McKenna 2019; Eaton et al. 2020).

2023 წლის დასაწყისში, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოჩენასთან ერთად, აკადემიურ წრეებში დაიწყო დისკუსია მათი ეთიკურად გამოყენების შესახებ. სამეცნიერო კვლევების ანალიზი მიუთითებს, რომ ეს საკითხი დღეისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების კვლევის ცენტრალურ ასპექტად ჩამოყალიბდა (Moya, Eaton, and Hayden 2023). ამ მიმართულებით კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტებში საკმაოდ მაღალია ცნობიერება მსგავსი ინსტრუმენტების მოხმარების თაობაზე და მაღალია ამ ინსტრუმენტების გამოყენების მასშტაბი (Bissessar 2023). ამასთანავე, მკვლევართა ერთმა ჯგუფმა შეისწავლა ხელოვნური ინტელექტის მიერ შედგენილი ტექსტის დადგენის ეფექტურობა და დაასკვნა, რომ ჯერჯერობით პრობლემურია მსგავსი პროგრამების ნდობის საკითხი, რადგან პლაგიატის აღმოჩენისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში პროგრამა დანამდვილებით ვერ განსაზღვრავს, რომელი ინსტრუმენტის მიერ არის შედგენილი ესა თუ ის ტექსტი, შესაბამისად, მცდარი დადებითი (False Positive) შედეგის ალბათობა მაღალია (Weber-Wulff et al. 2023). სარა იტონი აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხს ძირითადად ხელოვნური ინტელექტისა და უახლესი ტექნოლოგიების ჭრილში იკვლევს. მის ერთ-ერთ ბოლო კვლევაში საუბარია ტექნოლოგიებზე, რომლებიც იმპლანტის მსგავსად თავსდება ადამიანის სხეულში (მაგალითად, თითზე, ყურზე, თვალზე) და სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, გადასცეს და მიიღოს ინფორმაცია გამოცდის წერის დროს. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ტექნოლოგიების ასეთი სწრაფი განვითარების ფონზე და ხელოვნური ინტელექტის

ინსტრუმენტების არაეთიკურად გამოყენების პირობებში ძალიან მალე დღის წესრიგში დადგება პლაგიატთან დაკავშირებული აქამდე არსებული პრაქტიკისა და მიდგომების ძირეული გადახედვის საჭიროება (Eaton 2023).

ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამების გამოყენება

კვლევები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. გარკვეულ შემთხვევებში აკადემიური პერსონალი ცვლილებაზე უარს შიშის და გაურკვევლობის გამო ამბობს. კერძოდ, მას ეშინია, რომ არასაკმარისი ინსტრუქტაჟის პირობებში სწავლების ხარისხი გაუარესდება, ეს კი, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის კურსის ხელმძღვანელის რეპუტაციას. წარუმატებლობის სხვა მიზეზებიდან ასევე ნიშანდობლივია აკადემიური პერსონალის არაერთგვაროვანი კომპეტენცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით (Johnson et al. 2012; AL-Shibli, Abu Shakra, and Khan 2018). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გადამზადების განსხვავებული ფორმატების გათვალისწინება — მაგალითად, ჯგუფური ტრენინგების ნაცვლად ინდივიდუალური კონსულტაციისა და შესაბამისი ინდივიდუალური დახმარების უზრუნველყოფა (Owen and Demb 2004), კონკრეტული ტექნოლოგიის დანერგვის წინმსწრებად ამ ტექნოლოგიის შედარებით მცირე ჯგუფთან პილოტირება (Zhou and Xu 2007), ისევე, როგორც უნივერსიტეტის მხრიდან ტექნოლოგიების ინტეგრირების მიმართულებით აკადემიური პერსონალის წარმატების აღიარებისა და დაფასებისთვის წამახალისებელი მექანიზმების გათვალისწინება (Geertshuis and Liu 2022).

პლაგიატის აღმოჩენის მიზნით ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად აკადემიურ სივრცეში დაიწყო დისკუსია მათი ეფექტურობის შესახებ. კვლევების ნაწილი მიუთითებს, რომ მსგავსი პროგრამებით ნაშრომების შემოწმების პრაქტიკის არსებობა ზრდის ამ ნაშრომებში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის ალბათობას (Baker and Adams 2008). სხვა კვლევები კი აჩვენებს, რომ პროგრამის გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვანია კურსის ხელმძღვანელის მხრიდან სწორი ინსტრუქციისა და უკუკავშირის გაცემა, რადგან მხოლოდ ტექსტების შემოწმება და

პლაგიატის დადგენა მსგავსი შემთხვევების პრევენციას ვერ უზრუნველყოფს (Gillis et al. 2009; Chao and Wilhelm 2009).

ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დანერგვისას მნიშვნელოვანია სწორი კომუნიკაცია ამ პროცესში ჩართულ პირებთან, პირველ ყოვლისა, აკადემიურ პერსონალთან პროგრამის გამოყენების მიზნებთან დაკავშირებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც აკადემიურ პერსონალს და შესაბამისად, სტუდენტებს არასწორი წარმოდგენები ექმნებათ მსგავსი პროგრამების მუშაობის სპეციფიკასთან მიმართებით. ერთ-ერთი ასეთი მცდარი მოსაზრება უკავშირდება აკადემიურ პერსონალში გავრცელებულ წარმოდგენას, თითქოს ეს პროგრამა ადგენს პლაგიატს და არა მსგავსებას (Adam, Bond, and Samaranayaka 2014). კვლევები აჩვენებს, რომ თუ უნივერსიტეტის მიზანია მხოლოდ პლაგიატის შემთხვევების დადგენა, მაშინ მსგავსი პროგრამების გამოყენების ეფექტურობა ნაკლებია. საპირისპირო ხდება მაშინ, თუ ის თანმიმდევრულად გამოიყენება სწავლების და ნაშრომზე მუშაობის პროცესში, როგორც პრევენციის მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ათვისებასა და გამოყენებაში ეხმარება (Pitchford 2012; Ali 2013; Mphahlele and McKenna 2019b).

ბაქლის და ქოვაპის მიერ ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ მსგავსების აღმომჩენი სისტემის დანერგვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აკადემიური პერსონალისთვის ტექნიკური დახმარების პაკეტის შეთავაზებას, რომელიც დეტალურად გადმოსცემს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს (Buckley and Cowap 2013). საყურადღებოა, რომ მსგავსი პროგრამების გამოყენება არ უნდა აღიქმებოდეს მექანიკურ პროცესად და უნდა იყოს საუნივერსიტეტო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ პროფესორების ნაწილი არ გამოიყენებს არცერთ პროგრამას (Bruton and Childers 2016). კვლევები ასევე აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია ჯგუფური გადამზადების პროგრამების ინდივიდუალური ან შემდგომისდაგვარად მცირე ჯგუფების ფორმატებით ჩანაცვლება, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს დამსწრე პირს შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთოს პროცესში, დასვას შეკითხვები და იფიქროს, როგორ

გამოყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში (Pelletier 2019). ტექნიკური დახმარების კიდეც ერთი ქმედითი ფორმატია უნივერსიტეტში მუდმივმოქმედი რგოლის ან ადმინისტრაციული პერსონალის არსებობა, ვინც საჭიროებისამებრ მსგავს დახმარებას აღმოუჩენს პროფესორ-მასწავლებლებს (Polly, Martin, and Guilbaud 2021).

ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირება საკმაოდ შრომატევადია და ამას ყველა ვერ ახერხებს. ხელისშემშლელ მიზეზთა შორის ერთ-ერთია აკადემიური პერსონალის წინასწარი განწყობა უშუალოდ ამ ტექნოლოგიის მიმართ (Ertmer 1999). იმ შემთხვევაში, თუ კურსის ხელმძღვანელი თვლის, რომ კონკრეტული პროგრამის გამოყენება არ გააუმჯობესებს სტუდენტის სასწავლო შედეგებს, ან არ აისახება ზოგადად პროცესის ხარისხზე, უფრო მაღალია ალბათობა, რომ საერთოდ უარს იტყვის ტექნოლოგიის სასწავლო პროცესში ინტეგრირებაზე. და პირიქით, თუ აკადემიური პერსონალი მიიჩნევს, რომ კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებას შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონდეს მთლიანად პროცესზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის სრულფასოვნად არ იცნობს პროგრამის მუშაობის სპეციფიკას, როგორც წესი, გადაწყვეტილება ტექნოლოგიის დანერგვის სასარგებლოდ მიიღება (Brooks and Pomerantz 2017). ზოგჯერ სწავლებაში ჩართული პირები თვლიან, რომ ესა თუ ის პროგრამული მხარდაჭერა შესაძლოა მალე შეიცვალოს ან ჩანაცვლდეს; იმ პირობებში, როცა მათი გამოყენება რთულია და მოითხოვს უკვე არსებული პრაქტიკის ცვლილებას, აკადემიური პერსონალი ამჯობინებს, თავი შეიკავოს მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენებისგან. კვლევები მიუთითებს, რომ ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისას გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს დაინტერესებული პირების განწყობების შესწავლა. ეს იქნება ერთგვარი გარანტია იმისა, რომ არსებული წარმოდგენები ხელს არ შეუშლის ცვლილების განხორციელებას და პროცესი ეფექტურად წარიმართება (Polly, Martin, and Guilbaud 2021).

ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამა თავისი შინაარსით წარმოადგენს საგანმანათლებლო რესურსს. მისი გამოყენების მიზანი უნდა იყოს სასწავლო პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის დამკვიდრება და არა სტუდენტების

დასჯა. იმ უნივერსიტეტებში, სადაც აკადემიური პერსონალი ამ პროგრამას აღიარებს, როგორც ღირებულ რესურსს, გაცილებით დაბალია პლაგიატის შემთხვევების რაოდენობა და სტუდენტებიც უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ (Arabyat et al. 2022). კვლევები მიუთითებს, რომ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ გამოწვევაა მსგავსი პროგრამების გამოყენება, რადგან ის აღიქმება როგორც უბრალოდ ტექნოლოგია (აქცენტი კეთდება ტექნიკურ მხარეზე), რომელიც გეხმარება პლაგიატის დადგენაში და არა როგორც რესურსი, რომლის გამოყენებით შეიძლება სწავლება და კონკრეტული უნარების გაუმჯობესება (Antares 2022).

აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ

პლაგიატის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებას ამ საკითხთან მიმართებით. კვლევები მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საუნივერსიტეტო პოლიტიკა ან მიდგომები არ ითვალისწინებს დარღვევის/გადაცდომის დიფერენცირებას, შეიძლება ეს ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნიდეს აკადემიური პერსონალისთვის, რომ მსგავს შემთხვევებს განსხვავებული სიმკაცრით მიუდგეს. ამ მდგომარეობის პრევენცია შესაძლებელია, თუ საუნივერსიტეტო რეგულაციებში მკაფიოდ განისაზღვრება პლაგიატის ფორმები და მოხდება მათი რანჟირება სიმძიმის მიხედვით (Pincus and Schmelkin 2003, 207-208).

ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლევართა ჯგუფი დაინტერესდა, განსხვავდებოდა თუ არა აკადემიური პერსონალის შეფასება პლაგიატის სხვადასხვა ფორმასთან მიმართებით. მათ წინასწარ აღწერეს განსხვავებული შემთხვევები და კვლევაში ჩართულ პირებს სთხოვეს შეეფასებინათ, იყო თუ არა კონკრეტული შემთხვევა პლაგიატის გამოვლინება. ასევე რესპონდენტებს უნდა დაეზუსტებინათ, რამდენად სერიოზული შეიძლება ყოფილიყო ეს დარღვევა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა მოსაზრებები განსხვავდებოდა. კერძოდ, თითქმის ნახევარი მიიჩნევდა, რომ მძიმე პლაგიატის შემთხვევა არ იყო, თუ სტუდენტი საკუთარ ნაშრომს გამოიყენებდა სხვა კურსის ფარგლებში. მოსაზრებები ასევე განსხვავდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ უნდა შეეფასებინათ სტუდენტის მიერ ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში სხვადასხვა

წყაროს გამოყენების საკითხი. რესპონდენტთა ერთი ჯგუფი მიუთითებდა, რომ ნაშრომზე მუშაობის დროს ზოგიერთი გამოცდილი მკვლევარიც კი საკუთარ ნაშრომში იყენებდა ტექსტებს უკვე არსებული პუბლიკაციებიდან, შესაბამისად, ამ მიზეზით სტუდენტების დასჯა არ მიაჩნდათ გამართლებულად, განიხილავდნენ რა ამ შემთხვევას, როგორც დროის დაზოგვის საშუალებას (Bennett, Behrendt, and Boothby 2011, 33). კვლევები მიუთითებს იმაზეც, რომ პლაგიატის აღქმა შესაძლოა განსხვავდებოდეს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. კერძოდ, იმ გადაცდომას, რომელსაც კურსის ხელმძღვანელი სერიოზულად მიიჩნევს, სტუდენტები ამ სიმძიმის დარღვევად არ აღიქვამენ. მაგალითად, როცა პარაფრაზირებისას არ არის წყარო მითითებული ან საუბარია ერთხელ დაწერილი ნაშრომის იმავე სტუდენტის მიერ ხელახლა გამოყენებაზე (Foltýnek, Rybička, and Demoliou 2014, 26-27).

კვლევების ნაწილი პლაგიატის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში იმ კონტექსტის თავისებურებებზე საუბრობს, როდესაც ადამიანს უწევს აკადემიურ სივრცეში ინტეგრირება. ჯუნ ლი იკვლევდა პლაგიატის მიმართ განწყობებს ჩინეთში. მისი კვლევების თანახმად, ის აკადემიური პერსონალი, ვისაც განათლება მიღებული აქვს დასავლეთის ქვეყნებში (იგულისხმება ევროპის ქვეყნები) უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება პლაგიატის საკითხს, ვიდრე მათი კოლეგები, ვინც განათლების ყველა საფეხური ჩინეთში დაასრულა (Lei and Hu 2015). კვლევების მეორე ნაწილი ერთი კონტექსტის შიგნით განსხვავებებზეც მიუთითებს: კურსის ხელმძღვანელების ნაწილი ნაკლებ ინიციატივას იჩენს უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების გამოყენებისთვის და ამას ხსნის იმით, რომ არსებული მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს პლაგიატის შემთხვევების ეფექტურ დადგენას (Tsoni and Lionarakis 2014). პრობლემურ საკითხებს შორის ასევე სახელდება უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების არათანმიმდევრული აღსრულება. იგულისხმება ის გარემოება, რომ ზოგიერთი პროფესორი უფრო მკაცრად რეაგირებს პლაგიატის შემთხვევებზე, მაშინ, როდესაც სხვა კოლეგა სანქციირების უფრო მსუბუქ ფორმებს მიმართავს (Dannhoferová et al. 2022).

უნივერსიტეტის მხრიდან პლაგიატისადმი დამოკიდებულებაში განსხვავებების შემცირების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს დაშვებას, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოება აერთიანებს განსხვავებული გამოცდილების, წარმოდგენებისა და წინასწარგანწყობების მქონე პირებს. შესაბამისად, პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები უნდა იყოს კონკრეტული, თუმცა ამავდროულად ყველა სავარაუდო სცენარზე მორგებული (Jones, Bartlett, and Reid 2006; Flint, Clegg, and Macdonald 2006).

კვლევების თანახმად, პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების მართვაში ერთ-ერთ ქმედით მიმართულებას წარმოადგენს სასწავლო კურსების სილაბუსებში პლაგიატის საკითხისადმი მიდგომების სინქრონიზაცია. სილაბუსი ერთგვარი წინასწარი შეთანხმებაა კურსის ხელმძღვანელსა და სტუდენტებს შორის და მნიშვნელოვანია, ითვალისწინებდეს პლაგიატთან დაკავშირებულ ნიუანსებსაც, მაგალითად: როგორ მოხდება პლაგიატის დადასტურება, რეაგირების რა მექანიზმები არსებობს ან ზოგადად, რა მოიაზრება მსგავსი შემთხვევების პრევენციად. ზოგიერთ შემთხვევაში აკადემიური პერსონალი მიიჩნევს, რომ მსგავსი დეტალების გაწერა უშუალოდ სილაბუსში არ არის საჭირო, რადგან საუნივერსიტეტო წესებში არის ამაზე საუბარი. თუმცა იმის გამო, რომ პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები არ უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული ადამიანების შეხედულებებს, უმჯობესია, თუ ამის შესახებ ჩანაწერი იქნება სილაბუსში, რომელიც, თავის მხრივ, თანხვედრაში უნდა იყოს ერთიან საუნივერსიტეტო პოლიტიკასთან (Volpe, Davidson, and Bell 2008).

პლაგიატის კვლევა საქართველოში

საქართველოში პლაგიატის კვლევის გამოცდილება რამდენიმე წელს ითვლის. 2016 წელს გამოქვეყნდა პირველი ფართომასშტაბიანი კვლევის ანგარიში – „პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში“. მკვლევართა ჯგუფმა შეისწავლა პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები უმაღლესი განათლების ქრილში. კვლევის ძირითადი მიგნებები მიუთითებდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებული იყო დასჯაზე და არა პრევენციაზე.

უნივერსიტეტების უმრავლესობაში არ არსებობდა ნათლად განსაზღვრული მექანიზმები, პლაგიატთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები და ძირითადად ფოკუსირებული იყო სტუდენტებზე, ვიდრე აკადემიურ პერსონალზე (ბაქრაძე et al. 2016). ამავე კვლევამ დაადასტურა, რომ სტუდენტებს შორის პლაგიატის შესახებ ცნობიერება დაბალი იყო, ხოლო აკადემიური პერსონალის მიერ პლაგიატის პრობლემის სიმწვავის აღქმა — არაერთგვაროვანი. იმ დროისთვის ქვეყანაში არსებული უნივერსიტეტების მხოლოდ 9%-ს ჰქონდა შესაძლებლობა, ნაშრომების შემოწმების დროს გამოეყენებინა ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამა. გარდა ამისა, კვლევის შედეგები მიუთითებდა, რომ დიდი გამოწვევა იყო პლაგიატის პრევენციის ისეთი მექანიზმების ეფექტური მუშაობა, როგორც არის აკადემიური სტილის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები (ბაქრაძე et al. 2016). მოცემული მიგნებების საფუძველზე, მკვლევართა ჯგუფმა იმავე ანგარიშში განსაზღვრა რეკომენდაციები, როგორც ინდივიდუალურად უნივერსიტეტების, ასევე ქვეყნის მასშტაბით სისტემურ დონეზე (ეს რეკომენდაციები მიემართებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს). რეკომენდაციებიდან საგულისხმო იყო აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის გაწერა უნივერსიტეტების ხარისხის შეფასების მექანიზმებში, რაც იქნებოდა გარანტია, რომ ყველა უნივერსიტეტი შეიმუშავებდა და პრაქტიკაში დანერგავდა პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის პოლიტიკას. ასევე ყურადღება იყო გამახვილებული იმაზე, რომ მინიმუმ სავალდებულო უნდა ყოფილიყო საკვალიფიკაციო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება და სასურველი იქნებოდა ქვეყანაში ერთიანი ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც თავს მოუყრიდა აკადემიურ ნაშრომებს. რეკომენდაციების ნაწილი ასევე მიემართებოდა პლაგიატის მიმართ ცნობიერების გაზრდას როგორც სტუდენტებში, ასევე აკადემიურ პერსონალში, სხვადასხვა ღია საგანმანათლებლო რესურსებისა თუ ვიდეორგოლების გამოყენებით (ბაქრაძე et al. 2016).

აღნიშნულ კვლევას წინ უსწრებდა ნაშრომი, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ქართველ სტუდენტებს შორის პლაგიატის შემთხვევებზე, აღნიშნავდა რა, რომ ქართველ სტუდენტებს შორის შედარებით ხშირი იყო პლაგიატი, ვიდრე მათ თანატოლებში გერმანიიდან და თურქეთიდან. ამ მიგნებას ავტორი ხსნიდა იმგვარად, რომ

საქართველოსთვის, როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე ქვეყნისთვის, უფრო დამახასიათებელია ავტორიტეტული პირების ნაშრომის დასკვნების გამოვლენა და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ სწორედ ეს შეიძლება ყოფილიყო მიზეზი ამ განსხვავებისა (Kayaoğlu et al. 2015).

დოღონაძისა და მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ხშირად უნივერსიტეტების მხრიდან გაწეული სამუშაო უკვე დაგვიანებულია, რადგან პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება იწყება მაშინ, როდესაც სტუდენტს უწევს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა ან მისი ჩაბარება (Doghonadze, Pipia, and Parjanadze 2018). კვლევა აღწერდა შემთხვევებს, როდესაც აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს არ ჰქონდათ ცოდნა პლაგიატის სხვადასხვა ფორმისა და გამოვლინების შესახებ და, შესაბამისად, არც მათი პრევენციის გზებზე ფლობდნენ ინფორმაციას. მკვლევართა ჯგუფი მიუთითებდა უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის შექმნის აუცილებლობაზე და აღნიშნავდა, რომ თუ გადაცდომა დადგინდა, აუცილებელია მასზე რეაგირება – შესაბამისი სანქციის დაკისრება (Doghonadze, Pipia, and Parjanadze 2018).

2019 წელს ევროპის საბჭოს დაკვეთით განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის პლაგიატის მიმართ ცნობიერება უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. მკვლევართა ჯგუფმა შენიშნა, რომ უნივერსიტეტების ავტორიზაციის სტანდარტებში ცვლილებამ და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა საერთაშორისო პროექტმა („აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლა-სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში” (INTEGRITY)) დადებითი ეფექტი იქონია პლაგიატის საკითხის პოზიციონირების მიმართულებით, თუმცა კვლევის ძირითად მიგნებებში მითითებული იყო გამოწვევა, რომ ქვეყანაში არ არსებობდა პლაგიატთან ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა (Glendinning et al. 2021). ავტორები აღნიშნავდნენ, რომ მართალია, უნივერსიტეტების დონეზე არსებობს რეგულაციები და წესები, თუმცა სისტემურ დონეზე ერთიანი ხედვა ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული. გარდა ამისა,

გამოწვევად რჩება პლაგიატის განსაზღვრება – ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, რა არის მიჩნეული მისაღებად და რა არის მიუღებელი; ავტორთა ჯგუფი ასევე გამოთქვამდა იმედს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოში დამოუკიდებლად შეძლებდნენ პლაგიატთან ბრძოლის ეფექტური, კონტექსტზე მორგებული პოლიტიკის დანერგვას (Glendinning et al. 2021).

საყურადღებოა ცერცვამისა და ხურციას მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც მიუთითებს, რომ ქართველ სტუდენტებს შორის პლაგიატის შემთხვევების მაღალ სიხშირეს განაპირობებს კონტექსტური ფაქტორები. პირველ ყოვლისა, სახელდება „სკოლა, როგორც ადგილი, სადაც მოსწავლეებს არავინ უხსნის, თუ რატომ არის ცუდი ერთმანეთისგან გადაწერა“. ამას ერთვის საქართველოს საბჭოთა გამოცდილება, სადაც სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულების ნაშრომებში აუცილებელი იყო გავლენიანი/ავტორიტეტული პირების ნაშრომების მოხსენიება (Tsertsvadze and Khurtsia 2020).

კვლევა, რომელიც პანდემიის პირობებში სწავლობდა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევას საქართველოში, მიანიშნებს, რომ ონლაინსწავლების დროს გაცილებით გაიზარდა აკადემიური გადაცდომები, მათ შორის პლაგიატის შემთხვევები სტუდენტებს შორის. ეს აიხსნებოდა ორი ძირითადი გარემოებით: ა) ონლაინშეხვედრების პირობებში არ არსებობდა ინსტრუმენტი, რომელიც ბოლომდე უზრუნველყოფდა კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას; ბ) ასევე შეინიშნებოდა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილს არ გააჩნდა საკმარისი ცოდნა ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც ხშირ შემთხვევაში სტუდენტებს აძლევდა საშუალებას, რომ ერთმანეთისგან და/ან სხვა წყაროებიდან გადაეწერათ (Reid 2021).

თამარ ჩოკორაიამ შეისწავლა შედეგები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების ეროვნული პროექტისა — „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლა-სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“. როგორც აღნიშნული კვლევა მიუთითებს, პროექტის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

დასტურდება დადებითი ტენდენციები აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბების მიმართულებით, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები პლაგიატის მიმართ დამოკიდებულების კუთხით (Chokoraia 2023). კვლევის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის შიგნით უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაზრდისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას და საჭიროებას (Chokoraia 2023).

ქეთი ცოტნიაშვილი (2023) ახლახან გამოცემულ სადისერტაციო ნაშრომში საქართველოს მაგალითზე იკვლევდა აკადემიურ იდენტობებს პოსტსოციალისტურ საზოგადოებაში. მისი ნაშრომი საუბრობს „გაორების“ (duplicity) სტრატეგიებზე, რომლითაც საქართველოში უნივერსიტეტები უმკლავდებიან უმაღლესი განათლების მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციისკენ მიმართული მოთხოვნების წნეხს. მისი კვლევა მიუთითებს, რომ რეფორმების განხორციელებისას ცვლილება შეიძლება მოხდეს სამი სტრატეგიით: ზედაპირული ცვლილებები – ეს ხდება მაშინ, როდესაც უნივერსიტეტები ახორციელებენ ცვლილებებს, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად შეინიშნება და არ იცვლება შინაარსი; ფარული ცვლილებები – გულისხმობს გარეგნული იერსახის შენარჩუნებას, თუმცა შინაარსის ცვლილებას და შერეული ცვლილებები – გულისხმობს ცვლილებების ერთობლიობას, როცა ოფიციალურად ნათქვამი და შეთანხმებული განსხვავდება რეალური პრაქტიკისგან, რაც აჩვენებს შეუსაბამობას აზრებს, გაცხადებულ პოლიტიკასა და რეალურ ქმედებებს შორის (Tsotniashvili, 2023). მართალია, მოცემული კვლევა კონკრეტულად პლაგიატის ან აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე არ აკეთებდა აქცენტს, თუმცა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს აკადემიური გარემოს განვითარების კომპლექსურ ანალიზს საქართველოში და ყურადღებას ამახვილებს იმ ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებზე, რომლებიც დღემდე განსაზღვრავენ აკადემიურ იდენტობებს. ცვალებად გარემოში ადაპტირების ამ ზოგადი დინამიკის ფარგლებში შესაძლებელია პლაგიატთან ბრძოლის კონტექსტიც მოვიაზროთ.

საქართველოში პლაგიატის შესახებ არსებულ კვლევებში ყურადღების მიღმა არის დარჩენილი რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. მოცემული კვლევით შევეცდებით შევავსოთ ეს სიცარიელე. პირველ ყოვლისა, თითქმის არცერთი კვლევა დეტალურად არ აღწერს ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის ადაპტაციის პროცესს, მის თავისებურებებს. მართალია, წინა ნაშრომები მიუთითებდა, რომ რამდენიმე უნივერსიტეტმა მოახერხა მსგავსი პროგრამის სასწავლო პროცესში დანერგვა, თუმცა არ არის საკმარისი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა და ინტეგრირდა ეს პროგრამები აკადემიურ პრაქტიკაში (ბაქრაძე et al. 2016; Glendinning et al. 2021; Chokoraia 2023). მეორე, არ არსებობს უახლესი კვლევა იმაზე, თუ როგორ აღიქვამს აკადემიური პერსონალი პლაგიატის პრობლემას განათლების ხარისხის გარე შეფასების ახალი მექანიზმების ამოქმედების ფონზე. არსებული კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია სტუდენტების ცნობიერებასა და დამოკიდებულებაზე პლაგიატის მიმართ, მაგრამ მცირე ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ უყურებს ამ საკითხს აკადემიური პერსონალი ინსტიტუციური ცვლილებების კონტექსტში (Tsertsvadze and Khurtsia 2020; Reid 2021). დაბოლოს, მოცემული კვლევით შევეცდებით შევისწავლოთ ის გარემოებები, რომელიც აკადემიურ პერსონალს ეხმარება ან პირიქით ხელს უშლის, თანმიმდევრულად გამოიყენოს ის მექანიზმები, რომელსაც უნივერსიტეტი პლაგიატის პრევენციის მიზნით სთავაზობს.

ნაშრომის კონცეპტუალური მოდელი და ძირითადი კონსტრუქტები

კონცეპტუალური მოდელი

მოცემული კვლევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებისა და სტრატეგიების გამოყენების თავისებურებებს შეისწავლის. ამ ფართო კონტექსტში კვლევისათვის საინტერესოა ორი კონკრეტული განზომილება, ესენია: ა) პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან არიდების ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა სტუდენტებთან მუშაობისას და ბ) ამ პრაქტიკის გამოყენების ან მისგან თავის არიდების რაციონალიზაცია (დასაბუთება) აკადემიური პერსონალის თვალთახედვით.

ქართულ კონტექსტში არსებული კვლევები ძირითადად სტუდენტების ქცევას უკავშირდება და ნაკლებად არის წარმოდგენილი სიღრმისეული ანალიზი იმ მიზეზებისა, რომელიც აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებებს ხსნის. თუმცა კვლევები მიანიშნებს, რომ აკადემიური პერსონალის მიერ გამოყენებული პრაქტიკა, ისევე, როგორც ამ პრაქტიკის გამოყენების/მისგან თავის არიდების მიზეზების ინტერპრეტაციები, არაერთგვაროვანია და მრავალ კონტექსტურ ფაქტორზე, მათ შორის, აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ მახასიათებელზეა დამოკიდებული. შესაბამისად, კვლევის ამოცანას წარმოადგენს პლაგიატთან მიმართებით დამკვიდრებული პრაქტიკის აღწერებსა და დასაბუთებებში ერთგვარი ქვეჯგუფების იდენტიფიცირება, ამ ქვეჯგუფებს შორის მიმართებების გამოვლენა და მათი დაკავშირება კონტექსტთან.


ამ ამოცანის გადასაჭრელად კვლევის ფარგლებში ორი თეორიული კონსტრუქტი გამოიყენება, რომელთაგან პირველი საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკის (ტექნოლოგიურ ასპექტები) აღწერაში გვეხმარება, ხოლო მეორე — პლაგიატზე თვალის დახუჭვის ან მისდამი შედარებით რბილი დამოკიდებულების დასაბუთებათა კლასიფიკაციისა და ანალიზისთვის გამოიყენება.

კვლევები მიუთითებს, რომ აკადემიური პერსონალის პლაგიატის აღქმა სხვადასხვა დემოგრაფიული ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის ასაკით, სქესით და აკადემიური მიმართულებით (W. Sutherland-Smith 2008; J. Gullifer and Tyson 2010; Eret and Ok 2014). სუზერლანდ-სმიტის (2008) კვლევამ აჩვენა, რომ შედარებით ახალგაზრდა და ნაკლები პედაგოგიური გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი პლაგიატს უფრო სერიოზულ პრობლემად აღიქვამს, ვიდრე უფროსი ასაკის და უფრო გამოცდილი პერსონალი. გარდა ამისა, კვლევები მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე სქესის მიხედვით: ქალები ხშირად უფრო მკაცრ მიდგომას ავლენენ პლაგიატის მიმართ, ვიდრე მამაკაცები (Eret and Ok 2014). პლაგიატის აღქმაზე გავლენას ახდენს აკადემიური მიმართულებაც. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში პერსონალი პლაგიატს განსხვავებულად აღიქვამს, ვიდრე ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებში (J. Gullifer and Tyson 2010). მოცემულ კვლევაში არსებულ ორ ძირითად თეორიულ კონსტრუქტს განვიხილავთ ინდივიდუალური ფაქტორების (დემოგრაფიული მახასიათებლები) ჭრილში, რათა დავაზუსტოთ, არსებობს თუ არა კავშირი ამ ფაქტორებსა და პლაგიატის აღქმას შორის.

სქემა 1 ასახავს კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს, სადაც ერთმანეთთან არის დაკავშირებული კვლევაში გამოყენებული ძირითადი კონსტრუქტები.

სქემა 1: ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო



პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკა უნივერსიტეტში – ტექნოლოგიებით სწავლების მოდელი

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატთან გამკლავების პრაქტიკის აღწერა. მოცემულ ნაშრომში ეს პრაქტიკა, პირველ ყოვლისა, ტექნოლოგიების დანერგვის ჭრილშია დანახული.

როგორც ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, პლაგიატთან ბრძოლის სტრატეგიები საუნივერსიტეტო სივრცეში სულ უფრო მეტად უკავშირდება ტექნოლოგიების გამოყენებას, რასაც რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი განაპირობებს. ერთი მხრივ, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იხვეწება პლაგიატის დამდგენი ინსტრუმენტები და ფორმები, მეორე მხრივ, ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს პლაგიატის დამდგენი მოქმედი ინსტრუმენტებისგან თავის არიდების მექანიზმების განვითარებას. შესაბამისად, ტექნოლოგიებთან ურთიერთქმედება ქმნის ახალ, ბუნებრივ გარემოს როგორც პლაგიატთან ბრძოლისთვის, ასევე პლაგიატის ახალი ფორმების წარმოქმნისთვის.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკის აღწერისთვის ნაშრომში გამოიყენება სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ადაპტაციის ზოგადი მოდელი, რომელიც პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკას ტექნოლოგიების გამოყენების/განვითარების ჭრილში განიხილავს.

ჰუპერისა და რიბერის ტექნოლოგიებით სწავლების მოდელის (Hooper and Rieber 1995), თანახმად, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ადაპტაციის პროცესი ხუთ თანმიმდევრულ ფაზად/ეტაპად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. **გაცნობითი ეტაპი (Familiarization)** – ამ ეტაპზე ხდება ტექნოლოგიის გაცნობა და მისი ძირითადი ფუნქციების ათვისება. არ ხდება აღნიშნული ცოდნის გამოყენება ან განვრცობა;
2. **გამოყენების ეტაპი (Utilization)** – ეს ეტაპი გულისხმობს ტექნოლოგიის საბაზო ფუნქციების ეპიზოდურ გამოყენებას სასწავლო პროცესში ტექნოლოგიის რეალური ინტეგრირების გარეშე;
3. **ინტეგრაციის ეტაპი (Integration)** – ეს ეტაპი გარდამტეხია, რადგან გულისხმობს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიის რეგულარულ გამოყენებას და დაკავშირებას სწავლის შედეგებთან. ტექნოლოგიას დიდ მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესში და მის განუყოფელ ნაწილად იქცევა;

4. **რეორიენტაციის ეტაპი (Reorientation)** – ამ ეტაპზე სწავლების მეთოდები ვითარდება ტექნოლოგიაზე დაყრდნობით, ტექნოლოგიის გამოყენებას სწავლების ახალი სტრატეგიების განვითარებამდე მივყავართ;
5. **ევოლუციის ეტაპი (Evolution)** – ეს ეტაპი გულისხმობს უწყვეტ ადაპტაციასა და სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებას ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ. სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული აქტორები თავადაც მონაწილეობენ ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებაში.

თეორიის ავტორები ტექნოლოგიაში გულისხმობდნენ როგორც პროგრამების, ასევე უშუალოდ ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებას.

ჰუპერისა და რიბერის მოდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მისი ეტაპები კუმულატიურია – ბოლო ეტაპები თავის თავში მოიაზრებს წინმსწრებ ეტაპებს. ავტორები მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დამკვიდრებისას აქტორები ხშირად გადიან პირველ და მეორე ფაზას, ინტეგრაციის ან შემდგომი ეტაპები კი მიულწეველი რჩება (Hooper and Rieber 1995). მიზეზების განხილვისას კვლევებში საუბარია პროფესიული განვითარების აქტივობების გაუმჯობესების საჭიროებაზე (Wright and Wilson 2011) და ზოგადად რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამოწვევებზე, სადაც მოიაზრება როგორც უშუალოდ ტექნოლოგიებზე/პროგრამებზე, ასევე მხარდამჭერ სერვისებზე წვდომა (Sackstein and Slonimsky 2017). ზოგიერთ კვლევაში საუბარია აკადემიურ პერსონალში არსებულ შიშზე პედაგოგიური მიდგომების გარდაუვალი ცვლილების წინაშე, რაც ტექნოლოგიების დანერგვის მომდევნო ეტაპებზე გადასვლას აფერხებს (ტექნოლოგიების ინტეგრაციის ეტაპი გულისხმობს სწავლის მეთოდების ფუნდამენტურ ცვლილებას) (Saldivar et al. 2011). ეს გარემოებები ხელს უშლის ცვლილებების მართვის პროცესში ტექნოლოგიების სრული პოტენციალის გამოვლენას.

ჰუპერისა და რიბერის მოდელი დღეისათვის ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კვლევებში – საგანმანათლებლო მიზნებით ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკის აღწერისა და ანალიზისათვის. ამ მოდელის უპირატესობად მიჩნეულია მისი მოქნილობა

– იგი მარტივად შეიძლება მოვარგოთ სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტს და ამოცანას (Bauer and Kenton 2005; Unkefer, Shinde, and McMaster 2009; Wright and Wilson 2011; Sackstein and Slonimsky 2017; Sahal and Ozdemir 2020).

დღეისათვის არსებობს ჰუპერისა და რიბერის მოდელის უშუალოდ პლაგიატის საკითხთან მიმართებით გამოყენების გამოცდილებაც. 2018 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ილინოისის უნივერსიტეტში ჩატარდა კვლევა, რომელიც სასწავლო პროცესში უშუალოდ ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენებას შეისწავლიდა. მოცემული კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო ნაწილობრივ ეყრდნობოდა ჰუპერისა და რიბერის თეორიას და მასთან მიმართებით განიხილავდა კონკრეტული პროგრამის გამოყენების გამოწვევებს (Meyer 2018).

ჩვენს კვლევაში ამ თეორიის დახმარებით შევეცდებით აღვწეროთ მსგავსების დამდგენი სისტემის დანერგვისა და გამოყენების პრაქტიკა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით არსებულ ორგანიზაციულ გამოწვევებზე.

ჰუპერისა და რიბერის მოდელის თავდაპირველი ვერსია მეოცე საუკუნის მიწურულს შემუშავდა და, შესაბამისად, წინ უსწრებდა საგანმანათლებლო პრაქტიკაში გარდამტეხ ტექნოლოგიურ ცვლილებებს. ამ მიზეზის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომ მოდელი შესაძლოა სრულად არ აღწერდეს საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე ტექნოლოგიებთან ადაპტაციის პროცესის სიახლეებს (Ngobeni 2017). ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში კრიტიკის საგანია მოდელის წრფივი ბუნებაც — სხვა ანალოგიური დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების მსგავსად, ამ მოდელშიც ეტაპების მიმდევრობა შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს რეალური სასწავლო პროცესის კომპლექსურ ხასიათს, სადაც ტექნოლოგიის ინტეგრაცია შეიძლება წარმოადგენდეს იტერაციულ, არაწრფივ, კონტექსტზე დამოკიდებულ პროცესს. მოდელში ასევე გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი ტექნოლოგიის ინტეგრაციის პროცესზე მოქმედი ფაქტორების მრავალფეროვნება, მაგალითად, ინსტიტუციური მხარდაჭერა, აქტორების წარმოდგენები და დამოკიდებულებები და რესურსების ხელმისაწვდომობის

ასპექტები (Wright and Wilson 2011; Sweeder and Bednar 2001). ამ შეზღუდვების გათვალისწინებით, ჰუპერისა და რიბერის მოდელი და შესაბამისი ინსტრუმენტი ნაშრომში დამხმარე ფუნქციას ასრულებს (სურათის პირველადი კონტურის დადგენისთვის) ამ სურათზე დაყრდნობით თვისებრივ ნაწილში დისკუსიის სტიმულირებისთვის. ასევე მოდელის მიხედვით შექმნილი საზომის გამოყენებით მიღებული მონაცემები კვლევაში ყოველთვის მოცემულია თვისებრივ მონაცემებთან კომბინაციაში.

ნაშრომში მოდელის გამოყენების ეს სტრატეგია შესაძლებლობას იძლევა, უფრო ფართო რაკურსით შევისწავლოთ ტექნოლოგიების ადაპტაციის პროცესი სხვა კონტექსტურ მონაცემებთან კომბინაციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ამოცანაა, არა მხოლოდ დავადგინოთ, თუ რომელ საფეხურს აღწევს აკადემიური პერსონალი კონკრეტულად ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენებისას, არამედ ავხსნათ, თუ რატომ ხდება ასე და კონკრეტულად რა ფაქტორები ახდენს გავლენას ტექნოლოგიის დანერგვის დინამიკაზე სამიზნე უნივერსიტეტებში.

პლაგიატთან დაკავშირებული ქცევის რაციონალიზაცია – მორალური გამოთიშვის თეორია

პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკასთან ერთად კვლევის ფარგლებში კიდევ ერთ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ის, თუ რა არგუმენტებით ხსნის აკადემიური პერსონალი იმ შემთხვევებს, როდესაც პლაგიატზე თვალს ხუჭავს ან თავს არიდებს პროგრამის გამოყენებას.

პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებისა და ქცევის რაციონალიზაციის უკეთ გასაგებად ნაშრომში გამოყენებულია ალბერტ ბანდურას სოციალურ-კოგნიტიური თეორიის მორალური გამოთიშვის კონცეფცია (Bandura 1990).

მორალურ გამოთიშვას ბანდურა აღწერს როგორც პროცესს, რომლის დროსაც ადგილი აქვს მორალური სტანდარტების წნეხის შემსუბუქებას (Bandura 1990) კოგნიტიური მექანიზმების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს სუბიექტს, დისკომფორტის

გრძნობისა და სხვა ნეგატიური ემოციური შედეგების გარეშე განახორციელოს მისთვის არაკომფორტული ქცევა. ზოგჯერ ინდივიდი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება „დამკვიდრებულ“ მიღებულ სტანდარტებს. ბანდურას შემოაქვს მექანიზმები, რომლებიც მსგავს გადაწყვეტილებებს არსებული/დამკვიდრებული ნორმებისგან განაცალკევებს და ერთგვარად კონკრეტული ქცევის ამხსნელად გვევლინება. ეს მექანიზმები წარმოდგენილია ოთხ ჯგუფად¹:

I ჯგუფი: კოგნიტიური რეკონსტრუქცია – ქცევის წარმოჩენა პოზიტიურ ჭრილში

1. **მორალური გამართლება** – ინდივიდი ქცევას ამართლებს ამ ქცევის სოციალური სარგებლით; მაგალითად, ამართლებს პლაგიატზე თვალის დახუჭვას იმით, რომ ეხმარება სოციალურად დაუცველ სტუდენტს კურსის დაძლევაში;
2. **ხელსაყრელი შედარება** – ინდივიდი ქცევის ასახსნელად მოიხმობს განსხვავებული, უფრო მძიმე გარემოების მაგალითს და ამ ფონზე ცდილობს საკუთარი ქცევის გამართლებას; მაგალითად, მიიჩნევს, რომ „სხვისგან განსხვავებით, უბრალოდ კი არ იწერს, არამედ თან სწავლობს კიდევ, სხვები არც კი აკვირდებიან, რას იწერენ“;
3. **ევფემისტური ნიშანი** – ინდივიდი მიმართავს ვერბალურ მანიპულაციას საკუთარი ქცევით გამოწვეული ზიანის მოლოდინის შესამცირებლად; მაგალითად, მოიხსენიებს პლაგიატს, როგორც „იდეის სესხებას“ ან „ტექნიკურ შეცდომას“ და არა როგორც ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას.

II ჯგუფი: საკუთარი აგენტობის მინიმიზაცია გამოწვეულ ზიანში

4. **პასუხისმგებლობის დიფუზია** – ინდივიდი ქცევის განხორციელების პასუხისმგებლობას ჯგუფზე ანაწილებს. მაგალითად, პლაგიატს იმ გარემოებით

¹კონცეფციის ქართულენოვან თარგმანს პირველად ვხვდებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულ სადისერტაციო ნაშრომში. ქართულ ენაზე ტერმინების დამკვიდრების მიზნით კვლევაში დავეყრდენით ამ ნაშრომს (კვიციანი 2021)

ამართლებს, რომ „ყველა ამას აკეთებს“, ასე რომ ინდივიდუალური ქმედება ნაკლებად მნიშვნელოვანია;

5. **პასუხისმგებლობის გადატანა** – ინდივიდს ქცევაზე პასუხისმგებლობა გარე ფაქტორებზე ან სხვა ინდივიდზე (მაგალითად, ძალაუფლების მქონე პირზე) გადააქვს. მაგალითად, ამბობს, რომ პლაგიატს იმიტომ მიმართავს, რომ პროფესორმა არ ასწავლა წყაროს ციტირება.

III ჯგუფი: ქცევით გამოწვეული შედეგების უფლებელყოფა ან ზიანის მინიმიზაცია

6. **შედეგების იგნორირება** – ინდივიდი ქცევის ახსნას ცდილობს იმით, რომ სხვისთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებია. მაგალითად, არგუმენტი შეიძლება იყოს ის, „რომ სხვისი კვლევის მითვისებით არაფერი დაშავდა, ავტორი მაინც ვერასოდეს გაიგებს ამის შესახებ და არც არაფერი დააკლდება“.

IV ჯგუფი: ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება

7. **დეკუმანიზაცია** – ინდივიდი ცდილობს ქცევით გამოწვეული დისკომფორტის შემცირებას მსხვერპლისადმი ემპათიის შეზღუდვით. მაგალითად, უნივერსიტეტი თუ არ ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, არც პლაგიატის მიმართ მკაცრი სანქციების აღსრულებას უნდა ითხოვდეს;
8. **ბრალის ატრიბუცია** – ეს მექანიზმი გულისხმობს ბრალის გადატანას მსხვერპლზე – მაგალითად, დამნაშავეა უნივერსიტეტი, სადაც დავალებები განსაკუთრებით რთულია.

ბანდურას მორალური გამოთიშვის კონცეფციას აქტიურად იყენებენ სხვადასხვა მიმართულებით სამეცნიერო კვლევებში. მათ შორის ყველაზე უფრო ხშირად – ფსიქოლოგიაში. ეს თეორია ასევე გამოიყენება ორგანიზაციულ კვლევებში, როდესაც საკვლევი საკითხი შეეხება თანამშრომელთა ქცევას ორგანიზაციის შიგნით და იმ ფაქტორების შესწავლას, რაც განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს დასაქმებულებს შორის (Moore 2008; Barsky 2011; Moore et al. 2012).

განათლების მიმართულებით კვლევებში ამ თეორიის გამოყენების მაგალითებია სტუდენტებში თვითრეგულირებადი სწავლის პროცესის ანალიზი, ბულინგის კვლევა სკოლაში, მასწავლებლის მორალური დილემები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას (Obermann 2011; Gini, Pozzoli, and Hymel 2014; Morris and Chen 2023; Bembenutty 2023). უშუალოდ პლაგიატის ფენომენის კვლევისას ბანდურას მორალური გამოთიშვის კონცეფციაზე დაყრდნობით ცდილობენ ახსნან, რატომ მიმართავენ სტუდენტები პლაგიატს, როცა მათთვის ცნობილია, რომ ეს არის მიუღებელი ქცევა (Aurich 2012; Hutapea et al. 2015; Marat, Prameswari, and Ardhinindya 2015).

მოცემული კვლევა წარმოადგენს მცდელობას, ბანდურას თეორიის ქრილში შევისწავლოთ „პლაგიატზე თვალის დახუჭვის“ ან პლაგიატის დამდგენი პროგრამის გამოყენებისგან თავის შეკავების არგუმენტაცია. რესპონდენტთა მიერ გამოთქმული არგუმენტების კლასიფიკაციისთვის გამოყენებული ეს ტიპოლოგია საშუალებას გვაძლევს, ახალი რაკურსით გავიაზროთ განსხვავებული ქცევის მიზეზები პლაგიატთან მიმართებით და გავითვალისწინოთ ეს ნიუანსები შესაბამისი საუნივერსიტეტო ინტერვენციების დაგეგმვისას.

მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი და მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია შერეული დიზაინის ერთ-ერთ სახე – ე. წ. მიმდევრობითი აღმოჩენითი დიზაინი (quan→qual), სადაც რაოდენობრივი კომპონენტი წინ უძღვის თვისებრივს, თუმცა დამხმარე ფუნქციას ასრულებს თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების სტრატეგიის განსაზღვრისას (Johnson and Christensen 2014).

ამ თვალსაზრისით ეს კვლევა ე. წ. „დამოკიდებული“ შერეული დიზაინის მაგალითია, სადაც რაოდენობრივი კომპონენტი თვისებრივი კომპონენტის მიზნების განხორციელებას ემსახურება (Creswell and Poth 2016).

მიგნებების ტრიანგულაციის და ურთიერთშემავსებლობის უზრუნველყოფის გარდა, მოცემულ კვლევაში შერეული დიზაინის გამოყენებას ჰქონდა ე. წ. დიზაინის განვითარების ფუნქციაც — რაოდენობრივი მონაცემების პირველადი დამუშავების შედეგებზე დაყრდნობით შეიცვალა თვისებრივი კომპონენტის განხორციელების სტრატეგია — კერძოდ, გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი მონაწილეთა შერჩევის სტრატეგიაში და თვისებრივი მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტში.

ამასთანავე, ამ კვლევაში შერეული დიზაინის გამოყენება ემსახურებოდა მიგნებებში გარკვეული წინააღმდეგობებისა და პარადოქსების აღმოჩენასა და ახსნას, რასაც კვლევის ენაზე ე. წ. „ინიციაციის“ (initiation) ფუნქციას ვუწოდებთ (Greene, Caracelli, and Graham 1989; Bryman 2006).

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების გაერთიანების თვალსაზრისით კვლევის ფარგლებში რამდენჯერმე გამოიკვეთა ე. წ. „ინტეგრაციის წერტილი“ – თვისებრივი და რაოდენობრივი კომპონენტების შეჯერების მომენტი (Janice and Niehaus 2009; Guest 2013; Teddlie and Tashakkori 2009):

- კონცეპტუალიზაციის ფაზაზე – ორივე კომპონენტისთვის გამოყენებული იქნა ერთი კონცეპტუალური მოდელი და თეორიული კონსტრუქტები; ორივე კომპონენტისთვის ერთიანი კონცეფციის ფარგლებში შემუშავდა ინსტრუმენტების და შერჩევის პირველადი სტრატეგია;
- მეთოდოლოგიურ-ექსპერიმენტულ ფაზაზე – თვისებრივი კომპონენტის მონაცემთა შეგროვების სტრატეგია დაზუსტდა რაოდენობრივი კომპონენტის შედეგების დამუშავების საფუძველზე;
- ანალიტიკურ ფაზაზე – ორივე კომპონენტის მონაცემები გაანალიზდა ერთიანად, ნარატივის სტრუქტურა განისაზღვრა ორივე კომპონენტის შედეგების საფუძველზე;
- ინფერენციულ ფაზაზე – დასკვნების კონსოლიდაციისას, ასევე კომბინაციაში იქნა გამოყენებული რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტის მიგნებები.

მოცემული კვლევის დიზაინის კიდევ ერთი თავისებურებაა ე. წ. „შემთხვევის შესწავლის“ ელემენტების გამოყენება. „შემთხვევის შესწავლა“ წარმოადგენს თვისებრივ მიდგომას, რომლის ფარგლებში მკვლევარი შეისწავლის ე. წ. „შემოსაზღვრულ სისტემას (Bounded system – case) ამ სისტემის (შემთხვევის) დეტალური, სიღრმისეული ანალიზის გზით (Creswell and Poth 2016; Zainal 2007). ეს მიდგომა მოცემული კვლევისათვის მნიშვნელოვანია, რადგან პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკის ანალიზი განსაკუთრებულ სიღრმეს სწორედ ორგანიზაციულ კონტექსტში იძენს.

ზოგიერთი მკვლევარი „შემთხვევის შესწავლას“ მეთოდოლოგიად ან კვლევის სტრატეგიად მიიჩნევს (Denzin and Lincoln 2005; Merriam 1998; Yin 2003), მაშინ, როდესაც სხვა მკვლევრების აზრით, შემთხვევის შესწავლა წარმოადგენს არა მეთოდოლოგიას, არამედ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას შესწავლილი (შემთხვევა ე. წ. შემოსაზღვრული სისტემის შიგნით – a case within a bounded system) (Stake 2005). მოცემულ კვლევაში შემთხვევის შესწავლა სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული.

კერძოდ, კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოში მოცემული მიმართებები შესწავლილია ორი კონკრეტული უნივერსიტეტის მაგალითზე. ორივე უნივერსიტეტი წარმოადგენს მსგავს კონტექსტურ გარემოს – შედარებით „წარმატებულ“ აკადემიურ სივრცეს, სადაც პლაგიატთან ბრძოლის ხანგრძლივი გამოცდილება არსებობს და აკადემიური პროდუქტიულობაც შედარებით მაღალია (დედაქალაქში არსებული უნივერსიტეტი, Scimago University Ranking-ის მიხედვით, პირველ ადგილზეა, ხოლო რეგიონში მდებარე უნივერსიტეტი, Scopus-ის მიხედვით, პირველია რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის).

ამ თვალსაზრისით ორივე უნივერსიტეტი წარმოადგენს ე. წ. „კრიტიკულ შემთხვევას/ქეისს“ – მათი არჩევის გადაწყვეტილება ეფუძნება დაშვებას, რომ თუ პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკა საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში სადმე იქნებოდა წარმატებული, ასეთი სივრცე სწორედ ამ უნივერსიტეტებში შეიქმნებოდა.

კვლევის განხორციელებისთვის ამ უნივერსიტეტების შერჩევის გადაწყვეტილება ეფუძნება დაშვებას, რომ კონტექსტური ცვლადები (ორგანიზაციული კონტექსტი)

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკასა და პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებებზე (შერჩეული უნივერსიტეტების ძირითადი მახასიათებლების აღწერა მოცემულია დანართში #3). შესაბამისად, კონცეპტუალური მოდელის ცვლადების მიმართების უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ კონტექსტის შედარებითი ერთგვაროვნების უზრუნველყოფა.

ორივე უნივერსიტეტი არჩეულია ერთმანეთთან მსგავსებისა და სხვებისაგან განსხვავებულობის ნიშნით. ამ თვალსაზრისით, მოცემული კვლევის დიზაინი ე. წ. „ჩაშენებულ“ დიზაინად შეიძლება წარმოვიდგინოთ, სადაც ორივე შემთხვევა ერთი კონტექსტის განსხვავებულ ნიუანსებს ასახავს (შემთხვევების შერჩევის დეტალური სტრატეგია მოცემულია შემდეგ თავში).

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კვლევის ეს დიზაინი მრავლობითი შემთხვევის შესწავლას მოიაზრებს, კვლევა არ ისახავს მიზნად ამ შემთხვევების შეპირისპირებას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება მრავლობითი შემთხვევის დიზაინში. ნაცვლად ამისა, ორივე უნივერსიტეტის ნიუანსური განსხვავებები (დედაქალაქი, სხვა ქალაქი) კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების გამდიდრებისთვისა და სპეციფიკური კონტექსტური დეტალების წარმოჩენისთვის არის გამოყენებული და გაანალიზებულია, როგორც ერთი შემთხვევა – პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკის დანერგვა საქართველოს ორ წარმატებულ, საჯარო, მრავალპროფილიან უნივერსიტეტში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული რეკომენდაციების თანახმად, შერეული დიზაინი და კვლევის კონკრეტული პროცედურები ერთგვაროვნად განმეორდა ორივე სამიზნე უნივერსიტეტში (Yin 2003).

რაოდენობრივ კომპონენტში ძირითად მეთოდს წარმოადგენს ელექტრონული გამოკითხვა, ხოლო თვისებრივი კომპონენტისა – სიღრმისეული ინტერვიუ. გარდა ამისა, კვლევაში დამხმარე, ფონურ მეთოდებად გამოყენებულია დოკუმენტების და მეორადი მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი.

შერჩევის სტრატეგია და კვლევის მონაწილეები

როგორც უკვე აღინიშნა, სამიზნე უნივერსიტეტების შესარჩევად გამოყენებულ იქნა ე. წ. „კრიტიკული შემთხვევების“ შერჩევის სტრატეგია. კრიტიკული შემთხვევების შერჩევა მოიაზრებს ისეთი სუბიექტების შერჩევას, რომლებიც კრიტიკულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან დეტალებსა და ინფორმაციას გვაწვდიან საკვლევ ფენომენტთან დაკავშირებით. ისინი წარმოადგენენ ექსტრემალურ, უნიკალურ ან განსაკუთრებით ინფორმატიულ მაგალითებს კვლევის დაშვებების გადასამოწმებლად (Etikan 2016). თუ დასკვნები მართებულია კრიტიკული შემთხვევისთვის, ისინი, სავარაუდოდ, სხვა შემთხვევებზეც გავრცელდება. თუ არა – ამ შემთხვევებში აღმოჩენილი ნიუანსები ფენომენტის მნიშვნელოვან ასპექტებს გამოავლენს (Patton 2015).

უნივერსიტეტების შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენდა კვლევის პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებელი და პლაგიატთან ბრძოლის ფორმალური მექანიზმების გამოყენების გამოცდილება.

შესაბამისად, სამიზნე უნივერსიტეტების შერჩევისას დავეყრდენით ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენების მაჩვენებელს (2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წლებში სტუდენტების ნაშრომების რაოდენობა, რომელიც ამ უნივერსიტეტების ანგარიშებიდან აიტვირთა: დედაქალაქში მდებარე უნივერსიტეტი 240 589; რეგიონში მდებარე უნივერსიტეტი: 14 531). აგრეთვე, გავითვალისწინეთ უნივერსიტეტების კვლევითი პროდუქტიულობა (Scimago Institutions Ranking-ის მიხედვით, დედაქალაქში არსებული უნივერსიტეტი პირველია კვლევითი პროდუქტიულობის კუთხით და რეგიონში მდებარე უნივერსიტეტი პირველია რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის, Scopus მიხედვით). ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შევარჩიეთ ორი ყველაზე წარმატებული საჯარო უნივერსიტეტი, რომელთაგან ერთი მდებარეობს თბილისში, ხოლო მეორე – სხვა ქალაქში. ორივე შერჩეული უნივერსიტეტი შედარებით დიდი ზომის მულტიპროფილური უნივერსიტეტებია. უნივერსიტეტის შიგნით სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები.

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში რესპონდენტთა ჩართვა მოხდა სრული შერჩევის მეთოდით – ელექტრონული კითხვარი დაეგზავნა ორივე უნივერსიტეტში სამიზნე ჯგუფის ყველა წარმომადგენელს. საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 372-მა რესპონდენტმა.

რესპონდენტებიდან 246 (66%) იყო ქალი და 126 (44%) კაცი (n=372). რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიებს, ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენდა 36-50 წლამდე ასაკის რესპონდენტები (38%). გამოკითხულთა უმრავლესობას (56%) აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, ხოლო მეორე ნაწილს დასრულებული აქვს სამაგისტრო საფეხური. რაც შეეხება მათ ამჟამინდელ სტატუსს, რესპონდენტთა 54% დასაქმებულია მოწვეული ლექტორის პოზიციაზე, 24% არის ასოცირებული პროფესორი, 14% სრული და 8% ასისტენტ-პროფესორი. გამოკითხულთა უმრავლესობას (44%) აქვს თექვსმეტ წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება. დეტალური დემოგრაფიული მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი #1.

ცხრილი 1. რაოდენობრივი კომპონენტის მონაწილეთა განაწილება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით

რესპონდენტთა მახასიათებლები		n	% შერჩევაში
სქესი	ქალი	246	66.1 %
	კაცი	126	39.9 %
ასაკი	21-35 წელი	96	25.8 %
	36-50 წელი	143	38.4 %
	51-65 წელი	111	29.8 %
	66 +	22	5.9 %
სტატუსი	მოწვეული ლექტორი	201	54%
	ასისტ. პროფესორი	29	7.8 %
	ასოც. პროფესორი	88	23.7 %
	პროფესორი/ემერიტუსი	54	24.5 %
განათლება	ბაკალავრი	17	4.6 %
	მაგისტრი	147	39.5 %
	დოქტორი	208	55.9 %
მიმართულება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	304	81.9 %
	საბუნებისმეტყველო-საინჟინრო მეცნიერებები	68	19.1 %
სამუშაო გამოცდილება	0-5 წლამდე	58	15.6 %

6-15 წლამდე	149	40.1 %
16 +	165	44.3 %

აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობასთან (2045) შერჩევის ზომის დადარება აჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო მიზნობრივი ჯგუფის დაახლოებით 18%-მა, რაც ონლაინგამოკითხვებისთვის გამოჰასუხების მისაღებ მაჩვენებელს წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შერჩევაში მცირედ განსხვავებულია წილობრივი მიმართება აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის. კერძოდ, გენერალურ ერთობლიობაში აკადემიური პერსონალის წილი 30%-ს უტოლდება, მაშინ, როდესაც კვლევის შერჩევაში მათი წილი 45%-ს შეადგენს. კვლევაში ამ მახასიათებლის მიხედვით წონების გამოყენება მიზანშეწონილად არ ჩაითვალა შეცდომის მაჩვენებლის კიდევ უფრო მეტად გაზრდის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სხვა ჭრილების მიხედვით გენერალურ ერთობლიობაში სამიზნე ჯგუფების განაწილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება სამიზნე უნივერსიტეტებიდან ვერ მოხერხდა. ეს გარემოებები მიგვანიშნებს, რომ რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს კვლევაში სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და მხოლოდ ზოგადი ტენდენციების ანალიზისათვის გამოვიყენოთ.

თვისებრივ კომპონენტში მონაწილეობისათვის სამიზნე უნივერსიტეტებში რესპონდენტების შესარჩევად გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევის სტრატეგია (Campbell et al. 2020). კერძოდ, გამოყენებული იქნა შემდეგი სამი კრიტერიუმი: ა) პროფესორის აკადემიური პროდუქტიულობა; აქ მოვიაზრებთ ორ ჯგუფს, ესენია: აკადემიური პერსონალი, ვისაც სწავლებასთან ერთად აქვს კვლევის გამოცდილება და მეორე, ვისი საქმიანობაც მხოლოდ სწავლების კომპონენტზეა კონცენტრირებული. აღნიშნული კრიტერიუმის გათვალისწინება განპირობებულია იმ დაშვებით, რომ აკადემიური პერსონალი, ვინც ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, უფრო მეტად კონცენტრირებულია მონაცემების სიზუსტეზე და ეთიკური კვლევითი პრაქტიკის დაცვაზე, მაშინ, როცა მათი სწავლებაზე ორიენტირებული კოლეგებისთვის პრიორიტეტული შეიძლება იყოს სტუდენტის განვითარება და განმავითარებელი შეფასება. ამ ორი კატეგორიის ანალიზში ჩართვა საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ, რამდენად განსხვავდება მათი შეხედულებები პლაგიატის მიმართ. ბ) მეორე კრიტერიუმი

გახლდათ აკადემიური მიმართულება, სადაც გამოვყავით ორი ჯგუფი – სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებები და საბუნებისმეტყველო-საინჟინრო მეცნიერებები. კვლევები აჩვენებს, რომ დარგობრივი განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პლაგიატის აღქმაზე. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალი ყურადღებას ამახვილებს ტექნიკურ სიზუსტეზე და ორიგინალობაზე, მაშინ, როცა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები მეტ აქცენტს აკეთებენ კრიტიკულ აზროვნებაზე, ინტერპრეტაციაზე (J. Gullifer and Tyson 2010). სავარაუდოა, რომ ეს განსხვავება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს აკადემიური პერსონალი პლაგიატს და რა სტრატეგიებს იყენებენ მისი პრევენციის მიზნით. მიმართულებების კლასიფიკაციისას ვიხელმძღვანელებთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სწავლის სფეროების კლასიფიკატორით (განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი 2023). გ) დამატებით, ოთხივე ჯგუფში მინიმუმ თითო რესპონდენტი იყო ისეთი, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო ევროპის ქვეყნებში და/ან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ცხრილი 2. თვისებრივი კომპონენტისთვის რესპონდენტთა განაწილება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით

	სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო-საინჟინრო მეცნიერებები
კვლევითი პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებელი	8	8
სწავლა-სწავლების მიმართულებით გამოცდილება	8	8

საერთო ჯამში, მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით ორივე უნივერსიტეტში ინტერვიუ ჩაწერეთ 32 რესპონდენტთან (n=32). მოგვიანებით, აღნიშნული მონაცემების პირველადი დამუშავების შემდეგ, დამატებით ინტერვიუ შედგა ამავე უნივერსიტეტებში დასაქმებულ ხუთ რესპონდენტთან (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი), რომლებიც ამავე დროს არიან განათლების სფეროს ექსპერტები. მათ ვთხოვეთ, შეეფასებინათ

პირველადი მიგნებები და აეხსნათ გამოვლენილი მიმართებები. საბოლოოდ, თვისებრივ კომპონენტში მონაწილეობა მიიღო 37-მა რესპონდენტმა.

კვლევის ინსტრუმენტების აღწერა

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისას გამოყენებული ინსტრუმენტი (კითხვარი) ოთხ ნაწილს მოიცავდა: პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო კონტექსტური შინაარსის კითხვები (ამ ბლოკში წარმოდგენილი კითხვები აგროვებს ინფორმაციას კონცეპტუალური მოდელით გათვალისწინებული ცვლადების – რესპონდენტის სქესის, ასაკის, აკადემიური სტატუსის, აკადემიური ხარისხის, დარგის, სამუშაო სტაჟის შესახებ); მეორე ნაწილი შეიცავდა ზოგად კითხვებს უნივერსიტეტში პლაგიატის მასშტაბისა და მასთან ბრძოლის პრაქტიკის შეფასებისთვის. მესამე ნაწილი ჰუპერისა და რიბერის მოდელზე დაყრდნობით ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხის საზომს წარმოადგენდა, ხოლო მეოთხე ნაწილი – ბანდურას მორალური გამოთიშვის მექანიზმების ამსახველ დებულებებს.

ჰუპერისა და რიბერის თეორიის საფუძველზე ტექნოლოგიების გამოყენების საზომი ინსტრუმენტი ჩვენს კვლევაში წარმოადგენს უკვე არსებული ინსტრუმენტის ადაპტირებულ ვერსიას. თავდაპირველად ის გამოიყენეს კვლევაში, რომელიც შეისწავლიდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ კოლეჯში Turnitin-ის ადაპტაციის პრაქტიკას (Meyer 2018). ამ ვერსიაში მოცემული ინსტრუმენტი 19 დებულებისგან შედგებოდა (Meyer 2018). ჩვენი კვლევის ინსტრუმენტი ამ ნაწილში 16 დებულებისგან შედგება, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გადაწყდა სამი დებულების ამოღება ინსტრუმენტის ადაპტაციის ეტაპზე.

მოცემული კითხვარის ბოლო ნაწილში გამოყენებულია ბანდურას მორალური გამოთიშვის დამდგენი ინსტრუმენტის ადაპტირებული ვერსია. მორალური გამოთიშვის საზომი ინსტრუმენტი ძირითადად გამოიყენება იმ კვლევებში, სადაც ავტორები ცდილობენ ახსნან, რა განაპირობებს ადამიანის ქცევას მაშინ, როდესაც მან იცის, როგორია საკითხის სწორი გადაწყვეტა, თუმცა რიგი მიზეზების გამო ირჩევს სხვა გამოსავალს

(Moore et al. 2012; Fida et al. 2016). კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მკვლევრები ინსტრუმენტის დებულებებს კონკრეტული საკითხის მიხედვით უკეთებენ მოდიფიცირებას. ჩვენს კვლევაში სწორედ ასეთი საზომია ინტეგრირებული – სკალის ზოგადი დებულებები მორგებულია კვლევისათვის სპეციფიკურ შინაარსს – პლაგიატის შემთხვევებისგან თავის არიდებას. კითხვარის ეს ნაწილი 8 დებულებას მოიცავს (თითო მორალური გამოთიშვის თითოეული კომპონენტისთვის), სადაც პასუხები მოცემულია სკალაზე 1-დან 4-მდე. რესპონდენტი ეთანხმება ან არ ეთანხმება დებულებებს (იხ. დანართი #2).

კონცეპტუალური ჩარჩოთი გათვალისწინებული კონსტრუქტების საზომი სკალების ქართულ ენაზე შემუშავების პროცესი გულისხმობდა რამდენიმე ეტაპს:

- კვლევის უკვე არსებული ინსტრუმენტების ანალიზს;
- კითხვარის კომპონენტების ქართულ ენაზე თარგმნას;
- კითხვარის კომპონენტების უკუთარგმნას ინგლისურ ენაზე;
- ექსპერტთა ჯგუფის მოწვევას დებულებების საბოლოო ფორმირებისთვის;
- ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის შედეგების ანალიზს და კითხვარის შინაარსის ვალიდურობის მაჩვენებლების გამოთვლას (Content Validity Index);
- კითხვარის პილოტირებას (44 მონაწილე);
- პილოტირების შემდეგ 8 რესპონდენტის სიღრმისეულ ინტერვიუს;
- პილოტირების შედეგებზე დაყრდნობით კითხვარის რევიზიას;
- ტექნოლოგიების გამოყენების სკალისთვის დამატებით განხორციელდა ფაქტორული სტრუქტურის ანალიზი (შინაგანი კონსისტენტურობის მაჩვენებლის გამოთვლა, ფაქტორული ანალიზი).

სიღრმისეული ინტერვიუს პროტოკოლი ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა: ა) შეკითხვები ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი სისტემის გამოყენების შესახებ; ბ) შეკითხვები, რომლებიც უკავშირდება პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის აღქმას; გ) შეკითხვები, რომლებიც ამ ორი ფაქტორის მიმართებას შეიძლება ასახავდეს; დ)

შეკითხვები, რომლებიც რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ახსნას უკავშირდება.

მონაცემთა შეგროვების პროცესი და მონაცემთა ანალიზი

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში მონაცემების შეგროვება მოხდა ელკითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის ბმული დაეგზავნა სამიზნე უნივერსიტეტებში ყველა პოტენციურ რესპონდენტს. მონაცემების შეგროვება გრძელდებოდა 3 კვირის განმავლობაში, 2023 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში. მონაცემები გაანალიზდა პროგრამის SPSS გამოყენებით.

ტექნოლოგიების გამოყენების საკვლევ ინსტრუმენტის ქართული ვერსიის შესამუშავებლად თავდაპირველი წყაროდან ამოღებული 16 დებულებიდან 14-ზე ჩატარდა ძირითადი კომპონენტების ანალიზი (Principal Component Analysis – PCA). ორი დებულება ეხებოდა ზოგად დამოკიდებულებებს ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ და ამოღებული იქნა ანალიზიდან.

ფაქტორულ ანალიზში ბრუნვის მეთოდად შეირჩა Direct Oblimin. ამ ტიპის როტაცია არ გამორიცხავს ფაქტორებს შორის კორელაციას და შესაბამისად, ამ კონკრეტული შემთხვევისთვის შესაფერის მიდგომას წარმოადგენს, რადგან სკალა შინაარსობრივად კუმულატიურია და ყოველი შემდგომი საფეხური წინა საფეხურებს ეფუძნება (Fabrigar et al. 1999). ეს ნიშნავს, რომ ფაქტორები (რომლებიც სკალის საფეხურებს წარმოადგენს) შესაძლებელია არც იყოს სრულად დამოუკიდებელი.

კაიზერ-მაიერ-ოლკინის (Kaiser-Meyer-Olkin Measure - KMO) ინდექსის მაჩვენებელი მაღალია ($KMO = .90$), რაც მიუთითებს იმაზე, რომ დებულებები ერთმანეთთან საკმარისად არის დაკავშირებული და ძირითადი ფაქტორების გამოვლენის შესაძლებლობა საიმედოა; სტატისტიკურად მნიშვნელოვანია აგრეთვე ბარტლეტის ტესტის მაჩვენებელიც (Bartlett's test for sphericity) ($\chi^2 (91) = 1627,394, p < .001$), რაც ფაქტორული ანალიზის მიზანშეწონილობას ადასტურებს (*ფაქტორული ანალიზის შედეგები იხილეთ ცხრილში 3*).

პირველადი ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამფაქტორიანი განაწილება (ფაქტორების შესახებ დასკვნის გაკეთებისას გამოყენებულ იქნა კაიზერის კრიტერიუმი Kaiser's criterion eigenvalues > 1). ამ სამი ფაქტორით, ჯამურად, ვარიაციის 63% აიხსნება. ფაქტორული ანალიზი განხორციელდა რაოდენობრივი მონაცემებიდან ძირითადი ფაქტორების გამოყოფის მიზნით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ცალკეული ცვლადების დაჯგუფება უფრო ფართო განზომილებებად, რამაც გაამარტივა მონაცემთა ინტერპრეტაცია და შესაძლებელი გახდა სხვადასხვა მიმართების დადგენა.

მიღებული ფაქტორებისთვის განისაზღვრა შესაბამისი დასახელებები: **გაცნობის ფაზა**, **გამოყენების ფაზა** და **ინტეგრაციის ფაზა**. დებულებები, რომლებიც გაერთიანებულია ფაქტორებში, ასახავს პროგრამისადმი დამოკიდებულებებს და/ან მისი გამოყენების სპეციფიკას. თითოეული ფაქტორი შეესაბამება ტექნოლოგიების ათვისების ერთ-ერთ ფაზას და ეს ფაზები ერთმანეთთან კუმულატიურად არის დაკავშირებული.

- **გაცნობის საფეხურზე მყოფი** (ამ ფაქტორში მაღალი ქულის მქონე) რესპონდენტები იცნობენ პროგრამის გამოყენების ძირითად პრინციპებს და თვლიან, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვანია;
- **გამოყენების საფეხურზე მყოფი** (ამ ფაქტორში მაღალი ქულის მქონე) რესპონდენტები, დამატებით, პრაქტიკაში იყენებენ პროგრამას და მათი პირველადი შთაბეჭდილებები პროგრამასთან დაკავშირებით დადებითია;
- **ინტეგრაციის საფეხურზე მყოფი** (ამ ფაქტორში მაღალი ქულის მქონე) რესპონდენტები უფრო სიღრმისეულად იცნობენ პროგრამას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სისტემურად იყენებენ მას და დადებითად აფასებენ პროგრამის გამოყენების გრძელვადიან შედეგებს.

ცხრილი 3. ტექნოლოგიების გამოყენების სკალა (პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA)): გაცნობის, გამოყენების და ინტეგრაციის ფაზა

ფაქტორული წონები მოცემულია მუქი შრიფტით

	Pattern matrix			Structure matrix		
ფაქტორი 1: გაცნობა სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამა Turnitin-ის გამოყენება	,741	,044	,065	,778	,241	,395
ვიცი, როგორ გამოიყენება პროგრამა Turnitin ნაშრომების შემოწმებისას	,881	,069	-,043	,879	,250	,357
პროგრამა Turnitin ეფექტური ინსტრუმენტია პლაგიატის აღმოჩენისთვის	,568	-,037	,332	,699	,238	,554
ფაქტორი 2: გამოყენება ვთვლი, რომ უკეთესი მასწავლებელი ვარ, რადგან ვიყენებ პროგრამას Turnitin პროგრამა Turnitin-ის გამოყენება ძალიან მარტივია	-,039	,522	,440	,374	,604	,542
პროგრამა Turnitin-ის გამოყენებას ვურჩევდი ჩემს კოლეგას	,302	,579	,028	,568	,718	,286
პროგრამა Turnitin-ის გამოყენებას ვურჩევდი ჩემს კოლეგას	,156	,708	,115	,516	,803	,342
სტუდენტებისთვის უკუკავშირის მისაცემად ვიყენებ პროგრამა Turnitin-ს	-,028	,803	-,085	,289	,771	,086
სტუდენტთა ნაწერების შესაფასებლად ვიყენებ პროგრამა Turnitin-ის რუბრიკებს	-,008	,819	,039	,368	,825	,221
ფაქტორი 3: ინტეგრაცია პროგრამა Turnitin-ის გამოყენებით სტუდენტების ნაშრომების შეფასებისას იზოგება დრო	,211	-,045	,715	,500	,316	,783
პროგრამა Turnitin-ის გამოყენების შემდეგ ჩემს კურსში პლაგიატის შემთხვევებმა იკლო	,154	-,117	,806	,465	,272	,819
პროგრამა Turnitin-ის გამოყენება სტუდენტებს ეხმარება, უკეთ შეასრულონ წერიტი დავალებები	-,142	,123	,753	,201	,421	,747
დავესწარი ტრენინგს, სადაც ამიხსნეს, თუ როგორ გამოვიყენო პროგრამა Turnitin-ი ჩემს კურსში	-,159	,144	,799	,213	,459	,797
ვიყენებ პროგრამა Turnitin-ს ჩემს სასწავლო კურსებში დავალებების და/ან ნაშრომების პლაგიატზე	-,025	,225	,629	,290	,496	,718
პროგრამა Turnitin-ს ვიყენებ სტუდენტთა ურთიერთშეფასებისას (Peer-Review Activity)	,212	-,100	,734	,497	,271	,779

ექსტრაქციის მეთოდი: ძირითადი კომპონენტების ანალიზი

როტაციის მეთოდი: ობლიმინი კაიზერის ნორმალიზაციით

N=372

ადაპტირებულია: (Meyer 2018)

როგორც ცხრილიდან ჩანს:

- პირველი ფაქტორი (გაცნობის ფაზა) მოიცავდა სამ დებულებას, რომლებიც შეეხება ზოგად დამოკიდებულებებს პლაგიატის აღმომჩენი პროგრამის, Turnitin-ის მიმართ. ეს დებულებებია: ა) სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამა Turnitin-ის გამოყენება; ბ) ვიცი, როგორ გამოიყენება პროგრამა Turnitin ნაშრომების შემოწმებისას; გ) პროგრამა Turnitin ეფექტური ინსტრუმენტია პლაგიატის აღმოჩენისთვის (Cronbach's alpha .730);
- მეორე ფაქტორში (გამოყენების ფაზა) გაერთიანებულია დებულებები, რომლებიც პლაგიატის აღმომჩენი პროგრამის გამოყენების ძირითად ასპექტებს და პროგრამის გამოყენების პირველად შთაბეჭდილებებს ასახავს. ეს დებულებებია: ა) ვთვლი, რომ უკეთესი მასწავლებელი ვარ, რადგან ვიყენებ პროგრამას Turnitin; ბ) პროგრამა Turnitin-ის გამოყენება ძალიან მარტივია; გ) პროგრამა Turnitin-ის გამოყენებას ვურჩევდი ჩემს კოლეგას; დ) სტუდენტებისთვის უკუკავშირის მისაცემად ვიყენებ პროგრამა Turnitin-ს; ე) სტუდენტთა ნაწერების შესაფასებლად ვიყენებ პროგრამა Turnitin-ის რუბრიკებს (Cronbach's alpha= 0.863);
- მესამე ფაქტორი (ინტეგრაციის ფაზა) აერთიანებს დებულებებს, რომლებიც პროგრამის კომპლექსური ფუნქციების კურსის ფარგლებში გამოყენებას ეხება. დებულებები ასევე აღწერს პროგრამის გრძელვადიან შედეგებს. ეს დებულებებია: ა) პროგრამა Turnitin-ის გამოყენებით სტუდენტების ნაშრომების შეფასებისას იზოგება დრო; ბ) პროგრამა Turnitin-ის გამოყენების შემდეგ ჩემს კურსში პლაგიატის შემთხვევებმა იკლო; გ) პროგრამა Turnitin-ის გამოყენება სტუდენტებს ეხმარება, უკეთ შეასრულონ წერითი დავალებები; დ) დავესწარი ტრენინგს, სადაც ამიხსნეს, თუ როგორ გამოვიყენო პროგრამა Turnitin ჩემს კურსში; ე) ვიყენებ პროგრამა Turnitin-ს ჩემს სასწავლო კურსებში დავალებების და/ან ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებისთვის; ვ) პროგრამა Turnitin-ს ვიყენებ სტუდენტთა ურთიერთშეფასებისას (Peer-Review Activity) (Cronbach's alpha= 0.863).

იმისთვის, რომ დაგვედგინა გამოკითხულთა განაწილება ტექნოლოგიების გამოყენების საფეხურების მიხედვით, გამოყენებულ იქნა შემდეგი პროცედურა: თავდაპირველად, ფაქტორულ წონებზე დაყრდნობით, გამოვლინდა თითოეულ ფაქტორში საკვანძო

დებულებები. შემდეგ, ამ დებულებებზე რესპონდენტთა პასუხების გათვალისწინებით, რესპონდენტთა პასუხები ფაქტორების შიგნით დაჯგუფდა სამ ნაწილად: პასუხები, რომლებიც დადებითისკენ იხრება (ვეთანხმები, სრულად ვეთანხმები), პასუხები, რომლებიც უარყოფით კონტექსტს გამოხატავდა (სრულად არ ვეთანხმები, არ ვეთანხმები). პასუხები, რომლებიც იყო ნეიტრალური ან რესპონდენტი აცხადებდა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას. სამივე ფაქტორში მიღებული, დადებითისკენ გადახრილი ქულები დაჯამდა. მომდევნო ფაზებზე გათვალისწინებული იყო რესპონდენტთა ქულები წინმსწრებ ფაზებზე.

თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ინტერვიუები განხორციელდა ონლაინ, ვიდეოკონფერენციის ინსტრუმენტის (Zoom) გამოყენებით, ორ ეტაპად.

რადგან საკვლევი საკითხი სენსიტიურია, რაოდენობრივ კომპონენტში დაცული იყო რესპონდენტების ანონიმურობა. ასევე რესპონდენტს არ უწევდა უნივერსიტეტის მითითება. კვლევაში ჩართულ პირებს წინასწარ დაეგზავნათ ვრცელი შეტყობინება, რომელშიც გაწერილი იყო დეტალური ინფორმაცია კვლევის მიზნისა და მათი მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის გამოყენების ჩარჩოების შესახებ. აქვე განემარტათ, რომ კვლევის ანგარიშში არ მოხდებოდა მათი სახელებისა და გვარების მოხსენიება. მონაწილეებს ასევე ვთხოვეთ, იმ შემთხვევაში, თუ გაიხსენებდნენ კონკრეტულ მაგალითებს, საჭირო არ იყო ადამიანების სახელების, გვარების და/ან სხვა პირადი ინფორმაციის დასახელება. ამავე შეტყობინების საპასუხოდ მათგან გამოვითხოვეთ კვლევაში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი თანხმობა. აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა ჰქონდა, ნებისმიერ დროს უარი ეთქვა კვლევაში მონაწილეობაზე.

უშუალოდ ინტერვიუების ჩაწერის წინ, მონაწილეებს კიდევ ერთხელ, ზეპირად განემარტათ კვლევის მიზნები და მიღებულ იქნა თანხმობა კვლევაში მონაწილეობის შესახებ. ვიდეოჩანაწერები ინახებოდა ავტორის კომპიუტერში, სპეციალურად შექმნილ საქაღალდეში, რომელზე წვდომისთვის აუცილებელი იყო პაროლი. მას შემდეგ, რაც მომზადდა ინტერვიუების ტრანსკრიპტები, ვიდეოფაილები განადგურდა.

თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების დამუშავების მიზნით თავდაპირველად განხორციელდა ინტერვიუს ვიდეოჩანაწერების სიტყვა სიტყვით ტექსტობრივ ფორმატში გადაყვანა. ამის შემდეგ განადგურდა ვიდეოჩანაწერები, ხოლო ტექსტური ფაილების შემთხვევაში დამატებით შეიქმნა სარეზერვო ასლები და შენახულ იქნა განცალკევებით. თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულია თემატური ანალიზი (Braun and Clarke 2006) NVivo-ს პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. თავდაპირველად განხორციელდა ღია კოდირება – მონაცემების სისტემატური გადახედვა და ძირითადი ფრაზების, იდეებისა და განმეორებადი შაბლონების იდენტიფიცირება. ტექსტის ყოველ მნიშვნელოვან ნაწილს მიენიჭა კოდი, რაც დაგვეხმარა მონაცემების ორგანიზებაში. პირველადი კოდირების დასრულების შემდეგ, მსგავსი კოდები გაერთიანდა კატეგორიებად მათი კონცეპტუალური მსგავსების მიხედვით. ამ პროცესის შედეგად, მონაცემებიდან დედუქციურად (მონაცემებზე დაყრდნობით) გამოიკვეთა ბანდურას მორალური გამოთიშვის თეორიის შესაბამისი თემები.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ მასში გამოყენებული კონცეპტუალური ჩარჩო კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების მხოლოდ გარკვეული რაკურსით შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, ბანდურას მორალური გამოთიშვის თეორია მხოლოდ გადაწყვეტილებისგან დისტანცირების მექანიზმების ჭრილში აღწერს იმ არგუმენტებს, რომლებსაც შეიძლება აკადემიური პერსონალის პლაგიატთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს, ხოლო ჰუპერისა და რიბერის ჩარჩო ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორცაა, მაგალითად, ამ ტექნოლოგიების სარგებლიანობის აღქმა ან ამ ტექნოლოგიებისადმი ზოგადი დამოკიდებულება. შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული კონცეპტუალური მოდელი მხოლოდ ნაწილობრივ წარმოაჩენს პლაგიატისადმი დამოკიდებულებების ნიუანსებს და პლაგიატთან ბრძოლის

ტექნოლოგიების განვითარების დინამიკას თანამედროვე საგანმანათლებლო კონტექსტში.

ამ თვალსაზრისით, მოცემული კვლევა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთ-ერთი ეტაპი პლაგიატისადმი დამოკიდებულებებისა და პლაგიატთან ბრძოლის საუნივერსიტეტო პრაქტიკის კომპლექსური საკითხების სიღრმისეული გაგებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ შემდგომ კვლევებში გაფართოვდეს თეორიული მოდელები, ისევე, როგორც ამ მოდელებით გათვალისწინებული ცვლადების მრავალფეროვნება.

კვლევის შეზღუდვების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგადად პლაგიატის თემა საკმაოდ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში დაცული იყო რესპონდენტთა ანონიმურობა ან კონფიდენციალურობა (კვლევის კონკრეტული მეთოდის სპეციფიკის შესაბამისად), თუმცა შედეგების ინტერპრეტაციის ნაწილში ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ გარემოება, რომ ადამიანებს ხშირად უჭირთ ან გაურბიან პლაგიატის საკითხზე ღიად საუბარს (McCabe 2005).

კვლევის კიდევ ერთ შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მის ფარგლებში ვერ მოხერხდა თითოეული შემთხვევის უფრო მრავალმხრივი ანალიზი. კერძოდ, რესპონდენტთა ტრიანგულაცია (მაგალითად, სასურველი იქნებოდა კვლევაში სტუდენტების ან ადმინისტრაციული პერსონალის თვალსაზრისის უკეთ ასახვა), მეთოდების და წყაროების უფრო ფართო სპექტრის გამოყენება (მაგალითად, მეორადი წყაროების ანალიზის უფრო ფართოდ და მრავალმხრივად წარმოდგენა), თითოეული უნივერსიტეტის კონტექსტის უფრო სიღრმისეული აღწერა. მეთოდოლოგიის ნაწილში აღნიშნულია, რომ სწორედ ამ გარემოებების გამო მოცემულ კვლევას ვერ ჩავთვლით მრავლობითი შემთხვევის შესწავლის კლასიკურ მაგალითად, რომელიც, სინთეზურ ანალიზთან ერთად, შემთხვევების დეტალურ შეპირისპირებასაც გულისხმობს. ეს კომპონენტი, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად არ არის გათვალისწინებული — ანალიზისას გარკვეული კონტრასტების ხაზგასმის ნაცვლად, შემთხვევების ნიუანსური განსხვავებები შეჯერებულადაა წარმოდგენილი, ხოლო მრავლობითი შემთხვევის შესწავლის დიზაინის ნაცვლად, ეს დიზაინი ე. წ. „ჩაშენებულ დიზაინად“ არის წარმოდგენილი, სადაც თითოეული უნივერსიტეტი მიჩნეულია ერთი შემთხვევის ორ გამოვლინებად.

ნაშრომში განხილულია ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის მხოლოდ ერთი მაგალითი (Turnitin). არსებობს მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა პროგრამებიც და კონკრეტულ შემთხვევებში მათი გამოყენება/არგამოყენება შესაძლოა განსხვავებულ სურათს გვამლევდეს.

კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში აღნიშნულია, რომ მიმდევრობითი შერეული დიზაინის ფარგლებში რაოდენობრივი კომპონენტი მეტწილად დამხმარე ფუნქციას ასრულებს, თუმცა ამ გარემოების გათვალისწინებითაც მნიშვნელოვანია, დამატებით აღინიშნოს ის შეზღუდვები, რომლებიც კვლევის რაოდენობრივ კომპონენტს უკავშირდება.

რაოდენობრივი კომპონენტის დასკვნების გარე ვალიდურობის თვალსაზრისით, შეზღუდვათა ნაწილი განპირობებული იყო გამოკითხვის ფორმით — ელექტრონული ანკეტირებისას ადგილი ჰქონდა რესპონდენტთა თვითშერჩევას, რაც ზრდის იმის რისკს, რომ კვლევაში შედარებით აქტიური, საკითხით დაინტერესებული რესპონდენტები მიიღებდნენ მონაწილეობას და ეს აისახებოდა საბოლოო შედეგზე. ანალიზისას ამ სისტემური შეცდომის კიდევ უფრო გაზრდის საფრთხის თავიდან არიდების მიზნით, არ იქნა შეწონილი მონაცემები, რაც მიგნებების განზოგადებისას დამატებითი სიფრთხილის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

რაოდენობრივ კომპონენტში რესპონდენტთა ანონიმურობის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, გამოკითხვისას არ ხდებოდა რესპონდენტთა უნივერსიტეტის იდენტიფიცირება, რამაც შემდგომში შეუძლებელი გახადა მონაცემთა სეგრეგირება და უნივერსიტეტის, როგორც ცვლადის ანალიზში გათვალისწინება. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გამიზნულად, სოციალური სასურველობის ეფექტის შემცირების მიზნით, თუმცა ამ გარემოებამ გარკვეულწილად დააზარალა კვლევა შიდა და გარე ვალიდურობის თვალსაზრისით – კვლევაში ვერ მოხერხდა განსხვავებების დაფიქსირება გარკვეული კონტექსტური ცვლადების მიხედვით.

ბანდურას მორალური გამოთიშვის მექანიზმები რაოდენობრივ ინსტრუმენტში მხოლოდ ცალკეული დებულებების სახით იყო წარმოდგენილი, რომლებიც სრულად ვერ წარმოაჩინდა ამ მექანიზმების კომპლექსურ ბუნებას. ამ დანაკლისის შევსების გზას კვლევაში რაოდენობრივი მონაცემების თვისებრივ მონაცემებთან ტრიანგულაცია წარმოადგენს, თუმცა ცალსახაა, რომ კვლევის ფარგლებში დასრულებულად ვერ ჩაითვლება რაოდენობრივ ინსტრუმენტებზე მუშაობა და შემდგომ კვლევებში სასურველია გაგრძელდეს მუშაობა რაოდენობრივი მოდელებისა და ინსტრუმენტების დახვეწის თვალსაზრისით.

ზოგადად, ის ფაქტი, რომ რაოდენობრივ კომპონენტში წარმოდგენილი მოდელების ნაწილისთვის დაბალია ახსნითი პოტენციალი, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ცვლადებისა და კონსტრუქტების გარდა, საკითხის კვლევისათვის მნიშვნელოვანია ახალი მოდელებისა და თეორიული რაკურსების დამატება.

იგივე შეიძლება ითქვას თვისებრივი კომპონენტის მიგნებებზე – კვლევაში წარმოდგენილი მიგნებები საკითხის შესახებ არსებულ ცოდნას ერთი მიმართულებით ამდიდრებს, თუმცა წარმოაჩენს იმასაც, რომ საკითხის კვლევა ბევრი სხვა მიმართულებითაც არის აუცილებელი. მაგალითად, ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენება ტექნოლოგიების მიმდებლობის მოდელის ქრილში (დეტალურად მოცემულია ნაშრომის ბოლო ნაწილში – დასკვნა და რეკომენდაციები).

კვლევის შედეგები

ნაშრომის ეს ნაწილი იყოფა ოთხ ძირითად ქვეთავად, სადაც საკვლევი საკითხიდან გამომდინარე ყველა მნიშვნელოვანი შედეგია წარმოდგენილი. პირველი ქვეთავი წარმოადგენს უნივერსიტეტებში პლაგიატის შემთხვევების მიმართ ზოგად რეტროსპექტიულ დაკვირვებას და მსჯელობს პრობლემის სიმწვავის აღქმაზე. ეს ქვეთავი ემსახურება საკვლევი საკითხის მასშტაბების გაშლას და ერთგვარად ქმნის საფუძველს შემდგომი მიგნებებისთვის.

მეორე ქვეთავი ყურადღებას ამახვილებს ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენების პრაქტიკაზე. დეტალურად წარმოადგენს პლაგიატის პრევენციის მიზნით ტექნოლოგიების გამოყენების არსებულ გამოცდილებას, პრობლემებს და გამოწვევებს.

მესამე ქვეთავი აერთიანებს აკადემიური პერსონალის ზოგად დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს პლაგიატის მიმართ.

საბოლოო, ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეთავი, „რატომ ხუჭავს აკადემიური პერსონალი თვალს პლაგიატზე – მორალური გამოთიშვის სკალა, წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს პლაგიატის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას. აღნიშნული ქვეთავი იყოფა ოთხ ნაწილად და ეფუძნება ბანდურას მორალური გამოთიშვის მექანიზმებს. თითოეული ნაწილი აღწერს ნარატივებს, რომლებსაც პერსონალი იყენებს პლაგიატის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გასამართლებლად.

პლაგიატის შემთხვევები უნივერსიტეტში – ზოგადი დაკვირვება და პრობლემის სიმწვავის აღქმა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები თავის უნივერსიტეტებში პლაგიატის საკითხზე სისტემური (ორგანიზაციული) მუშაობის თვალსაჩინო გამოვლინებებს, ძირითადად, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ხედავენ. ამ ტენდენციის განმაპირობებელ ძირითად და ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს, რესპონდენტების აზრით, უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის გარე და შიდა მექანიზმებში პლაგიატის თემის აქტუალიზაცია წარმოადგენს. კერძოდ, კვლევითი საქმიანობის სტანდარტების დაზუსტებამ და გარე მოთხოვნების გამკაცრებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო უნივერსიტეტებში პლაგიატთან ბრძოლის შიდა მექანიზმების ტრანსფორმაციას.

რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ რეფერირებად ბაზებში აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნების მოთხოვნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია როგორც

ორგანიზაციულ, ისე ინდივიდუალურ დონეზე პლაგიატთან ბრძოლის საკითხის მნიშვნელობის წინ წამოწევის თვალსაზრისით.

ორგანიზაციულ დონეზე გაფართოვდა წვდომა საერთაშორისო რეფერირებად ბაზებზე და უნივერსიტეტებში დაიწყო ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ხელს უწყობს პლაგიატის შემთხვევების დადგენას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი გახდა ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შესაძლებლობების განვითარების მექანიზმების, ისევე, როგორც შედეგების მონიტორინგის სისტემების შექმნა. თავის მხრივ, ამ ორგანიზაციულმა ცვლილებებმა, ინდივიდუალურ დონეზე უბიძგა პროფესორებს, მეტი ყურადღება გაემახვილებინათ წყაროების ციტირების წესების მიმართ; აკადემიური ნაშრომების საერთაშორისო რეფერირებად ბაზებზე წვდომის გაფართოებამ გააღრმავა ამ ბაზებისადმი აკადემიური ინტერესი. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, „ბევრ პროფესორს, არათუ სტუდენტს, ეს ბაზები იქამდე თვალითაც არ ჰქონდა ნანახი“ [მოწვეული ლექტორი].

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ციტირების კუთხით პირველ გამოწვევებს სწორედ აკადემიური სტატიის საერთაშორისო გამოქვეყნებისთვის მზადების პროცესში წააწყდა და ეს გამოწვევები, თავის მხრივ, ხაზს უსვამდა ამ მიმართულებით ორგანიზაციებში ტექნიკური ცოდნის დაგროვების მნიშვნელობას.

ვსწავლობდი სტატიებზე დაკვირვებით, რომლებსაც იმ ჟურნალებში ვკითხულობდი, სადაც ვაპირებდი გამოქვეყნებას. ეს იყო რთული პროცესი, ფაქტობრივად, სიბნელეში ხელის ცეცებას ჰგავდა. აღმოვაჩინე, რომ არსებობს სრულიად განსხვავებული ენა, რომელშიც ფარულად ჩაშენებული იყო ერთგვარი „წესები“, რომლებიც თითო-თითო უნდა აღმომეჩინა და წერის ჩემეულ სტილში ჩამეშენებინა. თითქოს ახალ ენას ვსწავლობდი. [ასოცირებული პროფესორი]

რესპონდენტები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ტექსტებს შორის მსგავსების პროგრამის დანერგვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო პლაგიატის საკითხის აქტუალიზაციისთვის. წყაროების ციტირების პრობლემასთან ერთად, ამ პროგრამის

გამოყენების პირველმა მცდელობებმა უნივერსიტეტში წარმოაჩინა აკადემიური არაკეთილსინდისიერების კიდევ ერთი გამოვლინების — „გადაწერის“ პრობლემის მასშტაბი, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე.

დისკუსიაში ჩართული აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი აგრეთვე მიიჩნევს, რომ ეს პროგრამა დაეხმარა იმ პრობლემის სიმწვავის დანახვაში, რაც უკავშირდება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალში საკვანძო უნარების ნაკლებობას.

ვფიქრობ, სხვა გარემოებებთან ერთად, სწორედ Turnitin-ის დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ უნივერსიტეტებმა ყურადღება გაამახვილეს, ზოგადად, წყაროებთან მუშაობის, ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნების კომპეტენციების განვითარების აუცილებლობაზე სტუდენტებში — როგორც უნივერსიტეტის მაკომპენსირებელ ფუნქციაზე ზოგადი განათლების ხარვეზების აღმოსაფხვრელად. [ასოცირებული პროფესორი]

რესპონდენტების ნაწილი განავრცობს ამ იდეას და მას უნივერსიტეტებში პლაგიატის პრობლემის „გახანგრძლივების“ პრობლემას უკავშირებს.

პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები საკმაოდ მკაცრია, თითქოს ამას მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა პრობლემის მასშტაბები, მაგრამ, ჩემი შეფასებით, ეს პროცესი მაინც ნელა მიმდინარეობს. ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდება, რომ საქმე გვაქვს უფრო ძირეულ პრობლემასთან, სტუდენტებმა და ზოგჯერ აკადემიურმა პერსონალმაც ზუსტად არ იცის, როგორ შექმნას კარგი ხარისხის პროდუქტი — იქნება ეს უბრალო წერიტი დავალება კურსში თუ აკადემიური ნაშრომი. ადამიანებს განა არ უნდათ, რომ კეთილსინდისიერად მოიქცნენ, წესებს კი არ ეწინააღმდეგებიან, უბრალოდ ვერ აკეთებენ ამას კომპეტენციების ნაკლებობის გამო. [მოწვეული ლექტორი]

რესპონდენტის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება, სხვა დეტალებთან ერთად, რომლებსაც ნაშრომში მოგვიანებით განვიხილავთ, აღწერს მოცემულობას, როდესაც მკაცრი წესების არსებობის პირობებში, პლაგიატი უნივერსიტეტში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას

წარმოადგენს. ამ მოსაზრებას რაოდენობრივ კომპონენტში გამოვლენილი ტენდენციაც ადასტურებს, სადაც აკადემიური პერსონალის დაახლოებით 40% აღნიშნავს, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად აწყდება პლაგიატის შემთხვევებს საუნივერსიტეტო სივრცეში.

საგულისხმოა, რომ რაოდენობრივ კომპონენტში პლაგიატის სიხშირის აღქმის თვალსაზრისით გარკვეული განსხვავებები ვლინდება აკადემიური პერსონალის მახასიათებლების მიხედვით (ცხრილი 4).

კერძოდ, პლაგიატის სიხშირის აღქმა უფრო მაღალია იმ რესპონდენტებში (აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებში), რომლებსაც მხოლოდ მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხი აქვთ (49%) იმ რესპონდენტებთან შედარებით, ვისაც დოქტორის ხარისხი აქვთ (30%) ($\chi^2(1, 344) = 13, 211, p < 0.001$). თვისებრივ კომპონენტში გამოთქმული ვარაუდის თანახმად, ეს განსხვავება უკავშირდება იმ გარემოებას, რომ პირველი ჯგუფის წარმომადგენლები ძირითადად უფრო დაბალ საფეხურზე – ბაკალავრიატში ასწავლიან, სადაც სტუდენტების რაოდენობა გაცილებით მაღალია და პლაგიატის შემთხვევები უფრო ხშირია.

ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები პლაგიატის სიხშირის აღქმაში ვლინდება მიმართულებების მიხედვით: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა 42% აღნიშნავს, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად ხვდება პლაგიატის შემთხვევებს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემთხვევაში მხოლოდ 24%-ს შეადგენს ($\chi^2(1, 343) = 6.553, p < 0.01$).

სხვა მახასიათებლები, როგორცაა: აკადემიური პერსონალის სქესი, ასაკი და სტაჟი, პლაგიატის სიხშირის აღქმაზე გავლენას არ ახდენს.

ცხრილი 4. პლაგიატის სიხშირის აღქმა აკადემიური პერსონალის მიერ (ძირითადი მახასიათებლების მიხედვით)

რამდენად ხშირად ხვდებით პლაგიატის შემთხვევებს?	იმვითად		ხშირად		X ² (df, N)	p
	n	%	n	%		
სქესი					2.332 (1,344)	,130
კაცი	78	67,2%	38	32,8%		
ქალი	134	58,8%	94	41,2%		
განათლების მიღწეული დონე					13.211(1, 344)	,000
დოქტორანტურა	134	70,2%	57	29,8%		
ბაკალავრიატი, მაგისტრატურა	78	51,0%	75	49,0%		
აკადემიური სტატუსი					3.174 (1, 344)	,077
პროფესორი	106	66,7%	53	33,3%		
მოწვეული ლექტორი	106	57,3%	79	42,7%		
მიმართულება					6.553 (1, 343)	,012
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	45	76,3%	14	23,7%		
ჰუმანიტარული და სოციალური	166	58,5%	118	41,5%		
ასაკი					5.311(3, 344)	,150
21-35	47	53,4%	41	46,6%		
36-50	93	68,4%	43	31,6%		
51-65	59	59,6%	40	40,4%		
66+	13	61,9%	8	38,1%		
სტაჟი					.023(3, 344)	,989
0-5 წლამდე	31	60,8%	20	39,2%		
6-15 წლამდე	88	62,0%	54	38,0%		
15 +	93	61,6%	58	38,4%		
სულ	212	61,6%	132	38,4%		

რეგრესიულ მოდელში ამ ცვლადების ჯამური ეფექტის ანალიზისას იგივე ტენდენცია ვლინდება – რესპონდენტები დოქტორის დიპლომით უფრო ნაკლები ალბათობით აწყდებიან პლაგიატის შემთხვევებს პრაქტიკაში ($B = -1.024$, $p < 0.001$, $\text{Exp}(B) = 0.359$), ასევე მარგინალურად სტატისტიკურად მნიშვნელოვანია აკადემიური მიმართულების ეფექტიც ($B = -0.621$, $p = 0.066$) (ცხრილი 5), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელში მოცემული ცვლადებით პლაგიატის სიხშირის აღქმებში ვარიაციის მხოლოდ მცირე ნაწილი – დაახლოებით მეათედი აიხსნება. ეს მიგნება მიგვანიშნებს, რომ არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უკეთესად ხსნიდეს განსხვავებებს პლაგიატის პრობლემის სიმწვავის აღქმაში.

ცხრილი 5. ჩემს პრაქტიკაში პლაგიატი ხშირია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა რესპონდენტთა პასუხებზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	-,320	,251	1,624	,203	,726
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	-1,024	,321	10.190	,001	,359
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	,132	,309	,182	,670	1,141
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	-,621	,338	3,376	,066	,537
ასაკი (21-35)	,035	,173	,040	,841	1,035
გამოცდილება (0-5 წელი)	,230	,219	1,098	,295	1,258
მუდმივა	-,382	,423	,818	,366	,682

Nagelkerke R Square=.085

N=344

რეფერენციული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+).

მსგავსების დამდგენი პროგრამის Turnitin გამოყენება

თვისებრივ კომპონენტში რესპონდენტები ბევრს საუბრობდნენ პლაგიატთან ბრძოლაში ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე. მათი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ტექნოლოგიები ხელს უწყობს პლაგიატთან ბრძოლას, თუმცა ამავე დროს წარმოადგენს პლაგიატისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ძლიერ ინსტრუმენტს. ამგვარად, ტექნოლოგიები ერთდროულად პლაგიატთან ბრძოლის ხელშემწყობ და ხელისშემშლელ გარემოებად გვევლინება.

კარგია, რომ გვაქვს ეს პროგრამა – სტუდენტები მოუთმენლად ელიან ხოლმე, რამდენ პროცენტს ამოაგდებს და თუ ზღვარს არ გადააჭარბებს, უხარიათ. თუმცა კარგი ისიც იქნებოდა, მეტი დრო რომ მქონოდა მათთან იმის განსახილველად, თუ რა შეცდომები დაუშვეს წყაროებთან მუშაობისას. დღეს ყველამ იცის, როგორ უზრუნველყოს ის, რომ პროგრამამ „არ დაიჭიროს“, მაგრამ ისიც იციან, რეალურად გადაწერილი მასალა სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით როგორ შენიღბონ. შედეგად ვიღებთ იმას, რომ მაინც იწერენ, თუმცა უფრო ოსტატურად, განსაკუთრებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში. [ასოცირებული პროფესორი]

ამ კონტექსტში ტექნოლოგიების ინტეგრაციის საკითხს სასწავლო პროცესში, ისევე, როგორც უმაღლესი განათლების შედეგების ხარისხის მართვის მექანიზმებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს (მაგ., უნივერსიტეტის შიდა თუ გარე ხარისხის მართვის პროცესში რამდენად ხდება ტექნოლოგიების ინტეგრირების საკითხის შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და მათი აღსრულება). ასევე, რესპონდენტების აზრით, დღეისათვის სრულად არ არის გამოყენებული ამ ტექნოლოგიების პოტენციალი, წყაროებთან მუშაობის კომპეტენციის გაუმჯობესების, ისევე, როგორც აკადემიური ნაშრომის სტრუქტურირებისა და შინაარსობრივი გამართვის მიმართულებით.

დღეს ბევრს ვსაუბრობთ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე აკადემიურ საქმიანობაში. ვისურვებდი, მეტი ცოდნა მქონოდა ამის შესახებ და შემძლებოდა ამ ცოდნის სტუდენტებთან მუშაობაში უკეთ გამოყენება. [ასისტენტ-პროფესორი]

კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში ჩაშენებული ინსტრუმენტი ქმნიდა შესაძლებლობას, დაახლოებით განგვესაზღვრა, ტექნოლოგიის ინტეგრაციის რომელ ფაზაზე იმყოფებოდნენ გამოკითხული რესპონდენტები (ცხრილი 6.) პროგრამის Turnitin გამოყენების თვალსაზრისით.

ჰუპერისა და რიბერის ტექნოლოგიების ინტეგრაციის სკალის მიხედვით შექმნილი ინსტრუმენტი რესპონდენტებს, პროგრამის Turnitin სასწავლო და კვლევით პროცესებში ინტეგრაციის მიხედვით, სამ თანმიმდევრულ საფეხურზე ათავსებდა, სადაც საფეხურის ზრდის კვალდაკვალ იზრდება პროგრამის ფუნქციონალის ცოდნისა და მისი სისტემურად გამოყენების გამოცდილება. სკალაზე ყველაზე დაბალ საფეხურს წარმოადგენს ე. წ. გაცნობის ფაზა, შუალედურ ფაზას – გამოყენების ფაზა, ხოლო ყველაზე მაღალს – ინტეგრაციის ფაზა.

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი კომპონენტისთვის მონაცემების შეგროვების სპეციფიკა არ გვამღევდა ორი სამიზნე უნივერსიტეტისთვის მაჩვენებლების ზუსტი გამოანგარიშების, განზოგადებისა და შეპირისპირების შესაძლებლობას, ანალიზის შედეგებმა გარკვეულ ტენდენციებზე მიგვანიშნა, კერძოდ: გამოკითხულ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (60 %) გაცნობის ფაზაზე იმყოფება. ეს ფაზა აერთიანებს იმ რესპონდენტებს, რომლებიც იცნობენ პროგრამის საბაზო ფუნქციებს და მიიჩნევენ, რომ ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტს წარმოადგენს პლაგიატთან ბრძოლის თვალსაზრისით, თუმცა იშვიათად იყენებენ ამ პროგრამას პრაქტიკაში. რესპონდენტების ის ნაწილი, რომელიც ძირითადად თავს იკავებდა პასუხისგან ან უთითებდა პასუხს „არ ვიცი“, გაერთიანდა კატეგორიაში, რომელსაც პირობითად გაცნობის საწყისი ფაზა ვუწოდეთ (22%).

გამოყენების საფეხურზე დაახლოებით ყოველი მეხუთე გამოკითხული რესპონდენტი იმყოფება. გაცნობის საფეხურისაგან განსხვავებით, გამოყენების ფაზაზე მყოფი რესპონდენტები უფრო მეტად იყენებენ პროგრამას სხვადასხვა საბაზო ფუნქციის განსახორციელებლად (მაგ., სტუდენტების წერიტი ნაშრომების შესაფასებლად), თუმცა სასწავლო პროცესში ამ ტექნოლოგიის რეალური ინტეგრირების გარეშე.

საქართველოსთვის შემუშავებული სკალისთვის ყველაზე მაღალ – ინტეგრაციის ფაზაზე, კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 16% იმყოფება. ეს ფაზა გულისხმობს სასწავლო პროცესში (ძირითადად სასწავლო კურსებში) პროგრამის რეგულარულ გამოყენებას და დაკავშირებას სწავლის შედეგებთან. ამ საფეხურზე ტექნოლოგიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასწავლო პროცესში და მის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

ცხრილი 6. რესპონდენტთა განაწილება ტექნოლოგიების გამოყენების სკალაზე

საფეხური ინტეგრაციის სკალაზე	რაოდ.	%
გაცნობის ფაზა (საწყისი)	83	22,3
გაცნობის ფაზა	149	40,1
გამოყენების ფაზა	81	21,8

ინტეგრაციის ფაზა	59	15,9
სულ	372	100,0

რაოდენობრივი მონაცემები აგრეთვე მიგვანიშნებს, რომ სკალის საფეხურებზე განაწილებისას შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს რესპონდენტების სხვადასხვა მახასიათებელს (ცხრილი 7).

კერძოდ, შედეგები აჩვენებს, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტებისთვის ინტეგრაციის საფეხურზე მოხვედრის ალბათობა 67%-ით დაბალია მდედრობითი სქესის რესპონდენტებთან შედარებით ($B = -1.116, p < 0.01, \text{Exp}(B) = 0.328$).

ანალოგიურად, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რესპონდენტის ასაკი ($B = -0.502, p < 0.05, \text{Exp}(B) = 0.605$). უარყოფითი კოეფიციენტი იმის მიმანიშნებელია, რომ ასაკის ზრდასთან ერთად, ინტეგრაციის საფეხურზე მოხვედრის შანსები იკლებს. კერძოდ, ასაკის ყოველი ერთით ზედა კატეგორიაში გადანაცვლებისას ტექნოლოგიების ინტეგრაციის შანსი დაახლოებით 40%-ით მცირდება (ასაკის კატეგორიებისთვის იხილეთ ცხრილში მოცემული მონაცემები).

რეგრესიული ანალიზის თანახმად, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რესპონდენტის გამოცდილება (სტაჟი), რომელიც, ასაკისგან განსხვავებით, დადებითი ნიშნით არის დაკავშირებული ტექნოლოგიების ინტეგრაციის ალბათობასთან ($B = -0.557, p < 0.05, \text{Exp}(B) = 1,745$). კერძოდ, გამოცდილების მაჩვენებლის ერთი ერთეულით ზრდისას ინტეგრაციის საფეხურზე მოხვედრის ალბათობა დაახლოებით 75%-ით იზრდება (გამოცდილების კატეგორიებისთვის იხილეთ ცხრილში მოცემული მონაცემები). სხვა ფაქტორებს (მაგალითად, რესპონდენტის განათლებას, აკადემიურ სტატუსსა და მიმართულებას) არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ინტეგრაციის საფეხურზე მოხვედრის ალბათობაზე.

რეგრესიული ანალიზის შედეგები რომ შევაჯამოთ, რესპონდენტთა პერსონალური მახასიათებლები (როგორცაა: ასაკი, სქესი, გამოცდილება) უფრო მნიშვნელოვან როლს

ასრულებს ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხარისხის წინასწარმეტყველებაში, ვიდრე აკადემიური სტატუსი ან დარგთან დაკავშირებული ფაქტორები.

ცხრილი 7. სხვადასხვა ფაქტორის გავლენა ტექნოლოგიების ინტეგრაციის საფეხურზე მოხვედრის ალბათობაზე – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	-1,116	,389	8,214	,004	,328
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	,211	,406	,272	,602	1,235
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,626	,401	2,433	,119	,535
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	-,782	,505	2,400	,121	,457
ასაკი - 25-35	-,502	,228	4,839	,028	,605
გამოცდილება - 0-5 წლამდე	,557	,280	3,964	,046	1,745
მუდმივა	-1,368	,552	6,139	,013	,255

Nagelkerke R Square=,110

N=327

რეგრესიული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი).

თვისებრივ კომპონენტში რესპონდენტები ღიად საუბრობდნენ პროგრამა Turnitin-ის გამოყენების უპირატესობებსა და გამოწვევებზე. ყველა მათგანი ადასტურებს, რომ მათ უნივერსიტეტში სავალდებულოა საკვალიფიკაციო ნაშრომის შემოწმება სამივე საფეხურზე. უნივერსიტეტებში არსებობს პროგრამის გამოყენების პროცედურის ამსახველი წესი. რესპონდენტების აზრით, საკვალიფიკაციო ნაშრომების ამ წესით პლაგიატზე შემოწმება „...ერთგვარად წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან ადრე ტექნიკურად ამის საშუალება არ იყო“. აკადემიური ნაშრომის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შემოწმებასთან მიმართებით განსხვავებული შეხედულებები არ ვლინდება, ყველა თანხმდება, რომ ხარისხის მინიჭებისას შესრულებული ნაშრომი აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს სავალდებულო შემოწმებას.

თუმცა, როდესაც საუბარი პროგრამის უფრო კომპლექსურ გამოყენებას – მის სასწავლო პროცესში, კურსებში ინტეგრირებას ეხება, რესპონდენტების მოსაზრებებში

მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება. ერთ-ერთ სადავო საკითხს, მაგალითად, წარმოადგენს სემესტრის განმავლობაში წერით ნაშრომებთან პროგრამის სისტემურად გამოყენება.

რესპონდენტთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ აქტიურად იყენებს ამ პროგრამას, რადგან ამით ახერხებს, უფრო მარტივად მართოს წერითი დავალებების ჩაბარებისა და შემოწმების პროცესი. ის რესპონდენტები, რომლებიც კომპლექსურად იყენებენ პროგრამას სასწავლო პროცესში, დეტალურად აღწერენ, თუ როგორ გაუმარტივდათ შრომა განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდ ჯგუფებთან მოუწიათ მუშაობა. რესპონდენტები გვიყვებიან, რომ ამ პროგრამის გამოყენებამდე უწევდათ „უზარმაზარი ძალისხმევის გაწევა წერითი ნაშრომების შესამოწმებლად, ახლა კი ამდენი დროის დახარჯვა აღარ არის საჭირო“. რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი აზუსტებს, რომ მოცემულ პროგრამას გამოიყენებენ უკვე 5-6 წელია, ზოგიერთ შემთხვევებში უფრო დიდხანს – თითქმის 8-9 წელია და პერიოდულად უზიარებენ გამოცდილებას კოლეგებს. მათი დაკვირვებით, ბევრმა სწორედ ასეთი რეკომენდაციის შემდეგ დაიწყო ამავე პროგრამის სასწავლო პროცესში ინტეგრირება. თუმცა რესპონდენტები იმასაც აღიარებენ, რომ პროგრამის დანერგვას სასწავლო პროცესში გარკვეული ძალისხმევა სჭირდება (მაგ., აუცილებელია, გარკვეული დრო დაუთმო ტექნიკურად დავალების მომზადებას, შემდეგ დეტალურად აუხსნა სტუდენტებს, გაუგებრობის შემთხვევაში სწრაფად აღმოუჩინო დახმარება და სხვ.), რომელსაც ყველა პროფესორი არ იჩენს.

რესპონდენტთა მეორე ნაწილი უფრო კრიტიკულ პოზიციას ავლენს. არგუმენტაცია, ძირითადად, უკავშირდება პროგრამის სპეციფიკის ათვისებისა და გამოყენების ტექნიკურ სირთულეებს. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ პროგრამის გამოყენება „დიდად არაფერს მატებს სასწავლო პროცესს“, სტუდენტებში იწვევს არასაჭირო სტრესს ან ზოგიერთ შემთხვევაში „გადაიტანს სტუდენტების ყურადღებას“ წერითი ნაშრომის უფრო მნიშვნელოვანი ასპექტებიდან, როგორცაა აზრის სტრუქტურირება, წყაროების შინაარსის ღრმა გააზრება და სინთეზი.

ზოგადად, სასწავლო კურსებში პროგრამის გამოყენების „სავალდებულოობის“ საკითხი, რესპონდენტის მოსაზრებით, „საკამათო საკითხია“. ერთი მხრივ, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პროგრამის კურსის ფარგლებში სასწავლო მიზნებით გამოყენების გადაწყვეტილება, პირველ ყოვლისა, თავად პროფესორის გადაწყვეტილება უნდა იყოს, რადგან ეს გადაწყვეტილება კურსის სპეციფიკაზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, გარე მოტივატორების ნაკლებობა გარკვეულწილად აფერხებს პროგრამის შესაძლებლობების – სრული პოტენციალის ათვისებას.

ერთ-ერთი რესპონდენტი მიანიშნებს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზე, მათი თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფრო მკაცრად ეკიდება მოწვეული ლექტორების მხრიდან პროგრამის გამოყენების საკითხს, ვიდრე იმავე პრაქტიკას პროფესორებს შორის.

ზოგჯერ, მოწვეულ პერსონალს აძალებენ პლაგიატის დამდგენი პროგრამის გამოყენებას, აწესებენ სავალდებულოდ. თუმცა ამის ფონზე მერე აღმოაჩენ ცნობილ პროფესორს, ვისი სილაბუსიც სავსეა წერიტი დავალებებით და ამ დავალებებს მეილზე გაგზავნით იბარებს. [მოწვეული ლექტორი]

საგულისხმოა, რომ ორივე უნივერსიტეტში, სასწავლო კურსების ნაწილში პროგრამის გამოყენება სავალდებულოა და კურსის ხელმძღვანელს არჩევანის შესაძლებლობა არ აქვს. ეს წესი, პირველ ყოვლისა, მიემართება ე. წ. „გამჭოლ კურსებს“ საბაკალავრო საფეხურზე, სადაც სტუდენტების მრავალრიცხოვან ჯგუფებს უწევთ ერთგვაროვანი წერიტი დავალებების შესრულება (მაგალითად, აკადემიური წერის კურსები). ამ ტიპის კურსების ლექტორებს უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ პროგრამის მიმართ. მათი უმეტესობა გამოთქვამს სურვილს, რომ Turnitin სხვა კურსის ფარგლებშიც გამოიყენოს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კურსი მოიცავს დიდი რაოდენობით წერიტი დავალებებს. უფრო მეტიც, რესპონდენტების ამ ჯგუფის ნაწილი აგრეთვე მიიჩნევს, რომ პროგრამის გამოყენება სავალდებულო უნდა გახდეს ყველა ასეთ კურსში. რესპონდენტების აზრით, პროგრამის გამოყენების „სავალდებულოობა“ დაეხმარებოდა

პროფესორებს, პროგრამის შესაძლებლობების ათვისებაში, რადგან პროგრამის რეალურ შესაძლებლობებს „ამ ეტაპისთვის ბევრი არ იცნობს“. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ერთხელ სცადა დავალებების შემოწმება ამ მეთოდით, მომდევნო სემესტრში ცვლილება შეიტანა დავალების ტიპებში, რომ ისევ ამ პროგრამის გამოყენების შესაძლებლობა ჰქონოდა.

ამ ჯგუფში გაერთიანებული რესპონდენტები საუბრობენ ასევე იმაზე, რომ პროგრამას არ უყურებენ როგორც მხოლოდ ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენ საშუალებას, რადგან აქტიურად იყენებენ პროგრამის „უკუკავშირის ფუნქციასაც“. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „წინასწარ გაამზადა კომენტარები, ხშირად დაშვებული შეცდომების მიხედვით, რაც დავალების შეფასებისას უზოგავს დროს და ერთი და იმავე კომენტარის წერა აღარ უწევს“. რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მათი პრაქტიკის გათვალისწინებით, სტუდენტები უფრო დადებითად არიან განწყობილნი, რადგან შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ ინდივიდუალური კომენტარები ნაშრომზე, ასევე ეს გარკვეულწილად ზრდის ლექტორის ანგარიშვალდებულების საკითხსაც.

პროგრამის სასწავლო კურსში გამოყენების გადაწყვეტილებას აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ორი მიზეზით ხსნიან: ერთი, რომ გაზარდონ სტუდენტებში ცნობიერება პლაგიატისა და მასთან ბრძოლის ტექნოლოგიების შესახებ და სტუდენტებს კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდონ, და მეორე, ეს „ერთგვარ ჩარჩოებში სვამს პროცესს“, რაც ნაკლებად იძლევა „ლავირების“ საშუალებას – ადგენს რა წესებს, როგორ უნდა მოიქცეს კურსის ხელმძღვანელი კონკრეტული გადაცდომის შემთხვევაში.

Turnitin-ის გამოყენების მოტივებზე საუბრისას, გარდა იმისა, რომ პროგრამა პროფესორს ეხმარება, სტუდენტს დროულად მიაწოდოს ინდივიდუალური უკუკავშირი. რესპონდენტები ასევე მიუთითებენ, რომ თავად პროგრამა ხშირად გამხდარა ერთგვარი „გარანტია“ იმისა, რომ სტუდენტის თხოვნის მიუხედავად, ისინი გამონაკლისს არ უშვებენ და გადაცდომაზე თვალს არ ხუჭავენ:

მგონია, რომ თუ ამ პროგრამით ამოწმებ ნაშრომებს, შენი შემწყნარებლობისთვის ადგილი აღარ რჩება. ეს ინსტრუმენტი თავად ადგენს დანამდვილებით ეს ორიგინალია თუ არა. ჩემი პრობლემაა, რომ ვარ ცოტა ლმობიერი და ამ შემთხვევაში ეს სისტემა მეხმარება, რადგან ვამბობ, რომ ეს მსგავსება სისტემამ დაადგინა და სისტემამ გაგინულათ. [სრული პროფესორი]

პროგრამის სასწავლო პროცესში სისტემურად გამოყენების მომხრეთა ჯგუფში გამოთქმული ამ პოზიტიური კომენტარების ფონზე გასათვალისწინებელია რაოდენობრივ კომპონენტში გამოვლენილი ზოგადი ტენდენციაც – ეს ჯგუფი აკადემიური პერსონალის მთლიანი რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს.

კვლევის ეს მიგნება თანხვედრაშია საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ ტენდენციასთან და მიგვანიშნებს, რომ უნივერსიტეტში არსებობს ინდივიდუალური და ორგანიზაციული ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის პროგრამის პოტენციალის სრულად გამოყენებას საუნივერსიტეტო კონტექსტში. აკადემიური პერსონალის მახასიათებლების მიხედვით პროგრამის გამოყენებაში გამოვლენილი განსხვავებები ამ ტექნოლოგიური ცვლილების დანერგვის ხელშემწყობი პოლიტიკის ხარვეზებსა და მხარდაჭერის დიფერენცირებული მიდგომების ნაკლებობაზე მიუთითებს.

პლაგიატის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება

პლაგიატთან დაკავშირებული ზოგადი დამოკიდებულების ანალიზი მნიშვნელოვანი ნაბიჯია აკადემიურ სივრცეში პლაგიატის პრევენციის მექანიზმების უკეთ გასაგებად. მოცემული კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ აკადემიურ პერსონალს შორის არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება, რაც აშკარად აისახება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების ანალიზში.

კერძოდ, რაოდენობრივი კომპონენტის ანალიზმა გამოავლინა, რომ რესპონდენტების ნაწილი თვლის, პლაგიატი დასაშვებია გარკვეულ სიტუაციებში, რაც ართულებს

უნივერსიტეტებში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. თვისებრივი კომპონენტის ანალიზში კი აღინიშნება, რომ პროფესორების ნაწილს პლაგიატის პრევენციასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები აქვთ, რაც ამ საკითხის შესახებ დისკუსიას კიდევ უფრო ამძაფრებს და ყურადღებას ამახვილებს იმ პარადოქსზე, რომელიც თეორიულად მკაცრი წესებისა და პრაქტიკულად „შერბილებული“ მიდგომების კონტრასტს წარმოაჩენს.

პლაგიატისადმი დამოკიდებულებების შესაფასებლად რაოდენობრივ კომპონენტში ჩავრთეთ დებულება – „ჩემი აზრით, პლაგიატი დასაშვებია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით“. რესპონდენტები გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას – ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ მოცემულ დებულებას ოთხქულიან სკალაზე – 1 – სრულიად არ ვეთანხმები, 4 – სრულიად ვეთანხმები.

შედეგების თანახმად, გამოკითხული აკადემიური პერსონალის ყოველი მეხუთე წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ პლაგიატი დასაშვებია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით.

საინტერესოა, რომ ამგვარ ლმობიერ დამოკიდებულებას უფრო მეტად იჩენენ ქალი რესპონდენტები (22%), მამაკაცებთან შედარებით (10%) და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2(1, 372) = 8.086, p < 0.01$).

ცხრილი 8. აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ (ძირითადი მახასიათებლების მიხედვით)

ჩემი აზრით, პლაგიატი დასაშვებია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით	არა		დიახ		χ^2 (df, N)	p
	n	%	n	%		
სქესი					8.086 (1, 372)	,003
კაცი	113	89,7%	13	10,3%		
ქალი	191	77,6%	55	22,4%		
განათლების მიღწეული დონე					1.841 (1, 372)	,180
დოქტორანტურა	175	84,1%	33	15,9%		

	სხვა	129	78,7%	35	21,3%		
აკადემიური სტატუსი						3.817 (1, 372)	,060
	პროფესორი	147	86,0%	24	14,0%		
	მოწვეული ლექტორი	157	78,1%	44	21,9%		
მიმართულება						.360(1, 371)	,601
	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	53	79,1%	14	20,9%		
	ჰუმანიტარული და სოციალური	250	82,2%	54	17,8%		
ასაკი						.696 (3, 372)	,874
	21-35	80	83,3%	16	16,7%		
	36-50	118	82,5%	25	17,5%		
	51-65	89	80,2%	22	19,8%		
	66+	17	77,3%	5	22,7%		
სტაჟი						.692 (2, 372)	,708
	0-5 წლამდე	49	84,5%	9	15,5%		
	6-15 წლამდე	123	82,6%	26	17,4%		
	15 +	132	80,0%	33	20,0%		
სულ		304	81,7%	68	18,3%		

სქესის ეფექტი შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სქესთან ერთად ვითვალისწინებთ ამავე რესპონდენტის განათლების დონეს, სტაჟს, ასაკს, მიმართულებას და აკადემიურ სტატუსს ($B = -0.884$, $p < 0.01$, $\text{Exp}(B) = 0.413$). ცვლადების ურთიერთეფექტის გათვალისწინების შემთხვევაშიც მამრობითი სქესის რესპონდენტებში პლაგიატისადმი დამოკიდებულებები უფრო მკაცრია. სხვა ფაქტორებს ამ მოდელში მნიშვნელოვანი ეფექტი არ აქვს (ცხრილი 9).

ცხრილი 9. ჩემი აზრით, პლაგიატი დასაშვებია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა დამოკიდებულებებზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	-,884	,341	6,703	,010	,413
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	-,401	,374	1,152	,283	,669
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,531	,369	2,073	,150	,588
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	,498	,358	1,944	,163	1,646
ასაკი - 25-35	,143	,201	,510	,475	1,154
გამოცდილება - 0-5 წელი	,271	,263	1,059	,304	1,311
მუდმივა	-1,851	,520	12,694	,000	,157

Nagelkerke R Square=.072

N=372

რეფერენციული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი).

შედარებისათვის, რესპონდენტებს ვკითხეთ, რამდენად ეთანხმებიან ისინი კიდევ ერთ დებულებას: „ჩემი კოლეგების აზრით, პლაგიატი დასაშვებია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით“. საინტერესოა, რომ მოცემულ დებულებას კიდევ უფრო მეტი რესპონდენტი – გამოკითხულთა 25% – დაეთანხმა. ამ დებულებაზე თანხმობის მაჩვენებლებში არ იკვეთება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები რესპონდენტის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.

კვლევის ეს მიგნება ერთგვარად პარადოქსული ხასიათისაა. ერთი მხრივ, თვისებრივ კომპონენტში რესპონდენტები თანხმდებიან, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლა უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა, მეორე მხრივ, რაოდენობრივ კომპონენტში ყოველი მეოთხე რესპონდენტი, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, მას „დასაშვებ ქმედებად მიიჩნევს“ (დეტალურად მოცემულია მომდევნო ქვეთავში).

ამ მიგნების ინტერპრეტაციისას თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ პლაგიატის მიმართ დამოკიდებულება კოლეგებში მართლაც „არაერთგვაროვანია“. რესპონდენტების აზრით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს, თუმცა გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით, კონკრეტულ სიტუაციებში აკადემიური პერსონალის ნაწილი „პლაგიატზე მკაცრ რეაგირებას საჭიროდ არ მიიჩნევს“.

დისკუსიაში მონაწილე პროფესორები იხსენებენ პირად საუბრებს კოლეგებთან, ნაწილი კი დასკვნების გამოტანისას ეფუძნება სტუდენტებისგან მიღებულ ინფორმაციას, რომ კონკრეტულ სასწავლო კურსებში მათ ლექტორებს „განსხვავებული მიდგომები“ აქვთ პლაგიატთან დაკავშირებით. ასევე რესპონდენტების ნაწილი გულწრფელად საუბრობს

იმ არგუმენტებზე, რომლებიც თავის პრაქტიკაში, კონკრეტულ სიტუაციებში, პლაგიატზე თავის დახუჭვის „გამართლებად“ ან კოლეგების პლაგიატისადმი „შედარებით ღმობიერი“ პოზიციის „დასაბუთებად“ წარმოუდგენია.

რატომ ხუჭავს აკადემიური პერსონალი თავს პლაგიატზე? – მორალური გამოთიშვის მექანიზმები

კვლევაში მონაწილე აკადემიური პერსონალის მრავალფეროვანი შეხედულებები პლაგიატის შესახებ ბევრი განსხვავებული მიდგომით შეიძლება გავანალიზოთ, თუმცა მოცემულ კვლევაში გამოყენებულია ე. წ. მორალური გამოთიშვის მექანიზმების ტიპოლოგია (Bandura 1990) – არგუმენტაციის რვა ზოგადი მექანიზმი, რომლებიც სპეციფიკურ კონტექსტში – „ნაკლებად მისაღები“, ქცევის „გამართლებისთვის“ გამოიყენება.

ამ თეორიული მოდელის გამოყენების რელევანტურობას რესპონდენტების კომენტარების თემატური ანალიზისათვის განაპირობებს ის გარემოება, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება აკადემიური სივრცის ერთ-ერთ გამაერთიანებელ, ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისადმი ერთგულების გამოხატვა ამ კვლევაში ე. წ. სოციალურად სასურველი ქმედებაა, რაც რესპონდენტების გულწრფელ „აღიარებებს“, ისევე, როგორც ამ აღიარებების არგუმენტაციას, ერთგვარად „თავის მართლების“ კონოტაციას ანიჭებს.

მოცემული კვლევის შედეგები აღწერს, თუ როგორ ვლინდება მორალური გამოთიშვის მექანიზმები მონაწილეთა ნარატივებში და გვხვმარება იმ კონტექსტური გარემოებების წარმოჩენაში, რომლებიც ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალში პლაგიატის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და ამ დამოკიდებულების რაციონალიზაციას.

კოგნიტიური რეკონსტრუქცია – ქცევის წარმოჩენა პოზიტიურ ჭრილში

მორალური გამოთიშვის თეორიის მიხედვით, „ნაკლებად მისაღები“ ქმედებისგან ინდივიდის დისტანცირების მექანიზმების ერთ-ერთ ჯგუფს ე. წ. კოგნიტიური რეკონსტრუქცია წარმოადგენს.

მორალური გამოთიშვის მექანიზმების ეს კატეგორია სამ განსხვავებულ მექანიზმს მოიცავს – „მორალურ გამართლებას“, „ევფემისტურ ნიშანსა“ და „ხელსაყრელ შედარებას“. ეს მექანიზმები განსხვავებულ ლოგიკას ეყრდნობა, თუმცა მათი გამაერთიანებელი, საერთო მახასიათებელი არის ის, რომ არგუმენტების აგების სტრატეგიები თავად ქმედების/ქმედებების „ბუნების, არსის“ მოდიფიცირებას ისახავს მიზნად იმგვარად, რომ ეს ქმედებები „ნაკლებად საზიანოდ“ წარმოჩინდეს.

მორალური გამართლება

მორალური გამართლება კოგნიტიური რეკონსტრუქციის ისეთი მექანიზმია, სადაც ინდივიდები ქცევას აღწერენ, როგორც აუცილებელს, რის გამოც იგი სოციალური ან მორალური თვალსაზრისით უფრო მისაღებად გვევლინება (Bandura 1990). მაგალითად, ძალადობრივი ქმედება შეიძლება გამართლდეს იმით, რომ ის საზოგადოების დასაცავად ან სამართლიანობის შესანარჩუნებლად ხორციელდება. ამგვარი კოგნიტიური რეკონსტრუქცია არა მხოლოდ ამცირებს ზიანის აღქმას, არამედ ამ ქცევას დადებით კონტექსტში გვიჩვენებს.

თვისებრივი კომპონენტის შედეგების თანახმად, პლაგიატის რაციონალიზაციისას მორალური გამართლების მექანიზმის გამოყენების ერთ-ერთი გავრცელებული კონტექსტი სტუდენტების საჭიროებებსა და ინტერესებზე რეფერირებაა. არგუმენტების ამ წყების საერთო მახასიათებელი ისაა, რომ პლაგიატზე თვალის დახუჭვა „სტუდენტებზე ზრუნვის“ ფორმაა.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სტუდენტების უმრავლესობას უწევს მუშაობა, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მძიმე სამუშაო დატვირთვით. სწავლების ადრეულ საფეხურზე მათ ცხოვრებაში ჩნდება ახალი ვალდებულებები, რამაც შეიძლება შექმნას სტრესული

ვითარება. ამ ფონზე, თუ სტუდენტი წარადგენს დავალებას და რამდენიმე ადგილას „დაავიწყდება“ წყაროების მითითება, რესპონდენტების განცხადებით, ეს არ წარმოადგენს „ისეთ დარღვევას, რომ შეფასების გარეშე დატოვო ნაშრომი“.

საბაკალავრო საფეხურზე მყავდა სტუდენტები, ვისაც მოუწია რეგიონიდან ჩამოსვლა. სწავლის საფასურის გარდა სჭირდებოდათ ბინის ქირა, სხვა ყოველდღიური ხარჯებიც ხომ აქვთ და ამის გამო უწევთ სუპერმარკეტებში მინიმალურ ანაზღაურებაზე მუშაობა. მორიგეობის შემდეგ მოდიოდნენ ლექციაზე და ისეთი გადაღლილები იყვნენ, რაღაცნაირად ძალიან განვიცდიდი. წარმოიდგინეთ, ასე დაღლილი ჯერ ლექციას ისმენს, შემდეგ კი დავალება უნდა მოამზადოს, ვიდრე კიდევ სამსახურში წავა. ვერ ვარ ძალიან მკაცრი მსგავს შემთხვევებში. [მოწვეული ლექტორი]

ამ ამონარიდში რესპონდენტი ხსნის, რომ არ არის დასჯაზე ორიენტირებული და ცდილობს, ხელი შეუწყოს და წაახალისოს სტუდენტები. ნარატივს განავრცობენ სხვა რესპონდენტებიც, როდესაც აღნიშნავენ, რომ ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამა თავისი არსით წარმოადგენს „სადამსჯელო ინსტრუმენტს, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება სწავლების ძირითად პრინციპს – არ შეიზღუდოს სტუდენტი თავისი იდეების გამოხატვისას“. გამოკითხულთა ეს ჯგუფი სისტემის გამოყენებას აღიქვამს საფრთხედ, რომელიც „ხელს შეუშლის სტუდენტებში კრეატიული აზროვნების განვითარებას“. საგულისხმოა, რომ ამ ნარატივს ძირითადად ვხვდებით იმ აკადემიურ პერსონალთან, ვინც ძირითადად საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს ასწავლის. მათი ეს მოსაზრებები, სწორედ ამ პრაქტიკას ეფუძნება.

სტუდენტების ემოციურ და აკადემიურ კეთილდღეობაზე ფოკუსირებისას ზოგიერთი რესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი როლი არის „სტუდენტების მხარდაჭერა, აღზრდა და არა წესების მკაცრად დაცვა“. ეს ნარატივი წარმოადგენს მორალური გამოთიშვის ფორმას, სადაც პლაგიატის იგნორირება ან მის მიმართ ლმობიერი დამოკიდებულება მორალურად მისაღებია, რადგან აღიქმება, როგორც უფრო მაღალი მიზნის (როგორცაა სტუდენტების დაცვა სტრესისგან) მიღწევის შესაძლებლობა.

მორალური გამართლების მექანიზმის გამოყენებისას რესპონდენტები საუბრობენ კიდევ ერთ კონტექსტზე – ზოგადი განათლების სისტემის ხარვეზებზე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ „სტუდენტების უმრავლესობა მოდის სკოლიდან, სადაც ამ საკითხს საერთოდ არ ექცევა ყურადღება“ და შესაბამისად, ისინი ცდილობენ, შეავსონ ეს დანაკლისი. ეს ახსნა თითქოს მათ ათავისუფლებთ პლაგიატის მიმართ მკაცრი პოლიტიკის აღსრულებისგან. ზოგადი განათლების პრობლემებზე რეფერირებას რესპონდენტები მორალური გამოთიშვის სხვა მექანიზმების გამოყენების დროსაც ახდენენ, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფოკუსი არის სტუდენტზე, როგორც ამ კონტექსტის მსხვერპლზე.

ზოგადად, თვისებრივი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მორალური გამართლება, როგორც კოგნიტიური რეკონსტრუქციის მექანიზმი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკადემიურ პერსონალში პლაგიატის მიმართ ლმობიერების რაციონალიზაციისას. რესპონდენტები თავიანთ გადაწყვეტილებებს ხსნიან, როგორც ქმედებას სტუდენტების საუკეთესო ინტერესებისთვის და საკუთარ ქცევას უფრო ფართო – საგანმანათლებლო და ეთიკური მიზნების ჭრილში ამართლებენ.

რაოდენობრივ კომპონენტში, პლაგიატთან მიმართებით მორალური გამართლების სტრატეგიის საილუსტრაციოდ გამოყენებულ იქნა დებულება – „წარმატების მიღწევის მიზნით ხანდახან ადამიანს უწევს, თვალი დახუჭოს პლაგიატის შემთხვევებზე“. ეს დებულება წარმოაჩენს მორალური გამართლების ნარატივის კიდევ ერთ ვერსიას – „პლაგიატზე თვალის დახუჭვა ზოგიერთ შემთხვევაში გარდაუვალია, თუ არ გვინდა, რომ ადამიანს წინსვლაში, დასახული მიზნის მიღწევაში ხელი შევუშალოთ“.

სამიზნე უნივერსიტეტებში რესპონდენტების პასუხების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ ტიპის არგუმენტაციას გარკვეული ხარისხით რესპონდენტების 40% ეთანხმება. ამასთანავე, ამ დებულებასთან მიმართებით მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელი იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად: 21-35 წლის რესპონდენტების ჯგუფში ამ დებულებაზე დათანხმების ალბათობა ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 66+ ასაკის რესპონდენტებში და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($X^2(3,372) = 11.176, p < 0.01$). სხვა

მახასიათებლების მიხედვით არსებითი განსხვავებები არ იკვეთება. საინტერესოა, რომ ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის ტექნოლოგიების გამოყენების კონტექსტიც. კერძოდ, დებულებაზე თანხმობის მაჩვენებელი მსგავსია ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის უფრო სიღრმისეული და სისტემური გამოყენების შემთხვევაშიც.

ცხრილი 10. რესპონდენტების განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (კოგნიტიური რეკონსტრუქცია/მორალური გამართლება)

კოგნიტიური რეკონსტრუქცია - მორალური გამართლება		ქულა მორალური გამოთიშვის სკალაზე				X ² (df, N)	p
		დაბალი		მაღალი			
		n	%	n	%		
სქესი						.997(1,372)	,370
	კაცი	81	64,3%	45	35,7%		
	ქალი	145	58,9%	101	41,1%		
განათლების მიღწეული დონე						.518(1,372)	,521
	დოქტორანტურა	123	59,1%	85	40,9%		
	სხვა	103	62,8%	61	37,2%		
აკადემიური სტატუსი						.056(1,372)	,832
	პროფესორი	105	61,4%	66	38,6%		
	მოწვეული ლექტორი	121	60,2%	80	39,8%		
მიმართულება						.427(1,371)	,581
	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	43	64,2%	24	35,8%		
	ჰუმანიტარული და სოციალური	182	59,9%	122	40,1%		
ასაკი						11.176(3,372)	,011
	21-35	70	72,9%	26	27,1%		
	36-50	88	61,5%	55	38,5%		
	51-65	57	51,4%	54	48,6%		
	66+	11	50,0%	11	50,0%		
სტაჟი						9.416 (2,372)	,009
	0-5 წლამდე	38	65,5%	20	34,5%		
	6-15 წლამდე	102	68,5%	47	31,5%		
	15 +	86	52,1%	79	47,9%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი						1.459 (1,372)	,248

	დაბალი	186	59,4%	127	40,6%
	მაღალი	40	67,8%	19	32,2%
სულ		226	60,8%	146	39,2%

ევფემისტური ნიშანი

ევფემისტური ნიშანი კოგნიტიური რეკონსტრუქციის კიდევ ერთი მექანიზმია, რომელიც გულისხმობს ენობრივი კონსტრუქტების იმგვარად გამოყენებას, რომ შერბილდეს აქცენტი ქცევის უარყოფით ასპექტებზე (Bandura 1990). როდესაც ადამიანები ზიანის მომტან ან ამორალურ ქმედებებს ნაკლებად საზიანო ტერმინებით აღწერენ, ისინი დისტანცირდებიან მორალური ტვირთისგან. ეს სტრატეგია ნიღბავს ქცევის თანმდევ რეალობას, რაც ფსიქოლოგიურად აადვილებს ქმედებას.

რაოდენობრივ კომპონენტში ევფემისტური ნიშნის გამოყენების სტრატეგიის საილუსტრაციოდ გამოყენებულ იქნა დებულება – სტუდენტებს შორის გამოცდის დროს ერთმანეთისგან გადაწერა შეიძლება იყოს სწავლების ერთ-ერთი მეთოდი და არა პლაგიატი.

კოგნიტიური რეკონსტრუქციის ეს დებულება შედარებით მისაღები აღმოჩნდა კვლევაში ჩართული რესპონდენტების უფრო მცირე ნაწილისთვის (30%), თუმცა ამ სტრატეგიასთან მიმართებით არსებითი განსხვავებები გამოიკვეთა რესპონდენტთა მახასიათებლების მიხედვით. კერძოდ, ამ დებულებაზე დათანხმების მაჩვენებელი უფრო მაღალია მოწვეულ ლექტორებს შორის, პროფესორებთან შედარებით ($X^2(1,372) = 4.5899, p < 0.05$).

შედეგების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ევფემისტური ნიშნის გამოყენების ეს მაგალითი უფრო მისაღები აღმოჩნდა იმ რესპონდენტებისთვის, რომელთა ქულა ტექნოლოგიის ინტეგრაციის სკალაზე უფრო დაბალია ($X^2(1,372) = 6.310, p < 0.01$).

ცხრილი 11. რესპონდენტების განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (კოგნიტიური რეკონსტრუქცია/ევფემისტური ნიშანი)

კოგნიტიური რეკონსტრუქცია - ეფექტური ნიშანი		ქულა მორალური გამოთქმის სკალაზე				X ² (df, N)	p
		დაბალი		მაღალი			
		n	%	n	%		
სქესი						1.876 (1,371)	,184
	კაცი	84	66,7%	42	33,3%		
	ქალი	180	73,5%	65	26,5%		
განათლების მიღწეული დონე						.849(1,372)	,359
	დოქტორანტურა	152	73,1%	152	73,1%		
	სხვა	112	68,7%	112	68,7%		
აკადემიური სტატუსი						4.5899(1,372)	,038
	პროფესორი	131	76,6%	40	23,4%		
	მოწვეული ლექტორი	133	66,5%	67	33,5%		
მიმართულება						.234(1,372)	,656
	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	46	68,7%	21	31,3%		
	ჰუმანიტარული და სოციალური	217	71,6%	86	28,4%		
ასაკი						.372(3,372)	,946
	21-35	66	69,5%	29	30,5%		
	36-50	104	72,7%	39	27,3%		
	51-65	78	70,3%	33	29,7%		
	66+	16	72,7%	6	27,3%		
სტაჟი						1.845(2,372)	,398
	0-5 წლამდე	37	63,8%	21	36,2%		
	6-15 წლამდე	108	73,0%	40	27,0%		
	15 +	119	72,1%	46	27,9%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი						6.310(1,371)	,012
	დაბალი	214	68,6%	98	31,4%		
	მაღალი	50	84,7%	9	15,3%		
სულ		264	71,2%	107	28,8%		

აკადემიური სტატუსისა და ტექნოლოგიების ინტეგრაციის ეფექტი შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა სხვა დამოუკიდებელი ცვლადის ეფექტს ვაკონტროლებთ ($B = -.642$, $p < 0.05$, $Exp(B) = 0,642$; $B = ,957$, $p < 0.05$, $Exp(B) = 2,604$). განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტექნოლოგიების ინტეგრაციის სკალაზე რესპონდენტების ქულის ეფექტი.

კერძოდ, ამ სკალაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე რესპონდენტებში ევფემისტური ნიშნის გამოხატველ დებულებაზე დათანხმების ალბათობა 2.6-ჯერ უფრო მაღალია იმ რესპონდენტებთან შედარებით, ვისაც ამავე სკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს.

ცხრილი 12. კოგნიტიური რეკონსტრუქცია – ევფემისტური ნიშანი (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) - ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	,282	,251	1,271	,260	1,326
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	,110	,315	,121	,728	1,116
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,713	,308	5,353	,021	,490
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	,093	,305	,092	,762	1,097
ასაკი - 25-35	,073	,178	,169	,681	1,076
გამოცდილება - 0-5 წელი	,011	,222	,002	,961	1,011
ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (დაბალი)	,957	,393	5,928	,015	2,604
მუდმივა	-1,782	,547	10,605	,001	,168

Nagelkerke R Square=,07

N=327

რეგრესიული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი); ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (მაღალი).

თვისებრივ კომპონენტში ამ მიგნებაზე მსჯელობისას რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ტენდენცია შეიძლება ავხსნათ იმ გარემოებით, რომ მაგისტრისა და ბაკალავრის დიპლომის მქონე პედაგოგები ძირითადად ბაკალავრიატის საფეხურზე ასწავლიან, სადაც, თავის მხრივ, „გამოუცდელი, ახალბედა სტუდენტები სწავლობენ“, რომლებსაც საწყის ეტაპზე, დასჯის ნაცვლად, წახალისება და დახმარება სჭირდებათ.

თვისებრივ კომპონენტში ზოგიერთი რესპონდენტი პლაგიატისადმი ლმობიერ დამოკიდებულებას მართლაც ასაბუთებს იმით, რომ ის ორიენტირებულია პლაგიატის შემთხვევების პრევენციაზე და არა დასჯაზე, შესაბამისად, ამ ნარატივში პლაგიატის გამოვლენილი შემთხვევა არის „შესაძლებლობა სწავლისთვის“.

მქონია შემთხვევა, როცა სტუდენტის დავალებში ვადასტურებ, რომ ის არის გადმოწერილი. თუმცა ამ დავალებას არ ვუნულებ, ვუთითებ, რა შეცდომებია და ვაძლევ იმავე დავალების მეორედ წარდგენის საშუალებას. როგორც წესი, ეს მიდგომა მუშაობს. საბოლოოდ ჩვენი მიზანი რა არის? რომ სტუდენტმა ცოდნა წაიღოს... [ასოცირებული პროფესორი]

მსგავს ნარატივთან ერთად, თვისებრივ კომპონენტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნარატივი გამოიკვეთა, რომელიც პლაგიატს ტექნიკურ შეცდომად ან გაუგებრობად წარმოაჩენს.

რესპონდენტთა უმრავლესობა (82%) მიიჩნევს, რომ არ არსებობს გარემოება, რომელიც პლაგიატს დასაშვებს გახდიდა. მათთვის წარმოუდგენელია, ისაუბრონ შემთხვევაზე, როდესაც მსგავსი სახის გადაცდომა იქნებოდა დასაშვები. თუმცა გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არ არის მკაფიო, თუ რა უნდა ჩაითვალოს ან არ ჩაითვალოს პლაგიატად.

მაგალითად, ორი რესპონდენტი იხსენებს სადოქტორო დისერტაციისა და დოქტორანტის მიერ სტატიის გამოქვეყნების საკითხს. კერძოდ, ადრინდელი რეგულაციების თანახმად, სტატია, რომლის გამოქვეყნების ვალდებულება დოქტორანტს ჰქონდა, შეიძლებოდა ყოფილიყო დისერტაციის თემა ან მისი ნაწილი, ახლანდელი რეგულაციების მიხედვით კი, თითქოს დაუშვებელია, რომ სტატია იყოს იმავე საკითხზე. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ეს შემთხვევა არ უნდა ითვლებოდეს თვითპლაგიატად – პირიქით, სტატიის გამოქვეყნებით დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ პლაგიატის „დასაშვებობაზე“.

ამ დისკუსიას აგრძელებს პროფესორი საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან, რომელიც ამბობს, რომ „ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ დეტალებს, რაც თავისი არსით პრობლემას არ წარმოადგენს“. კერძოდ, საუბარია კვლევის დროს კონკრეტული მეთოდოლოგიის აღწერაზე, რომელიც, ობიექტური მიზეზებიდან

გამომდინარე, შესაძლებელია რამდენიმე პუბლიკაციაში განმეორდეს. რესპონდენტის მოსაზრებით, ეს არ უნდა ითვლებოდეს პლაგიატად.

როცა სტატიას ვწერ, იქ მაქვს მეთოდოლოგია, როგორ ვიღებ ცილას, ეს მეთოდოლოგია დაწვრილ წინა სტატიებშიც, იმის წინაშე. ახლა ეს რევიუერი მეუბნება, რომ ეს არის პლაგიატი. არადა წარმოუდგენელია, მე ხომ ცილის მიღების მეთოდოლოგიას ახლიდან ვერ მოვიგონებ. ამ შემთხვევაში ეს დასაშვები მგონია და ამას პლაგიატს ვერ დავარქმევ. ჩვენს დარგში არასდროს ითვლებოდა მეთოდოლოგია პლაგიატად და ეს ბოლო ორი-სამი წელია, ამაზე მოდის შენიშვნები. [სრული პროფესორი]

მართალია, ეს ორი ნარატივი ევფემისტური ნიშნის პირდაპირ მაგალითად შეიძლება არ განვიხილოთ, თუმცა საგულისხმოა, რამდენადაც ეხება ქმედებას, რომელიც შეიძლება ეთიკურობის თვალსაზრისით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ამ მაგალითების აღწერისას გამოყენებული ლექსიკა ისევე ამსუბუქებს ეთიკურ საკითხებს, როგორც ეს დამახასიათებელია ევფემისტური ნიშნის გამოყენებისას.

რამდენიმე პროფესორი ამბობს, რომ სმენიათ კოლეგებისგან, რომ „თუ ნაშრომი არის კომპილაციური ხასიათის, ან ნებისმიერ ნაშრომში, სადაც გვხვდება ლიტერატურის მიმოხილვა, დასაშვებია მსგავსება“. გამოკითხულთა ნაწილი თავადაც აღნიშნავს, რომ „ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში არსებული მსგავსებები შესაძლოა არ იყოს სერიოზული პრობლემა“. დამატებით, დისკუსიისას ერთმა რესპონდენტმა დასვა შეკითხვა, უნდა იყოს თუ არა სადოქტორო დისერტაციაზე დაფუძნებული სტატიის გამოქვეყნება კლასიფიცირებული, როგორც თვითპლაგიატი? – ის მიანიშნებდა, რომ არ აქვს ჩამოყალიბებული პასუხი ამ მიმართულებით.

რესპონდენტების ეს მსჯელობები მკაფიოდ მიუთითებს ფუნდამენტურ პრობლემაზე – აკადემიური პერსონალის ნაწილისთვის არ არის ნათელი პლაგიატის არსი – მათ არ იციან, რომ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს მითითების უგულვებლყოფა და არა წყაროებში მოცემული ინფორმაციის გამეორება ან კომპილაცია. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, რესპონდენტებისთვის ბუნდოვანია ზღვარი ტექსტებს შორის მსგავსებასა და პლაგიატს შორის.

რესპონდენტების ნაწილი კრიტიკულად მსჯელობს ამ სისტემური გამოწვევის საფრთხეებზე:

გარდა იმისა, რომ ცალკე აღებული ამგვარი შემთხვევები პრობლემას წარმოადგენს და აკადემიურ პერსონალში ინფორმაციისა და ცოდნის დეფიციტზე მიუთითებს, ეს განსხვავებული დამოკიდებულება ზოგჯერ სტუდენტისთვის დამაბნეველია, რადგან გამოდის, რომ ერთი პროფესორისთვის რაღაც მიუღებელია და მეორემ შეიძლება ამას არ მიაქციოს ყურადღება. [ასოცირებული პროფესორი]

ევფემისტური შედარება პროფესორებს საშუალებას აძლევს, უფრო ლმობიერი დამოკიდებულება ჰქონდეთ პლაგიატის მიმართ, რაც (მათსავე წარმოდგენაში) მათ ქცევას ნაკლებად პრობლემურად წარმოაჩენს. კვლევის შედეგების თანახმად, ევფემისტური ნიშანი, როგორც მორალური გამოთიშვის მექანიზმი, ერთგვარი ფარდაა, რომლის უკან ძალიან მნიშვნელოვანი სისტემური პრობლემა იმალება – ინფორმაციის დეფიციტი განაპირობებს არასწორ წარმოდგენებს პლაგიატის არსის და ზიანის შესახებ და ხელს უწყობს ამ არასწორი შეხედულებების სტუდენტებში გავრცელებას.

ხელსაყრელი შედარება

კოგნიტიური რეკონსტრუქციის კიდევ ერთი მექანიზმია ე. წ. ხელსაყრელი შედარება – ამ სტრატეგიის გამოყენებისას ინდივიდები საკუთარ ქცევას ადარებენ ისეთ ქცევას, რომელიც უფრო საზიანო ან მძიმე ჩანს. ის კვლევის ინსტრუმენტში წარმოდგენილი იყო დებულებით: „პლაგიატის შემთხვევები ჩემს სტუდენტებს შორის არ არის ისე ხშირი, როგორც სხვასთან“.

საინტერესოა, რომ რაოდენობრივი კომპონენტის თანახმად, ხელსაყრელი შედარება გამოკითხულ აკადემიურ პერსონალში ყველაზე გავრცელებულ მექანიზმს წარმოადგენს. ამ დებულებასთან მიმართებით მორალური გამოთიშვის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი რესპონდენტების 85%-ს დაუფიქსირდა.

ამასთანავე, რაოდენობრივ კომპონენტში, რეგრესიულ მოდელში არ გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აკადემიური პერსონალის მახასიათებლების მიხედვით. ამ კომპონენტში მორალური გამოთიშვის სკალაზე რესპონდენტთა ყველა ქვეჯგუფში მაჩვენებელი ერთნაირად მაღალია.

ცხრილი 13. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (კოგნიტიური რეკონსტრუქცია/ხელსაყრელი შედარება)

კოგნიტიური რეკონსტრუქცია - ხელსაყრელი შედარება	ქულა მორალური გამოთიშვის სკალაზე				X ² (df, N)	p
	დაბალი		მაღალი			
	n	%	n	%		
სქესი					.108(1,372)	,755
	კაცი	19	15,1%	107	84,9%	
	ქალი	34	13,8%	212	86,2%	
განათლების მიღწეული დონე					1.701(1,372)	,232
	დოქტორანტურა	34	16,3%	174	83,7%	
	სხვა	19	11,6%	145	88,4%	
აკადემიური სტატუსი					1.905(1,372)	,182
	პროფესორი	29	17,0%	142	83,0%	
	მოწვეული ლექტორი	24	11,9%	177	88,1%	
მიმართულება					4.384(1,371)	,052
	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	15	22,4%	52	77,6%	
	ჰუმანიტარული და სოციალური	38	12,5%	266	87,5%	
ასაკი					2.836 (3,372)	,418
	21-35	16	16,7%	80	83,3%	
	36-50	20	14,0%	123	86,0%	
	51-65	12	10,8%	99	89,2%	
	66+	5	22,7%	17	77,3%	
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი					.954 (1,372)	,419
	დაბალი	47	15,0%	266	85,0%	
	მაღალი	6	10,2%	53	89,8%	
სტაჟი					.171(2,372)	,918
	0-5 წლამდე	9	15,5%	49	84,5%	
	6-15 წლამდე	20	13,4%	129	86,6%	
	15 +	24	14,5%	141	85,5%	

პლაგიატზე მსჯელობისას ხელსაყრელი შედეგების მექანიზმი თვისებრივ კომპონენტშიც არაერთხელ იქნა გამოყენებული. რესპონდენტები საკუთარი პრაქტიკიდან იხსენებდნენ და დეტალურად აღწერდნენ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც კოლეგების საქმიანობაში პლაგიატის ფაქტებს ადასტურებდა და, შესაბამისად, მკაფიოდ აჩვენებდა, რომ „პლაგიატთან დაკავშირებით მდგომარეობა სხვებთან შეიძლება გაცილებით უარესი იყოს“.

ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებდა შემთხვევას, როდესაც კოლეგამ, რომელიც ამავე დროს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ პოზიციაზე მუშაობდა, ნაცვლად იმისა, რომ თავად შეემუშავებინა კონკრეტული წესი/დებულება (დოკუმენტი), პირდაპირ აიღო სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური დოკუმენტი და წარადგინა, როგორც საკუთარი. მეორე რესპონდენტი აღწერდა ფაქტს, როდესაც კონკრეტული სამუშაო ჯგუფის პირობებში შემუშავებული ტექსტი, რომელიც არ გამოქვეყნებულა და მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, მოგვიანებით ერთ-ერთმა კოლეგამ გამოაქვეყნა, როგორც საკუთარი აკადემიური ნაშრომი. მესამე მაგალითი უკავშირდებოდა ერთ-ერთი კოლეგის მიერ მომზადებულ სალექციო მასალებს, რომლებშიც როგორც ტექსტობრივ, ასევე საპრეზენტაციო ფორმატში ძალიან იშვიათად იყო ჩართული დამოწმებები ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ეს მაგალითები ნათლად წარმოაჩენდა პლაგიატისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებებს უნივერსიტეტში. შესაბამისად, ისინი გამოიყენებოდა, როგორც ხელსაყრელი შედეგება საკუთარ პრაქტიკაში, სტუდენტებთან ურთიერთობისას, პლაგიატისადმი შედეგებით ლმობიერი დამოკიდებულების რაციონალიზაციისთვის.

აკადემიური პერსონალი ხშირად არ იმოწმებს წყაროებს პრეზენტაციების მომზადების დროს, ეს თავის მხრივ პრობლემაა, რადგან სტუდენტი ამას უყურებს

როგორც მაგალითს. ვფიქრობ, ყველა პროფესორი ისე ყურადღებით არ კითხულობს სტუდენტის ნაშრომებს, რომ აღმოაჩინოს პლაგიატი და დაუკვირდეს ასეთ დეტალებს. სავარაუდოდ, მხოლოდ გადახედავენ ამ ნაშრომებს და ამით დაასრულებენ. [ასოცირებული პროფესორი]

ხელსაყრელი შედარების მექანიზმის გამოყენებისთვის კიდევ ერთი გავრცელებული კონტექსტია დარგების სპეციფიკის შეპირისპირება.

საინტერესოა, რომ განსხვავებული მიმართულების წარმომადგენელი პროფესორები სხვადასხვა ფორმით იყენებენ ერთსა და იმავე კონტექსტს ხელსაყრელი შედარებისთვის – ზუსტი მეცნიერებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „სხვაგან, სხვა დარგებში უარესი მდგომარეობაა“, ხოლო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ პრაქტიკაში არსებულ სურათს „კიდევ არა უშავს იმასთან შედარებით, რაც ზოგადად ხდება სოციალურ მეცნიერებებში“.

დარგების შეპირისპირებაზე, როგორც ხელსაყრელი შედარების მექანიზმზე რეფლექსიისას რესპონდენტები იმასაც ამბობენ, რომ დარგებს შორის შედარებების გამოყენება, როგორც კოგნიტიური რეკონსტრუქციის მექანიზმი, ადრე უფრო ხშირი იყო, ახლა კი იკლებს. ამ კონტექსტში ასევე საგულისხმოა, რომ „მითი, რომელიც არსებობდა ჰუმანიტარული მეცნიერებების შესახებ, რომ თითქოს ამ დარგში ახალი ცოდნის შექმნა შეუძლებელია ან რთულად მოსახერხებელია, აღარ არსებობს“. რესპონდენტების აზრით, თანამედროვე სამეცნიერო წრეებში კვლევაზე დაფუძნებული მიდგომით ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც ისევე წარმატებით შეიძლება აღმოაჩინო ახალი, როგორც ეს სხვა ნებისმიერ დარგში არის შესაძლებელი.

რესპონდენტების აზრით, წლების განმავლობაში ამ მითს ასაზრდოებდა მიდგომა, რომ საქართველოს ან ქართული ენის კვლევები იმდენად ვიწრო საკვლევე საკითხი იყო, რომ ყველაფერი უკვე ნათქვამი და გამოკვლეულია; ამას დაემატა საბჭოთა გამოცდილება, როცა ყურადღება გადატანილი იყო არა ახლის თქმაზე, არამედ უკვე არსებული ცოდნის გამეორებასა და დადასტურებაზე. გამოკითხულთა აზრით, ეს განწყობები ქმნიდა

წარმოდგენას, რომ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში „უფრო რთულია ახლის თქმა“ და შესაბამისად, უფრო დიდია ალბათობა, რომ პლაგიატის შემთხვევა დადგეს. თუმცა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ბოლო რამდენიმე წელია უფრო და უფრო ნაკლებად ესმით ეს შეხედულება.

კიდევ ერთი კონტექსტი, რომელსაც ხელსაყრელი შედეგების მექანიზმის გამოყენებისას იყენებენ რესპონდენტები, არის უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე პლაგიატის თვალსაზრისით მდგომარეობის შეპირისპირება. რამდენიმე რესპონდენტის აზრით, ზოგადი ტენდენციაა, რომ საბაკალავრო საფეხურზე პლაგიატის თემას უფრო ლმობიერად ეკიდებიან და ქულებსაც შედარებით მარტივად წერენ. მაშინ, როდესაც სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე გაცილებით დიდი ყურადღება ეთმობა პლაგიატის საკითხსაც და შეფასებასაც.

ზოგიერთი რესპონდენტი უფრო მაღალ საფეხურზე არსებულ პრობლემებს უფრო დაბალ საფეხურზე არსებული გამოწვევების შესარბილებლად იყენებს: „ბაკალავრიატში ჩემი სტუდენტების პლაგიატს ვინ დაეძებს, მაგისტრატურის საფეხურზეც იგივე ხდება“.

ამ და სხვა მაგალითებში ხელსაყრელი შედეგება პლაგიატისადმი აკადემიური პერსონალის ლმობიერი დამოკიდებულების ამხსნელად გვევლინება. რესპონდენტთა ნაწილი ამართლებს საკუთარ ქმედებებს კოლეგებში დაფიქსირებულ გადაცდომის უფრო უხემ ფორმებთან შედარებით. ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, მათ შეიძლება ჰქონიათ პლაგიატის უმნიშვნელო შემთხვევების იგნორირების გამოცდილება, თუმცა კოლეგებს გაცილებით დიდი და სერიოზული აკადემიური გადაცდომები აქვთ. მაგალითად, ისინი არ იმოწმებენ წყაროებს და ზერელედ კითხულობენ სტუდენტის დავალებებს. ეს შედეგება მათ საშუალებას აძლევს, შეამცირონ მორალური დისკომფორტი, რომელსაც პლაგიატზე თვალის დახუჭვის შემთხვევაში განიცდიან. შესაბამისად, ამ ნარატივებში საფუძვლიანად არის წარმოჩენილი მორალური გამოთიშვის მექანიზმის (მომგებიანი შედეგება) მუშაობის პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, პლაგიატის მიმართ აკადემიურ პერსონალში განსხვავებულ დამოკიდებულებებზე მიუთითებს.

აგენტობის მინიმიზაცია

მორალური გამოთიშვის მექანიზმების კიდევ ერთ კატეგორიას წარმოადგენს ე. წ. აგენტობის მინიმიზაცია, რომელიც ორ მექანიზმს აერთიანებს – პასუხისმგებლობის გადატანას და პასუხისმგებლობის დიფუზიას. ორივე მექანიზმის მიზანს წარმოადგენს ქმედების ინიცირებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ტვირთის სხვებზე განაწილება.

პასუხისმგებლობის გადატანა

პასუხისმგებლობის გადატანის მექანიზმს რაოდენობრივ კომპონენტში შეესაბამებოდა შემდეგი დებულება – აუდიტორიაში გამოცდის წერისას გადაწერის მონიტორინგი ზედამხედველის ფუნქციაა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მეც ვესწრებოდე გამოცდას.

შედეგები აჩვენებს, რომ ამ დებულებას გარკვეული ხარისხით დაეთანხმა გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა – 70%. ამასთანავე, რაოდენობრივ კომპონენტში არ იკვეთება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოკითხულთა სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. ეს მაჩვენებელი რესპონდენტთა ყველა ქვეჯგუფში ერთნაირად მაღალია.

ცხრილი 14. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (აგენტობის მინიმიზაცია/პასუხისმგებლობის გადატანა)

აგენტობის მინიმიზაცია - პასუხისმგებლობის გადატანა	ქულა მორალური გამოთიშვის სკალაზე				X ² (df, N)	p	
	დაბალი		მაღალი				
	n	%	n	%			
სქესი					.043 ^a	,897	
	კაცი	28	22,2%	98	77,8%		
	ქალი	57	23,2%	189	76,8%		
განათლების მიღწეული დონე					.134(1,372)	,804	
	დოქტორანტურა	49	23,6%	159	76,4%		

	სხვა	36	22,0%	128	78,0%		
აკადემიური სტატუსი						1.491(1,372)	,265
	პროფესორი	44	25,7%	127	74,3%		
	მოწვეული ლექტორი	41	20,4%	160	79,6%		
მიმართულება						.072(1,371)	,872
	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	16	23,9%	51	76,1%		
	ჰუმანიტარული და სოციალური	68	22,4%	236	77,6%		
ასაკი						5.46(3,372)	,141
	21-35	25	26,0%	71	74,0%		
	36-50	36	25,2%	107	74,8%		
	51-65	23	20,7%	88	79,3%		
	66+	1	4,5%	21	95,5%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი						.703(1,372)	,500
	დაბალი	74	23,6%	239	76,4%		
	მაღალი	11	18,6%	48	81,4%		
სტაჟი						.189 (2,372)	,910
	0-5 წლამდე	14	24,1%	44	75,9%		
	6-15 წლამდე	35	23,5%	114	76,5%		
	15 +	36	21,8%	129	78,2%		
სულ		85	22,8%	287	77,2%		

თვისებრივ კომპონენტში პასუხისმგებლობის გადატანისთვის ძირითადი ობიექტი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და მისი პოლიტიკაა. რესპონდენტთა უმრავლესობა აკადემიურ პერსონალში პლაგიატის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაზე საუბრისას ახსენებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის როლს და საკითხს ამ კონტექსტში განიხილავს. კერძოდ, რესპონდენტები მიაჩნებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ არსებობს სისტემური მიდგომა, რომელიც ამ საკითხს ერთიან ჩარჩოში მოაქცევს. ეს მიდგომა, თავის მხრივ, თავს იჩენს რამდენიმე მიმართულებით: გამოკითხულები საუბრობენ სტანდარტებისა და მექანიზმების არაერთგვაროვნებაზე, ზოგადად პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის საუნივერსიტეტო მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე, საინფორმაციო/სასწავლო აქტივობების ფორმატების ცვლილებების აუცილებლობასა და სხვა მნიშვნელოვანი კონტექსტური ფაქტორების, მაგალითად, პროფესორის დატვირთვის რეგულირების ახალი ფორმების შემოღების აუცილებლობაზე (უფრო ვრცლად საუბარია ამავე ქვეთავში).

რესპონდენტების ერთი ჯგუფის აზრით, დღეისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ უნივერსიტეტებში არ არსებობს შეთანხმებული სტანდარტები და ამ სტანდარტების მიხედვით სტუდენტთა შეფასების შეთანხმებული სტრატეგია:

მართალია, პროფესორს აქვს აკადემიური თავისუფლება, რის ფარგლებშიც მას შეუძლია არჩევანი შეაჩეროს ამა თუ იმ მეთოდზე, თუმცა აქვე მნიშვნელოვანია, რომ დარგებს შორის ან პროგრამის შიგნით აკადემიური პერსონალი შეთანხმდეს შეფასების საერთო მიდგომებზე; რა მიზანი აქვს ამ აქტივობას; როგორ უკავშირდება ის პროგრამის სწავლის შედეგებს და როგორ შეძლებს პროფესორი, რომ კეთილსინდისიერების პრინციპები იყოს დაცული. [ასოცირებული პროფესორი]

გამოკითხულთა აზრით, ამ გარემოების შედეგად ვიღებთ განსხვავებულ მიდგომებს პრაქტიკაში:

ორ პროფესორს შეიძლება ჰქონდეს წერილობითი ნაშრომი, ერთი ყურადღებას აქცევდეს, რა ნაწილია ამ ნაშრომში ორიგინალური და სტუდენტის მიერ მომზადებული, მაშინ, როცა სხვა პროფესორისთვის ორიგინალობა არ იყოს არსებითად მნიშვნელოვანი. [ასოცირებული პროფესორი]

რესპონდენტთა ეს ჯგუფი საუბრობს იმაზე, რომ ადმინისტრაციამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა გააძლიეროს მუშაობა და განსაზღვროს სხვადასხვა ტიპის შეფასების აქტივობები შესაბამისი რუბრიკებით, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული მიდგომების აღმოფხვრას და შექმნის თანაბარ პირობებს სტუდენტებისთვის.

რესპონდენტების მეორე ნაწილი ძირითად გამოწვევად მიიჩნევს იმას, რომ ადმინისტრაცია მუდმივად უნდა ატარებდეს პლაგიატის თემაზე ტრენინგებს ან სხვა საინფორმაციო/სასწავლო აქტივობებს, რადგან „სემესტრიდან სემესტრამდე შეიძლება შეიცვალოს აკადემიური პერსონალი, ან შეიძლება იმ კონკრეტული შეხვედრის დროს მან ვერ მოახერხოს დასწრება და, შესაბამისად, ამ ინფორმაციის მიღმა დარჩეს“. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ისინი დასწრებიან მსგავსი სახის შეხვედრებს,

თუმცა „ეს იყო საკმაოდ ადრე – დაახლოებით, 2-3 წლის წინ“. მას შემდეგ იღებენ მხოლოდ ინსტრუქციას, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში შეხსენების მიზნით უგზავნიან. რესპონდენტთა ნაწილი მიუთითებს, რომ ეს პრაქტიკა არ არის ეფექტური: „ზოგჯერ უკეთესია, თუ შეხვედები კოლეგას, რომელიც გაგიზიარებს გამოცდილებას, როგორ უმკლავდება მსგავს შემთხვევებს და შეიძლება ეს ინსპირაცია აღმოჩნდეს სხვისთვისაც“. მათი თქმით, სამწუხაროდ, მხოლოდ ვიდეოინსტრუქციების გაგზავნა ამ შესაძლებლობას არ აძლევთ.

ინტერვიუების დროს რამდენიმე პროფესორმა ისაუბრა მოწვეული ლექტორების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის პრობლემაზე:

თუ ადამიანი არ იკავებს აკადემიურ თანამდებობას და მხოლოდ კონკრეტული საგნის ფარგლებში არის მოწვეული, ის ნაკლებ ინტერესს იჩენს საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წესების მიმართ, როგორც წესი, მისი ჩართულობა გამოიხატება კონკრეტული სალექციო საათების ჩატარებით. [ასოცირებული პროფესორი]

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ლექტორების ეს ჯგუფი ნაკლებად ინტერესდება პლაგიატის საკითხითაც და, ცხადია, მათი დამოკიდებულებაც განსხვავებულია, რადგან უბრალოდ არ იცის, რა შესაძლებლობებს სთავაზობს უნივერსიტეტი. შესაბამისად, რესპონდენტთა აზრით, ადმინისტრაციის როლი სწორედ ამ კუთხით უნდა გაძლიერდეს, რომ გააუმჯობესოს ინფორმაციის მიწოდების გზები და მოახერხოს მოწვეული ლექტორებისა და მასწავლებლების ყველა პროცესში მონაწილეობა.

მოწვეული ლექტორების მცირე ჯგუფი იმეორებს მსგავს ნარატივს და აცხადებს, რომ ასწავლიან „სასწავლო კურსს, რომელსაც ერთ სემესტრში დაახლოებით 600-700 სტუდენტი ირჩევს“, სადაც შეფასების სისტემა არის დახურულშეკითხვებიანი ტესტები ან შემთხვევის ანალიზი, რომლის ადმინისტრირებას ახდენს საგამოცდო ცენტრი. მოწვეული ლექტორების ეს კატეგორია მიიჩნევს, რომ „პლაგიატის შემთხვევები პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან საგამოცდო ცენტრი ატარებს გამოცდებს“. ამ მსჯელობას ავრცობენ არგუმენტაციით, რომ ზოგადად მოწვეულ ლექტორს არ უნდა

ეხებოდეს შეფასების კომპონენტების ჩატარება, რადგან, როგორც წესი, ესენი არიან პრაქტიკოსები, ვისი ძირითადი საქმიანობა არის სხვა და ლექციების ჩასატარებლად შეუძლიათ კონკრეტული დროის გამოყოფა: „უნივერსიტეტმა რომც მთხოვოს, შევცვალო შეფასების სისტემა და მე ჩავატარო გამოცდები, ალბათ, მომიწევს საერთოდ სწავლებაზე უარის თქმა, რადგან ამის დრო ფიზიკურად არ მაქვს. არც ჩემი ანაზღაურებაა ისეთი, რომ ამდენი დროის ხარჯვად ღირდეს“.

რესპონდენტებმა გაიხსენეს შემთხვევები, როცა ახლად შემოერთებულმა აკადემიურმა პერსონალმა უბრალოდ არ იცის, პლაგიატის პრევენციის რა მექანიზმები არსებობს უნივერსიტეტში, რადგან არ არსებობს გამართული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ ყველას თანაბრად ინფორმირებას. შესაბამისად, ხშირად ხდება ისე, რომ უფრო გამოცდილი აკადემიური პერსონალის სამუშაო პრაქტიკა პლაგიატთან მიმართებით განსხვავდება იმ კოლეგებისგან, ვინც უკანასკნელ პერიოდში შემოუერთდნენ უნივერსიტეტს. ეს გარემოება აისახება დამოკიდებულებებს შორის სხვაობაზეც:

მე პირადად არ ვიყენებ Turnitin-ს. მუშაობა როცა დავიწყე, არავის გაუცნია ჩემთვის. კი გამომიგზავნეს ახალი თანამშრომლის გზამკვლევი, მაგრამ იქ მოკლედ წერია ადამიანური რესურსების სამსახურის შესახებ და მერე მითითებულია, რომ დეტალური ინფორმაცია ნახეთ ვებგვერდზეო. რა თქმა უნდა, რაღაცები ჩემით გავიგე, ვკითხე კოლეგებს, მაგრამ მგონია, რომ ჯერ კიდევ ბევრი არ ვიცი და, ზოგადად, ეს რაღაცებიც თავიდანვე უნდა მცოდნოდა.

მე როცა ამერიკაში ვსწავლობდი, პირველივე სემესტრში, პირველ კვირაში დაგვიბარა ხელმძღვანელმა და დეტალურად აგვიხსნა, რა და როგორ მუშაობს. იქ Turnitin-ის გამოყენება სავალდებულო იყო. აქ, ჩვენთან. არ ვიცი, როგორ ხდება, მე, მაგალითად, სურვილი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მაქვს აკადემიური გამოცდილება, კიდევ

უკეთეს მდგომარეობაში ვარ. როცა მოდის პრაქტიკოსი, მაგალითად, ბიზნესიდან იწვევენ კონკრეტული სასწავლო კურსების ჩასატარებლად, იქ კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა, რადგან ამ ადამიანებმა საერთოდ არ იციან მსგავსი დეტალები. [ასოცირებული პროფესორი]

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის როლზე საუბრისას რესპონდენტები მიუთითებენ იმაზეც, რომ მხოლოდ საინფორმაციო/სასწავლო აქტივობები (მაგ., ტრენინგები) ვერ იქნება ეფექტური, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანი დაესწროს შეხვედრას, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, მოგვიანებით გადაწყვიტოს, რომ იქ მიღებულ ცოდნას არ გამოიყენებს. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციამ შექმნას ისეთი სამუშაო სივრცე, რომელიც აკადემიურ პერსონალს უბიძგებს ტრენინგზე მიღებული ცოდნის გამოყენებისკენ.


გარდა ამისა, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ საორიენტაციო შეხვედრებზე. მათი თქმით, დღეს საორიენტაციო შეხვედრების არსებული მოდელი ნაკლებად ეფექტურია და თავის მიზანს ვერ აღწევს, რადგან „ეს არის ერთი ან ორსაათიანი შეხვედრა, სადაც არ ხდება მნიშვნელოვანი საკითხების დეტალური განხილვა და უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდება“. ერთი რესპონდენტი საორიენტაციო შეხვედრის ახალ ფორმატს გვთავაზობს:

საორიენტაციო შეხვედრა სავალდებულო წესით უნდა უტარდებოდეს ყველა სტუდენტს და ასევე პროფესორ-მასწავლებელს და უნდა გრძელდებოდეს მინიმუმ ერთი კვირა. ამ კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა გააცნოს დეტალური ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის კოდექსის შესახებ, მათ შორის პლაგიატის საკითხიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხერხდება ის, რომ ცნობიერების დონე ამაღლდება და აკადემიური პერსონალიც მიხვდება, რომ ეს არ არის საკითხი, რომელიც ყურადღების მიღმა უნდა დაგრჩეს. [ასოცირებული პროფესორი]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რესპონდენტებმა პლაგიატთან ბრძოლაში ადმინისტრაციის როლთან დაკავშირებით განიხილეს, არის პლაგიატის დადგენაში პროფესორისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობების ბალანსი. ამ საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტში.

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისას რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი პლაგიატის დადგენაზე მათ უნივერსიტეტში ამჟამინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით და ასევე ვთხოვეთ, დაეზუსტებინათ, მათი წარმოდგენით, ვინ უნდა ყოფილიყო ამაზე პასუხისმგებელი (დიაგრამა 1). შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა – 60 % მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში პლაგიატზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ორივე ზემოთ დასახელებული (კურსის ხელმძღვანელი/ლექტორი; ადმინისტრაციის წარმომადგენელი), ხოლო დაახლოებით 40% თვლის, რომ პლაგიატის დადგენაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს პროფესორი.

დიაგრამა 1 რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილება დებულების მიხედვით (N=372)



ინტერვიუების დროს შევეცადეთ, დაგვეზუსტებინა ის განწყობები, რომლებიც პლაგიატის დადგენაში ადმინისტრაციის მონაწილეობას უკავშირდება. ინტერვიუებში რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ წარმოუდგენლად მიაჩნიათ ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა საკვალიფიკაციო ნაშრომის პლაგიატზე

შემოწმების პროცესში. ისინი განმარტავენ, რომ ეს არის „წმინდა აკადემიური ამოცანა, რაც არ უნდა გასცდეს სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის საზღვრებს“. გარდა ამისა, პრაქტიკულად შეუძლებელია, ადმინისტრაციის თანამშრომელი ისე სიღრმისეულად ერკვეოდეს კონკრეტულ თემაში, რომ მან შეძლოს გარკვეული დასკვნების გამოტანა და ნაშრომის ორიგინალობის შეფასება. რამდენიმე რესპონდენტი ამას აღიქვამს, როგორც „უხემ ჩარევას“, რადგან „თუ, ერთი მხრივ, ადმინისტრაცია პროფესორს უცხადებს ნდობას და აფორმებს შრომით კონტრაქტს, მაშინ გაუგებარია, რა მანდატით უნდა ჩაერიოს მის საქმეში“. გამოკითხულთა ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაცია უნდა ქმნიდეს მექანიზმებს, რომელიც დაეხმარება აკადემიურ პერსონალს პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, პროფესორთა მეორე ჯგუფი საუბრობს იმაზე, რომ, მათი დაკვირვებით, ზოგჯერ სამეცნიერო ხელმძღვანელი, გარკვეული მიზეზების გამო, თვალს ხუჭავს გადაცდომებზე. მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გარკვეული პერიოდულობით შეამოწმოს, რამდენად კეთილსინდისიერად ფასდება ნაშრომები. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ეს მოაგონებს პლაგიატის დადგენაზე პასუხისმგებლობის გადაბარებას, რაც თავის მხრივ, არ არის კარგი გამოსავალი“, თუმცა ამ მოსაზრების საპირისპიროდ სხვა პროფესორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მისი კოლეგა პირდაპირ ვერ ეუბნებოდა სტუდენტს, რომ ნაშრომი არ შეესაბამებოდა მინიმალურ მოთხოვნებს, ან შეიცავდა პლაგიატს, ან სახეზე იყო კვლევის მონაცემების ფალსიფიკაცია და ნაშრომის დაცვის დროს დახმარებას კოლეგებს სთხოვდა – იქნებ მათ მაინც აემადლებინათ ხმა ამის წინააღმდეგ. ეს რესპონდენტი განმარტავს, რომ სწორედ ამგვარი გარემოებების გათვალისწინებით, მისი კოლეგებისგან სმენია მოსაზრება პლაგიატის აღმოჩენის საქმეში ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ:

ყოფილა ნაშრომები, რომ გამოდის სტუდენტი და ჰყვება კვლევას, რომელიც მას არ ჩაუტარებია, მონაცემები არ შეუგროვებია. აბა ვინ იქნება ის პროფესორი, რომელიც ეტყვის, რომ ეს სისულელეა? ხელმძღვანელი გიყურებს იმედის თვალით. ხშირად

პირდაპირ გვეუბნებიან, რომ მე ვერ ვეტყვი და იქნებ თქვენ უთხრათ. პროფესორს არ უნდა, რომ მარტო დარჩეს სისტემის წინააღმდეგ და უნდა, რომ იცოდეს, მის უკან არის რაღაც. მეც ვაკეთებ ამ დელეგირებას მუდმივად; თუ პლაგიატია, ვეუბნები, რომ სისტემამ დაბლოკა, ვიცი, რომ სისტემა ამას ვერ დაბლოკავს, მაგრამ ვცრუობ, რადგან იქ არ დაიწყო ტირილი და თავის შეცოდება. [სრული პროფესორი]

რესპონდენტთა მცირე ნაწილი იმაზეც მიანიშნებს, რომ „აკადემიური სივრცე საქართველოში ჯერ კიდევ არ არის იმ საფეხურზე, რომ უარი ითქვას ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგის ფუნქციაზე“.

პასუხისმგებლობის გადატანის მექანიზმის გამოყენებისას რესპონდენტები ასევე ხშირად ახსენებენ სტრუქტურულ ადმინისტრაციულ ფაქტორებს, რომლებიც პლაგიატთან ბრძოლის პროცესში დაბრკოლებებს ქმნის. მაგალითად, პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის არგამოყენების ერთ-ერთ მიზეზად რესპონდენტები განიხილავენ დროის დეფიციტს, რომელიც, თავის მხრივ, მაღალი დატვირთვით არის გამოწვეული. რესპონდენტების ინფორმაციით, აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს არ აქვს დრო, რომ გამოიყენოს პროგრამა Turnitin, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბევრ სტუდენტს ასწავლის კონკრეტული სემესტრის განმავლობაში.

რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ გარდა სასწავლო და კვლევითი ვალდებულებებისა, მათ საკმაოდ ხშირად უწევთ ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებაც, რაც ასევე მოითხოვს გარკვეულ დროს. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როცა პროფესორებს სხვადასხვა კომისიის მუშაობაში უწევთ მონაწილეობა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მათი კოლეგების ნაწილი, ვინც პლაგიატის პრევენციის მექანიზმებს შესაბამისად არ იყენებს, „ფლობს საკმარის ცოდნას და შეიძლება სურვილიც ჰქონდეს, რომ სხვაგვარად მოიქცეს, მაგრამ ამისთვის ფიზიკურად დრო არ რჩება“. ეს ნარატივები მიგვანიშნებს იმაზე, რომ რიგ შემთხვევებში გადატვირთული (მძიმე) სამუშაო გრაფიკი არ ტოვებს სივრცეს, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ყველა ვალდებულება.

გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელიც პლაგიატის საკითხს შესაბამის ყურადღებას უთმობს, ამბობს, რომ ამისთვის სემესტრის განმავლობაში გამოყოფს დროს, ემზადება შესაბამისად; ასევე ამზადებს შეფასების აქტივობას, ახერხებს ნაწერების შემოწმებას, მაშინ, როდესაც ის კოლეგები, ვინც ძალიან დაკავებულია, ამისთვის დროის დათმობას ვერ ახერხებენ.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დროის დეფიციტის ფაქტორი განსაკუთრებით მოქმედებს ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალზე, რომელსაც, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ჰყავს შედარებით დიდი ჯგუფები, აქვს უფრო მაღალი საათობრივი დატვირთვა, თუმცა დაბალი ანაზღაურება. ამ გარემოებების გამო მათ ხშირად უწევთ აკადემიური საქმიანობის „სხვა სამსახურთან შეთავსება“. ყველა ამ ვალდებულების ფონზე მათ უჭირთ დროის გამოძებნა, რათა სტუდენტებს დამატებით ესაუბრონ პლაგიატზე, შეამოწმონ ნაშრომები და გასცენ შესაბამისი უკუკავშირი.

ასისტენტ-პროფესორები ერთ სემესტრში ასწავლიან 80-100 სტუდენტს; წარმოიდგინე, ამდენი ნაწერი გაასწორო, კვირაში 12 საათი ლექცია ჩაატარო, ორ-სამ სამაგისტრო ნაშრომს უხელმძღვანელო და კიდევ ათას კომისიაში იყო, ძალიან რთულია. გარდა ამისა, იმდენად დაბალ ხელფასს უხდიან ახალგაზრდა პროფესორებს, რომ რამდენიმე ადგილას მუშაობენ. ბოლოს აღარ აქვთ იმისი შინაგანი ენერჯია, რომ ყველაფერი შეამოწმონ. [სრული პროფესორი]

გამოკითხულთა აზრით, მათი კოლეგები ხშირად ირჩევენ შეფასების ისეთ მეთოდს, რომელიც მათი მხრიდან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და არც პლაგიატის დადგენას საჭიროებს. მათი დაკვირვებით, ხშირ შემთხვევაში წერითი დავალებების ამოღება არის გააზრებული არჩევანი, რომელსაც ლექტორი აკეთებს არსებული მოცემულობის გათვალისწინებით.

ვინაიდან, ჩვენი პერსონალის დატვირთვა საკმაოდ დიდია, ან ამ პერსონალს აქვს დაბალი ანაზღაურება და უწევს სხვადასხვა ადგილას მუშაობა, ის ვერ ახერხებს დრო დაუთმოს Turnitin-ის გამოყენებას. ჩვენთან შეიძლება 30 სტუდენტი ჰყავდეს

ლექტორს, თუ ის მისცემს წერით დავალებას, მოუწევს ინდივიდუალურად ამდენი ნაშრომის შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც დეკანმა ვთხოვე, პროფესორებმა მაინც არ გამოიჩინეს ინიციატივა [სრული პროფესორი]

პასუხისმგებლობის გადატანის კონტექსტში რესპონდენტები ადანაშაულებენ უნივერსიტეტს, რომელიც არ ზრუნავს ერთიანი მიდგომის დამკვიდრებაზე, რომელიც, თავის მხრივ, თანმიმდევრული იქნება პლაგიატის პრევენციის მიმართულებით. ისინი იხსენებენ მაგალითებს, როდესაც კოლეგები ამჯობინებენ შეფასებას პრეზენტაციის სახით ან ტესტური დავალებებით, სადაც სტუდენტი უბრალოდ მონიშნავს სწორ პასუხებს. რესპონდენტების ნაწილი სწორედ ამ კონტექსტში მიანიშნებს, რომ ხშირად ეს ვითარება წარმოქმნის თანმიმდევრული მიდგომის არარსებობის პრობლემას; როდესაც ბაკალავრიატის პირველ კურსზე სტუდენტი იღებს ცოდნას პლაგიატის შესახებ, თუმცა მომდევნო კურსებში მას ვერსად იყენებს და „თემა რაღაცნაირად მივიწყებას მიეცემა“. მოგვიანებით, როდესაც ეს სტუდენტი აბარებს სამაგისტრო საფეხურზე, აკადემიური პერსონალის ნაწილს უწევს დამატებით ძალისხმევას გაწევა სტუდენტებისთვის პლაგიატის საკითხისა და მისი მნიშვნელობის გასახსენებლად.

ჩემი, როგორც პროფესორის, დატვირთვა ხომ ერთია, მაგრამ კიდევ უფრო რთულია, რომ ასეთ ელემენტარულ რაღაცებზე დავა გიწევს. ჩემთან რომ მოდის სტუდენტი მაგისტრატურაში, იმას აღარ უნდა ვუხსნიდე, თუ რა არის პლაგიატი. ეს შრომითი დატვირთვა კი არა, ემოციური დატვირთვაა და მერე იწყებ ფიქრს, რომ რა მინდა აქ, რა დავაშავე? ეგზისტენციალური კრიზისი მჭირს უკვე. [ასოცირებული პროფესორი]

რამდენიმე რესპონდენტი განავრცობს ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ პლაგიატის მიმართ არათანმიმდევრული მიდგომა ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე „წყალში ყრის პირველ კურსზე გაწეულ ძალისხმევას, სადაც ყველა წერითი ნაშრომი სავალდებულო წესით მოწმდება პლაგიატზე“.

ამ რესპონდენტების განმარტებით, ბაკალავრიატის საფეხურის პირველივე სემესტრიდან ისინი ყურადღებით ეკიდებიან პლაგიატს და ზედმიწევნით ასრულებენ უნივერსიტეტში

არსებულ წესებს, ცდილობენ რა, სტუდენტს გამოუმუშაონ ეს უნარები უნივერსიტეტში მოხვედრის პირველი დღიდან. პროფესორთა ეს ჯგუფი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ, მათი დაკვირვებით, ეს ძალისხმევა, თითქოს მოგვიანებით უფასურდება, რადგან „პირველი კურსის შემდეგ ხშირად სტუდენტებს აღარ უწევთ წერილობით ნაშრომის შესრულება და კეთილსინდისიერების პრინციპებზე მსჯელობა პირველ სემესტრში მთავრდება“.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის რეკომენდაციას უწევს და კოლეგებთან ხშირად საუბრობს წერილი ნაშრომების სიკეთეზე, პროფესორები ხშირად უარს ამბობენ შეფასების ამ მეთოდზე. შესაბამისად, ამ დამოკიდებულებას ასე ხსნიან, რომ არ აქვთ წერილი დავალება და შესაბამისად, არც პლაგიატის თემაზე უწევთ ინსტრუქციების გაცემა და სტუდენტების ინფორმირება.

რესპონდენტთა ნაწილი გვიყვება, რომ ამ „არათანმიმდევრული მიდგომის“ გამო სტუდენტებისგან სულ არის უკმაყოფილება – სხვა სასწავლო კურსებში ისინი არ ხვდებიან მსგავს სიმკაცრეს. შესაბამისად, უყალიბდებათ მოლოდინი, რომ ყველგან ერთნაირი, ლმობიერი დამოკიდებულება იქნება. ის პროფესორები, რომლებიც ზედმიწევნით ასრულებენ უნივერსიტეტებში არსებულ რეგულაციებს, ხშირად ფიქრობენ, რომ მათი დამოკიდებულება ვერ ცვლის ზოგად სურათს, რადგან პლაგიატის პრობლემა მწვავედ დგას და მათი კოლეგების განსხვავებული მიდგომები, ზოგადად, უარყოფითად აისახება აკადემიურ კლიმატზე:

მე ვასწავლი ბაკალავრიატის სტუდენტებს პირველ წელსაც, შესავალი კურსების ფარგლებში და მომდევნო წლებშიც. ჩემი დაკვირვებით, პირველ წელს უფრო ესმით ეს საკითხი, ცდილობენ, სწორად გააკეთონ ყველაფერი, მაგრამ მერე, როცა მეოთხე კურსზე ვხვდები იმავე სტუდენტებს, თითქოს ის ცოდნა არ ჩანს. მე ზუსტად ვიცი მიზეზი. ჩვენს მიმართულებაშიც კი (სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები) ძალიან იშვიათია, რომ სტუდენტს ჰქონდეს დავალებად ტექსტებზე მუშაობა, ან ისეთი ნაშრომი, რომელშიც ლექტორი ყურადღებას მიაქცევს ტექსტის ორიგინალობის საკითხს,

ან თუნდაც შეუფასებს და მისცემს უკუკავშირს. ჩვენი სტუდენტები ხშირად ისე ატარებენ ორ-სამ წელს, რომ წერითი დავალება შეიძლება სულ არ ჰქონდეთ. ამის ფონზე მცდელობები, რომ ჩემს კურსებში პლაგიატზე შევამოწმო დავალებები, ძალიან ამოვარდნილია და ზოგჯერ მეც კი მაფიქრებს – საერთოდ რამდენად ღირს ამის გაკეთება, მე ერთი როგორ შევცვლი ამ დამოკიდებულებას?! [სრული პროფესორი]

ზოგიერთი რესპონდენტი მიუთითებს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებისას პროცედურა ბოლომდე გამართული არ არის. ისინი ჰყვებიან, რომ ზოგადი პრაქტიკის მიხედვით, სტუდენტი სემესტრის ბოლოს წარმოადგენს ნაშრომს, რომელიც შემოწმდება და ისე წარედგინება ფაკულტეტს, თუმცა არის შემთხვევები, როცა სტუდენტს ეძლევა საშუალება, გაასწოროს უკვე გამზადებული ნაშრომი, იმ მიზნით, რომ მსგავსების პროცენტულმა მაჩვენებელმა დაიკლოს. მათი თქმით, პრობლემა ისაა, რომ უნივერსიტეტში არსებულ სხვადასხვა სასწავლო პროგრამას, ფაკულტეტებსა და სკოლებს განსხვავებული მიდგომები შეიძლება ჰქონდეთ. ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტს პლაგიატზე შემოწმება უწევს ორი კვირით ადრე და რიგ შემთხვევებში – ორი-სამი დღით ადრე. შესაბამისად, სტუდენტები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. რესპონდენტთა ეს ნაწილი გამოთქვამს სურვილს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, საკვალიფიკაციო ნაშრომი შეამოწმონ წერის პროცესში ეტაპობრივად და ეს არ იყოს მხოლოდ საბოლოო პროდუქტის შემოწმება. ერთ-ერთი პროფესორი ასევე ღიად საუბრობს იმაზე, რომ, როგორც წესი, მათ უწევთ სამი-ოთხი ნაშრომის ხელმძღვანელობა და სემესტრის ბოლოს რთულია „ამდენი ნიუანსის გათვალისწინება და ყურადღების მიქცევა“. ვალდებულებიდან გამომდინარე, ისინი ამას აკეთებენ, თუმცა მათთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით შეამოწმებდნენ ნაშრომს:

ჩვენ ზოგადად ძალიან ბევრ სტუდენტს ვემსახურებით, თითო ლექტორი უძღვება რამდენიმე პროექტს და საბოლოო ჯამში, ხშირია პრობლემა, როცა ნაშრომებში მაღალია მსგავსების მაჩვენებელი. მე მგონია, რომ უნივერსიტეტმა უნდა

შეიმუშაოს რაღაცნაირად ეს, რომ პერიოდულად ხდებოდეს ამ ნაშრომის შემოწმება და არა ბოლოს. [ასოცირებული პროფესორი]

ყველა ეს მოსაზრება ერთობლივად მიუთითებს პასუხისმგებლობის გადატანის მექანიზმის მრავალფეროვან ნიუანსებზე, კერძოდ: რესპონდენტები საუბრობდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ პლაგიატის პრევენციის მიდგომის წარუმატებლობაზე, საინფორმაციო და სასწავლო ფორმატების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, დატვირთვის რეგულირების საკითხებზე (განსაკუთრებით მოწვეული მასწავლებლებისთვის და დამწყები აკადემიური პერსონალისთვის), აკადემიურ საფეხურზე სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში პლაგიატის მიმართ თანმიმდევრული მიდგომის არსებობის მნიშვნელობაზე.

პასუხისმგებლობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციაზე გადატანა მორალური გამოთიშვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მექანიზმია სამიზნე უნივერსიტეტებში. პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებებზე საუბრისას კვლევაში ჩართული რესპონდენტები ახსენებდნენ უნივერსიტეტში არსებულ ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ფაქტორებს, რითაც ერთგვარად ითავისუფლებდნენ თავს დამატებითი პასუხისმგებლობისგან. ამასთანავე, ეს მსჯელობა უფრო სიღრმისეულად წარმოაჩენს უნივერსიტეტის შიგნით არსებულ სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკაში უნდა იქნას გათვალისწინებული.

პასუხისმგებლობის დიფუზია

ქმედებაში საკუთარი წვლილის მინიმზაციის კიდევ ერთი მექანიზმია პასუხისმგებლობის დიფუზია. ამ შემთხვევაში ინდივიდი ფიქრობს, რომ პასუხისმგებლობა განაწილებულია ადამიანთა ჯგუფზე, რის შედეგადაც მცირდება მისი პირადი პასუხისმგებლობა.

ამ მექანიზმის საილუსტრაციოდ კვლევაში გამოყენებულია დებულება: პლაგიატი დასაშვებია, რადგან ეს ტრადიციის ნაწილია, ხშირად გვხვდება მსგავსი შემთხვევები. ამ

დებულებას გარკვეული ხარისხით ეთანხმება გამოკითხული რესპონდენტების მეოთხედი (25%).

ანალიზი აჩვენებს, რომ დებულებაზე თანხმობის კუთხით, მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით. კერძოდ, დათანხმების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება უფრო დიდი სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებში ($\chi^2 (1,372)= 6.310, p<0.01$) და იმ რესპონდენტებში, რომლებიც ნაკლებად იყენებენ პროგრამას Turnitin ($\chi^2 (1,372)= 5.091, p<0.05$). ასევე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს ასაკის ცვლადსაც – დათანხმების მაჩვენებელი უფრო მაღალია უმცროსთა ასაკოვან რესპონდენტებში ($\chi^2 (1,372)= 12.237, p<0.01$).

ცხრილი 15. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთქმის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (აგენტობის მინიმიზაცია/პასუხისმგებლობის დიფუზია)

აგენტობის მინიმიზაცია - პასუხისმგებლობის დიფუზია	ქულა მორალური გამოთქმის სკალაზე				X ² (df, N)	p
	დაბალი		მაღალი			
	n	%	n	%		
სქესი					.002(1,372)	1,000
კაცი	94	74,6%	32	25,4%		
ქალი	184	74,8%	62	25,2%		
განათლების მიღწეული დონე					.684(1,372)	,240
დოქტორანტურა	152	73,1%	56	26,9%		
სხვა	126	76,8%	38	23,2%		
აკადემიური სტატუსი					.184(1,372)	,720
პროფესორი	126	73,7%	45	26,3%		
მოწვეული ლექტორი	152	75,6%	49	24,4%		
მიმართულება					1.55(1,371)	,217
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	46	68,7%	21	31,3%		
ჰუმანიტარული და სოციალური	231	76,0%	73	24,0%		
ასაკი					12.237(3,372)	,007
21-35	78	81,3%	18	18,8%		
36-50	108	75,5%	35	24,5%		
51-65	82	73,9%	29	26,1%		

	66+	10	45,5%	12	54,5%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი						5.091(1,372)	,015
	დაბალი	227	72,5%	86	27,5%		
	მაღალი	51	86,4%	8	13,6%		
სტაჟი						7.406(2,372)	,025
	0-5 წლამდე	46	79,3%	12	20,7%		
	6-15 წლამდე	120	80,5%	29	19,5%		
	15 +	112	67,9%	53	32,1%		
სულ		278	74,7%	94	25,3%		

ცვლადების კრებითი ეფექტის ანალიზისას ეფექტს მხოლოდ ტექნოლოგიების ინტეგრაციის მაჩვენებელი ინარჩუნებს ($B = -,887$, $p < 0.05$, $Exp(B) = 2,429$). ამასთანავე, მოდელის ახსნითი პოტენციალი ძალიან მცირეა, რაც მიანიშნებს, რომ მოდელში მოცემული ცვლადები ვერ ხსნის განსხვავებებს რესპონდენტთა პასუხებში.

ცხრილი 16. აგენტობის მინიმიზაცია – პასუხისმგებლობის დიფუზია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	,000	,266	,000	,999	1,000
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	-,129	,331	,152	,697	,879
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,259	,319	,663	,415	,771
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	,339	,309	1,202	,273	1,404
ასაკი - 25-35	,259	,182	2,020	,155	1,296
გამოცდილება - 0-5 წელი	,345	,240	2,067	,151	1,412
ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (დაბალი)	,887	,412	4,634	,031	2,429
მუდმივა	-3,108	,610	25,975	,000	,045

Nagelkerke R Square=,042

N=327

რეგრესიული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი); ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (მაღალი).

თვისებრივ ნაწილშიც პლაგიატის მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას რესპონდენტთა ნაწილი წარსულ გამოცდილებას, უფრო ზუსტად კი, საბჭოთა პერიოდს და მაშინდელ განათლების სისტემას უკავშირებს.

როგორც რესპონდენტები მიანიშნებენ, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება იყო ის, რომ „ადრე“ არ არსებობდა ელექტრონული ფორმატი და ინფორმაციის გავრცელებაც ასე მარტივი და სწრაფი არ იყო, ეს კი ზრდიდა პლაგიატის შესაძლებლობებს: „თუ, პირობითად, ადამიანი გადაიწერდა სხვა ნაბეჭდი მასალიდან, ამის ამოცნობა ძალიან ჭირდა, რადგან ასე ზედმიწევნით რთული იყო აღგედგინა ტექსტები“.

ამას, რესპონდენტების აზრით, ემატებოდა ის ფონი, რომ მეცნიერების გარკვეულ დარგებში გადაწერა და გამეორება „კარგ ტონად“ ითვლებოდა. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს:

როცა ვმუშაობდი სადოქტორო ნაშრომზე, ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა მირჩია რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც უნდა შემექმნა ნაშრომი. შემდეგ ეს ნაშრომი წარვუდგინე სადისერტაციო საბჭოს, რომელიც გაეცნო დისერტაციის ნაბეჭდ ვერსიას და მოამზადა დასკვნა. ეს პრაქტიკა თითქმის გამორიცხავდა პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებას, რადგან ამის საშუალება რეალურად არ იყო [სრული პროფესორი].

ამ კონტექსტში რამდენიმე რესპონდენტი აგრეთვე იხსენებს, რომ საბჭოთა კავშირის დროს თითქმის ჩვეულებრივი ამბავი იყო, როცა ერთი მეცნიერი წელიწადში სამ მონოგრაფიას და ოთხ სტატიას ამზადებდა:

ყველამ იცოდა, რომ ეს არ იქნებოდა სამეცნიერო კვლევის შედეგი. ჩემი ახლობლები მუშაობდნენ კვლევით ინსტიტუტებში და ფორმალურად უწევდათ ნაშრომების მომზადება, რადგან არსებობდა ყოველწლიური გეგმა. წინასწარ ყველამ იცოდა, რომ ამ ნაშრომს არავინ გაეცნობოდა და შესაბამისად, ადამიანები უბრალოდ გადმოიწერდნენ ხოლმე რამდენიმე სხვა წყაროდან. საკმაოდ ხშირად

იყო თარგმნის შემთხვევები. თითქოს დამკვიდრებული პრაქტიკა იყო, ძირითადად რუსულიდან ქართულ ენაზე. [სრული პროფესორი]

მეორე პროფესორი ანალოგიურ შემთხვევას იხსენებს:

ჩემი ოჯახის წევრი იყო პროფესორი, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს აიძულებდნენ წლიურად ნაშრომის წარდგენას, რომელიც წმინდად ფორმალობა იყო, არავინ არ წაიკითხავდა, ამიტომ თავისუფლად შეეძლო დამჯდარიყო და საიდანღაც გადმოეწერა. ბევრი ინსტიტუტი შემიძლია გითხრათ, სადაც თანამშრომლების უმრავლესობა იმიტომ ინარჩუნებდა სამსახურს, რომ უბრალოდ ასე იწერდნენ რაღაცებს. ის პრაქტიკა, რომელიც საბჭოთა აკადემიურ სივრცეში იყო, სამწუხაროდ, დღესაც არსებობს, ამ ხალხისთვის დღესაც გაუგებარია, რატომ არის ეს გადმოწერა ცუდი და საერთოდ რატომ ვაწვალებთ ერთმანეთს. დაახლოებით ასე ხედავენ. [სრული პროფესორი]

ამ თემაზე საუბრისას რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა პერიოდში უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა ზუსტ მეცნიერებებს (განსაკუთრებით ფიზიკასა და მათემატიკას). მათი განმარტებით, ამ დარგებში ყველაზე ნაკლებად იყო მსგავსი გადაცდომების შემთხვევები, რადგან ამ ცოდნის გაზიარება ხდებოდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. თუმცა სოციალური მეცნიერებების მიმართულებით გარკვეული დარგები საკმაოდ ახალია. შესაბამისად, ვინც ამ მიმართულებებში საბჭოთა კავშირის პირობებში მიიღო განათლება, „მათ არ ამზადებდნენ როგორც მკვლევარს, რომელიც შექმნიდა ახალ ცოდნას“. საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით, სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, არსებობდა ცოდნის იმგვარი „გაგება“, რომ „ყველაფერი უკვე აღმოჩენილი და ახსნილი იყო“. ახალი ნაშრომები მხოლოდ იმეორებდა უკვე არსებულს, შესაბამისად ეს არ საჭიროებდა დამოწმებასა და მითითებას, რადგან „ეს ცოდნა იყო საყოველთაო ჭეშმარიტება“. აკადემიური პერსონალის დაკვირვებით, ზოგიერთი კოლეგა დღესაც ამ პერსპექტივიდან უყურებს პროცესს და ეს აისახება მათ პრაქტიკაზე – პროფესორების ნაწილი სტუდენტებს არ სთხოვს წყაროების დამოწმებას და, ზოგადად, ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე.

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ თავად იცნობს ასეთ ადამიანებს, ვინც დღესაც მუშაობს უნივერსიტეტებში და ხელმძღვანელობს ახალგაზრდა კადრებს, რომლებსაც იმავე (მცდარ) პრინციპებს შთააგონებს – რომ პლაგიატი ნაკლებად სერიოზული საკითხია. რესპონდენტთა აზრით, „ამის გამო დღეს უმაღლესი განათლების საფეხურზე შეიძლება შეხვდეთ სწავლებაში ჩართულ ახალგაზრდას, რომელიც ისევ საბჭოთა გამოცდილებით საზრდოობს“.

თუმცა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ეს მდგომარეობა თანდათანობით იცვლება – საბჭოთა გამოცდილება აღარ არის ისეთი აქტუალური, როგორც 15-20 წლის წინ. ამას რესპონდენტები რამდენიმე გარემოებით ხსნიან.

პირველი უკავშირდება იმას, რომ „თაობების ცვლილება რეალურად მოხდა“ – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოჩნდა ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი, ვისი გამოცდილებაც რადიკალურად განსხვავებულია საბჭოთა სისტემისგან.

აგრეთვე, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილებებიც, რის შედეგადაც უნივერსიტეტებმა ღიად და აქტიურად დაიწყეს მსჯელობა პლაგიატზე, როგორც პრობლემაზე, და ამით ცნობიერება გაიზარდა: „უმრავლესობამ იცის, როგორია სწორი მიდგომა, ის აკადემიური პერსონალი, ვისი დამოკიდებულებებიც განსხვავებულია, თითქოს ნაკლებად გამოხატავს საკუთარ მცდარ შეხედულებებს“.

პასუხისმგებლობის დიფუზიის მექანიზმის გამოყენებისას, საბჭოთა წარსულთან ერთად, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნარატივს წარმოადგენს „სკოლის ეფექტი“. რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ „სტუდენტებში ყველგან ერთნაირი, დაუძლეველი პრობლემა სკოლიდან მომდინარეობს“ და მასთან ბრძოლა მოკლე დროში ძალიან რთულია.

კერძოდ, პლაგიატის საკითხზე საუბრისას, რესპონდენტთა გარკვეული ჯგუფი აღნიშნავს, რომ „სკოლა გავლენას ახდენს სტუდენტის შეხედულებებზე, რასაც აკადემიური პერსონალი ანგარიშს უწევს“. მათი თქმით, დღევანდელ სკოლებში პლაგიატის საკითხი ჯერ კიდევ ყურადღების მიღმაა. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მასწავლებლები ასწავლიან, როგორ მოამზადონ ტექსტთან ახლოს მდგომი

ნაშრომები. შესაბამისად, ამ ცოდნით უნივერსიტეტში მოსულ სტუდენტთან ზედმეტად სიმკაცრე არ ხერხდება, რადგან „მან უბრალოდ არ იცის, რომ საქმე აქვს რაიმე სახის დარღვევასთან ან დანაშაულთან“. რესპონდენტები ღიად საუბრობენ, რომ ამ მიზეზის გამო ზოგჯერ თავადაც ღმობიერად ეპყრობიან სტუდენტს და ეს დამოკიდებულება კოლეგებისგანაც სმენიათ.

რამდენიმე პროფესორი ამ პრობლემაზე საუბრობს უფრო სიღრმისეულად და სკოლის ფაქტორს განიხილავს, როგორც ერთიანი მიდგომის ნაწილს – ხაზს უსვამს ამ საფეხურზე ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას. თუმცა იქვე განმარტავს, რომ, მისი დაკვირვებით, სკოლის პედაგოგების საკმაოდ დიდ ნაწილს მინიმალურ დონეზეც კი არ აქვს ცოდნა ამ საკითხის შესახებ, რაც რჩება როგორც ყველაზე დიდი გამოწვევა და, ამავდროულად, გარკვეულწილად განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას:

ჩვენი სკოლიდან მოსული სტუდენტი საერთოდ ვერ ხვდება რა არის პლაგიატი, პირიქით, ამის მეტი იქ არაფერი უკეთებიათ. ჩემი სტუდენტები მუშაობდნენ დამკვირვებლებად მასწავლებლის გამოცდებზე და მითხრეს, რომ უამრავი შემთხვევა ჰქონდათ, როცა მასწავლებელი იწერდა „შპარგალკიდან“. აი, წარმოიდგინეთ, ეს მასწავლებლები მიდიან და საქმებიან ჩვენს სკოლებში, ნაწილი უკვე დასაქმებულია. [ასოცირებული პროფესორი]

ეს მაგალითები ნათლად აჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს პასუხისმგებლობის დიფუზია – რესპონდენტები საუბრობდნენ უფრო ფართო სისტემასა და გარემოებებზე, რაც ამცირებს მათ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამასთანავე, პასუხისმგებლობის დიფუზიისათვის გამოთქმული არგუმენტები წარმოდგენას გვიქმნის უფრო ფართო, კონტექსტურ გარემოებებზე, რომლებიც უნივერსიტეტში პლაგიატისადმი კონკრეტულ დამოკიდებულებებს განაპირობებს.

შედეგების უგულებელყოფა

შედეგების იგნორირება

მორალური გამოთიშვის კიდევ ერთი ფორმის, ე. წ. შედეგების იგნორირების მექანიზმის მიზანია, მორალურად მიუღებელი ქმედებით გამოწვეული ეფექტის იმგვარად წარმოდგენა, რომ ეს ეფექტი ნაკლებად საზიანოდ მოგვეჩვენოს. ამ სტრატეგიის დემონსტრირებისთვის კვლევაში ჩავრთეთ დებულება – არ ვიყენებ კონკრეტულ პროგრამას პლაგიატის აღმოსაჩენად, რადგან ისედაც ვხვდები, ეს ნაწერი გადაწერილია თუ არა, სასწავლო პროცესი ამით არ ზარალდება.

მოცემულ დებულებას გარკვეული ხარისხით ეთანხმება რესპონდენტების ნახევარზე მეტი (60%). დოქტორის ხარისხის მქონე რესპონდენტები უფრო მეტად ეთანხმებიან ამ დებულებას 67%, ვიდრე უფრო დაბალი აკადემიური ხარისხის მქონე რესპონდენტები 53.0% და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2(1, 372) = 7.301, p < .01$).

ანალოგიურ ურთიერთკავშირს ვხედავთ ასაკის ცვლადთანაც. კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად მორალური გამოთიშვის მაჩვენებელი ამ მექანიზმისთვის მნიშვნელოვნად იზრდება ($\chi^2(3, 372) = 16.305, p < .001$). 21-35 წლის რესპონდენტთა მხოლოდ 54.2% -ს აქვს მაღალი მაჩვენებელი მორალური გამოთიშვის სკალაზე, ხოლო 66+ ასაკის რესპონდენტთა შორის ეს მაჩვენებელი 95%-ს შეადგენს. ტენდენცია მიუთითებს, რომ უფროსი ასაკის პირები, განსაკუთრებით ყველაზე ასაკოვანი ჯგუფი, ხშირად ამართლებენ პლაგიატის აღმოსაჩენი პროგრამის არგამოყენებას, შესაძლოა, ტრადიციული მეთოდების მიმართ ნდობის ან მათი გამოცდილების გათვალისწინებით.

ლოგიკურია, რომ კიდევ ერთ მნიშვნელოვან კონტექსტურ ცვლადს ამ დებულებასთან მიმართებით წარმოადგენს ტექნოლოგიების გამოყენება – Turnitin-ის გამოყენების სკალაზე უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონე რესპონდენტები უფრო ნაკლებად ეთანხმებიან ამ დებულებას (25%), იმ რესპონდენტებთან შედარებით, ვინც Turnitin-ს პედაგოგიურ და კვლევით პრაქტიკაში ნაკლებად იყენებს (67%) ($\chi^2(1, 372) = 36.706, p < .001$).

ცხრილი 17. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (შედეგების უგულებელყოფა /დამახინჯება)

ქულა მორალური გამოთიშვის
სკალაზე

შედეგების უგულებელყოფა-დამახინჯება	დაბალი		მაღალი		X ² (df, N)	p
	n	%	N	%		
სქესი					2.795(1,372)	,116
კაცი	42	33,3%	84	66,7%		
ქალი	104	42,3%	142	57,7%		
განათლების მიღწეული დონე					7.301 ^a	,008
დოქტორანტურა	69	33,2%	139	66,8%		
სხვა	77	47,0%	87	53,0%		
აკადემიური სტატუსი					.768(1,372)	,396
პროფესორი	63	36,8%	108	63,2%		
მოწვეული ლექტორი	83	41,3%	118	58,7%		
მიმართულება					2.058(1,371)	,168
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	21	31,3%	46	68,7%		
ჰუმანიტარული და სოციალური	124	40,8%	180	59,2%		
ასაკი					16.305(3,372)	,001
21-35	44	45,8%	52	54,2%		
36-50	64	44,8%	79	55,2%		
51-65	37	33,3%	74	66,7%		
66+	1	4,5%	21	95,5%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი					36.706 (1,372)	,000
დაბალი	102	32,6%	211	67,4%		
მაღალი	44	74,6%	15	25,4%		
სტაჟი					2.362(2,372)	,307
0-5 წლამდე	23	39,7%	35	60,3%		
6-15 წლამდე	65	43,6%	84	56,4%		
15 +	58	35,2%	107	64,8%		
სულ	146	39,2%	226	60,8%		

რეგრესიული ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ამ საკითხთან მიმართებისას მოდელით არსებული დამოკიდებულების ვარიაციის დაახლოებით მეხუთედი აიხსნება – ის რესპონდენტები, რომლებიც პროგრამა Turnitin-ს ნაკლებად ინტენსიურად იყენებენ პრაქტიკაში, დაახლოებით 6-ჯერ უფრო მაღალი ალბათობით ეთანხმებიან ამ დებულებას ($B = 1.760$, $p < .001$, $\text{Exp}(B) = 5.811$). ასევე მაჩვენებელი დაახლოებით ორჯერ უფრო

მაღალია დოქტორის აკადემიური სტატუსის მქონე რესპონდენტებში, მაგისტრისა და ბაკალავრის დიპლომის მქონე რესპონდენტებთან შედარებით ($B = 0.667$, $p < .05$, $\text{Exp}(B) = 1.949$). მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს ასევე ასაკი ($B = 0.462$, $p < .01$, $\text{Exp}(B) = 1.587$).

ცხრილი 18. შედეგების უგულებელყოფა-დამახინჯება (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	,261	,251	1,079	,299	1,298
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	,667	,324	4,249	,039	1,949
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,559	,316	3,129	,077	,572
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	,100	,309	,104	,747	1,105
ასაკი - 25-35	,462	,180	6,575	,010	1,587
გამოცდილება - 0-5 წელი	-,166	,218	,576	,448	,847
ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი - დაბალი	1,760	,338	27,174	,000	5,811
მუდმივა	-1,844	,514	12,872	,000	,158

Nagelkerke R Square=,183


N=327

რეფერენციული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი); ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (მაღალი).

ეს შედეგები ეხმიანება კითხვარის სხვა ბლოკში შეგროვებულ ინფორმაციას, როდესაც ტექნოლოგიებისადმი რესპონდენტების ზოგად დამოკიდებულებებს ვიკვლევდით. კერძოდ, რესპონდენტებს ვკითხეთ, მათი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, რამდენად ეფექტურად მიაჩნიათ ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამა და იყენებენ თუ არა ამ პროგრამას საკუთარ კურსებში. როგორც შეკითხვებზე მიღებული პასუხების ანალიზი მოწმობს, რესპონდენტთა უმრავლესობა (95.9%) ეთანხმება დებულებას, რომ ტექნოლოგიების გამოყენება განათლებაში მნიშვნელოვანია. მათი უმრავლესობა (84.4%) ეთანხმება იმასაც, რომ Turnitin-ის გამოყენება მნიშვნელოვანია, ასევე უმრავლესობა (80.8%) ამბობს, რომ პროგრამა Turnitin ეფექტური ინსტრუმენტია პლაგიატის აღმოჩენისთვის. თუმცა ამ

სურათის ფონზე საკმაოდ დიდ ნაწილს (48.4%) ან პასუხის გაცემა უჭირს, ან არ გამოუყენებია პროგრამა საკუთარ კურსებში (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2 რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილება დებულების მიხედვით



თვისებრივი მონაცემების შეგროვებისას რესპონდენტებს გავაცანიტ ეს შედეგები და ვთხოვეთ ინტერპრეტაცია. რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობას ნამდვილად აქვს ინფორმაცია პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის შესახებ, მაგრამ, როცა საქმე მის პრაქტიკაში გამოყენებაზე მიდგება, თავს იკავებენ.

ნაწილი მართლაც ადასტურებს, რომ არ გამოუყენებია არცერთი პროგრამა სტუდენტის დავალებებს შორის მსგავსების დასადგენად. ამ პრაქტიკას ისინი რამდენიმე მიზეზით ხსნიან, კერძოდ:

რესპონდენტთა ერთი ჯგუფი აცხადებს, რომ „სასწავლო კურსის შინაარსი არ მოითხოვს სტუდენტისგან ისეთი ტიპის ნაშრომის შექმნას, რომლის პლაგიატზე შემოწმებასაც აზრი ექნებოდა“. კურსების ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა, ხოლო მეორე ნაწილი „ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას, რაც მარტივად შესამოწმებელია საგამოცდო ტესტების გზით“. შესაბამისად, არც სტუდენტს და არც სასწავლო პროცესს ამით არაფერი აკლდება.

მეორე ჯგუფი აღნიშნავს, რომ სტუდენტების ნაწერებში პლაგიატის აღმოჩენის მიზნით იყენებენ ალტერნატიულ ხერხს – „გუგლის“ საძიებო სისტემას, რომელიც არანაკლებ ეფექტურია. ეს ჯგუფი საუბრობს იმაზე, რომ მათთვის „გაცილებით მარტივია ამ გზით პლაგიატის აღმოჩენა, რადგან არ საჭიროებს დამატებით სისტემებისა და პროგრამების გამოყენებას და არც ყველა ნაშრომის შემოწმება უწევთ“. გარდა ამისა, ამ გზით შესაძლებელია „გვერდი აუარო არსებულ ბიუროკრატიას და არც დამატებით ანგარიშის მონაცემების დამახსოვრება დაგჭირდება“.

სიმართლე რომ გითხრათ, მე პირადად „გუგლის“ მეთოდი მირჩევნია. ძალიან რთულია ამ კოდების დამახსოვრება, ცოტა ბიუროკრატიული სისტემაა. მე, მაგალითად, 4-5 პორტალზე მიწევს მუშაობა და ახლა კიდევ ეს. ჩემთვის „გუგლის“ გამოყენება უფრო მარტივია. [ასოცირებული პროფესორი]

რესპონდენტთა მესამე ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა ბრალის მინიმიზაციის მექანიზმის გამოყენების კონტექსტში, მიიჩნევს, რომ პლაგიატის დადგენა შესაძლებელია „ყოველგვარი ელექტრონული პროგრამის გამოყენების გარეშე“. მათი თქმით, ეს შემთხვევები ძირითადად უკავშირდება ისეთ ვითარებას, როცა კურსის ხელმძღვანელი იცნობს სტუდენტებს და გარკვეული წარმოდგენაც აქვს მათ შესაძლებლობებზე. შესაბამისად, „როცა სტუდენტი წარადგენს გამორჩეულად კარგად შესრულებულ დავალებას, ეს ეჭვს იწვევს“. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კურსების ფარგლებში მოცემული დავალებები ძირითადად ეფუძნება ლიტერატურას, რომელსაც წინასწარ შეარჩევენ და უზიარებენ სტუდენტებს. მოგვიანებით თუ აღმოჩნდა, რომ შესრულებული დავალება არ ეფუძნება ამ ლიტერატურას, ეს მათთვის საკმარისი არგუმენტია, რომ დაეჭვდნენ ნაშრომის ორიგინალობაში.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენელი რესპონდენტების ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის გარეშე შესაძლებელია მათ დარგში პლაგიატის დადგენა: „როცა გაეცნობი

შეგროვებულ მონაცემებს, ექსპერიმენტის აღწერას და თუ ეს არის სხვისგან გადაწერილი ან გამოგონილი, დარგის სპეციალისტი მარტივად გაარჩევს“.

ერთ-ერთი პროფესორი ასევე გვიყვება, რომ ტექნიკურ დარგებში, როგორცაა, მაგალითად მშენებლობა, მთელი რიგი კონსტრუქციული ნაწილის აღწერისთვის ხშირად გამოიყენება ერთნაირი ტერმინოლოგია (მაგ.: კოჭის მოწყობა, ზედაპირის გამოანგარიშება). შესაბამისად, ამ ნაწილში არსებული მსგავსებები პლაგიატად არ შეიძლება ჩაითვალოს და შემოწმებას არ საჭიროებს. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან აღნიშნავს, რომ მათ უწევთ ექსპერიმენტების ჩატარება და მონაცემების ამ ფორმით შეგროვება, შესაბამისად, თითქმის გამორიცხულია, რომ სტუდენტმა ვინმესგან გადაიწეროს. ამის საპირისპიროდ, რადგან სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში უფრო მეტად არის ტექსტის შექმნასთან დაკავშირებული აქტივობები ან კვლევის მონაცემები ხშირ შემთხვევაში ტექსტია, ამ მიმართულების აკადემიური პერსონალი უფრო ყურადღებით უნდა მოეკიდოს პლაგიატის საკითხს.

იმ რესპონდენტებისთვის, ვინც აქტიურად იყენებს Turnitin-ს, გაუგებარია, როგორ შეიძლება, რომ პრაქტიკაში იმოქმედო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე: „...ინფორმაციული ნაკადის ზრდის კვალდაკვალ წარმოუდგენელია დარგის სპეციალისტმა ყველაფერი იცოდეს ზედმიწევნით ტექსტთან ახლოს. ამას ემატება ჯგუფში სტუდენტების დიდი რაოდენობა – ბევრი წერითი ნაშრომის შემთხვევაში რთულდება პლაგიატის აღმოჩენაც და იზრდება დროც, რაც ამ ყველაფრისთვის შეიძლება კურსის ხელმძღვანელს დასჭირდეს“. [მოწვეული ლექტორი]

სკეპტიკურად განწყობილი რესპონდენტები, აგრეთვე ეჭვის თვალთ უყურებენ იმის ალბათობას, რომ პროფესორი საფუძვლიანად იცნობდეს ყველა სტუდენტს, რადგან „... დავალებები შეიძლება განაწილებული იყოს სემესტრის განმავლობაში და ისედაც, შესაძლოა, სტუდენტი არ ესწრებოდეს ლექციებს. ეს გარემოებები ართულებს წინასწარი შთაბეჭდილების შექმნას სტუდენტების შესაძლებლობებზე“. ამ არგუმენტის გამოყენება ბადებს ეჭვს, რომ ისინი უბრალოდ უფრო ღმობიერად ეკიდებიან პლაგიატის საკითხს.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ შეიძლება დახარჯოს ადამიანმა გაცილებით მეტი დრო და ენერჯია ისეთ საქმეზე, „რაც ნაკლებ დროში, ნაკლები ძალისხმევით და უკეთესი ხარისხით შეიძლება შესრულდეს“.

რესპონდენტების დიდი ნაწილი, ვინც იყენებს ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენ პროგრამას, მიიჩნევს რომ პროგრამის გამოყენება „...აუცილებელი მინიმუმია იმ მექანიზმებიდან, რომლებიც შეიძლება პლაგიატის პრევენციის ან, ზოგადად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიმართულებით შეიქმნას“. მათი წარმოდგენით, ის გარემოება, რომ სემესტრის მიმდინარეობისას ხდება წერილობითი ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე, თავისთავად მიანიშნებს სტუდენტებს ამ საკითხის მნიშვნელობაზე. იმის გამო, რომ ლექტორებს სასწავლო კურსის ფარგლებში ხშირად აღარ რჩებათ დრო, რომ დამატებით ესაუბრონ ამ პრინციპების დაცვის მნიშვნელობაზე, ეს პროგრამა ერთგვარად დამხმარე ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს სტუდენტების ინფორმირების მიმართულებით.

ამ ნარატივებში ცხადად იკვეთება ბანდურას მორალური გამოთიშვის თეორიაში აღწერილი შედეგების იგნორირების მექანიზმი. მაგალითად, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სპეციალიზებული პროგრამების ნაცვლად Google-ის საძიებო სისტემას ეყრდნობიან და ამ მეთოდს საკმარისად მიიჩნევენ. გარდა ამისა, ზოგიერთმა განაცხადა, რომ მათ შეუძლიათ პლაგიატის გამოვლენა ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენების გარეშე, რითაც ამცირებენ იმ შესაძლო შედეგების მნიშვნელობას, რაც სავარაუდო დარღვევას შეიძლება მოჰყვეს. ეს მაგალითები წარმოაჩენს აკადემიური პერსონალის პრაქტიკას, შეამცირონ პლაგიატით გამოწვეული შედეგების სიმძიმე, რაც უშუალოდ ეხმიანება შედეგების დამახინჯების მექანიზმს.

ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება

მორალური გამოთიშვის მექანიზმების ბოლო კატეგორიას წარმოადგენს „ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება“. ეს კატეგორია ორ მექანიზმს აერთიანებს: მსხვერპლის

დეკუმანიზაციასა და ბრალის ატრიბუციას. ორივე მექანიზმის საერთო მახასიათებელია აქცენტი ქმედების მსხვერპლის მახასიათებლებზე, რაც ქმედებაზე პერსონალური პასუხისმგებლობის შემცირების კიდეზე ერთ გზად გვევლინება.

დეკუმანიზაცია

მსხვერპლის დეკუმანიზაციის მექანიზმში მსხვერპლი უარყოფით ან ნეიტრალურ კონტექსტში არის წარმოჩენილი. შესაბამისად, ამ მექანიზმზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, საინტერესოა, თუ ვინ აღიქმება პლაგიატის შემთხვევაში მსხვერპლად. რესპონდენტთა პასუხებიდან გამომდინარე, მსხვერპლის როლში სამი ობიექტი წარმოგვიდგება, ესენია: ა) პირველწყაროს ავტორი, რომელსაც „ვპარავთ“ ნამუშევარს; ბ) სტუდენტი, რომელიც საკუთარ შეცდომებზე ვერ სწავლობს და გ) უნივერსიტეტი, რომლის იმიჯიც ზარალდება იმ შემთხვევაში, თუ გამოამჟღავნება პლაგიატის შემთხვევა.

თვისებრივ კომპონენტში რესპონდენტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აგებს საკუთარ მსჯელობას პირველწყაროს ავტორის კონტექსტზე. ამ ტიპის არგუმენტაციაში პირველწყაროს ავტორები წარმოგვიდგებიან, როგორც აბსტრაქტული ფენომენები „უსახო და უსაზღვრო“ დარგობრივი აკადემიური საზოგადოების ფარგლებში.

სოციალურ მეცნიერებებში საერთოდ გაუგებარია, ვის რა იდეა ეკუთვნის. განსაკუთრებით დღეს, როცა ინტერნეტში უამრავი რესურსია ხელმისაწვდომი. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ამ წყაროების ზღვაში პირველწყაროს ძიებას, მივუთითებ იმ წყაროს, რომელიც პირველი შემხვდება, ვინ რას გაიგებს.
[ასოცირებული პროფესორი]

ამ ნარატივს მეორე რესპონდენტიც განაგრძობს:

ჩემმა დოქტორანტმა შემომჩივლა – არ ვიცი, რას ვაკეთებ, იმდენი დრო მიმდის წყაროების, წყაროს წყაროების და წყაროს წყაროს წყაროების მოძიებაში, რომ ვფიქრობ, საერთოდ მოვეშვა ამ საქმეს. რა საჭიროა ეს ფუჭი პროცესი. მეც იგივე

აზრი მომდის, რაც სხვა ავტორს, ყველა უნდა მივუთითო ნაშრომში? აბსურდამდე მიდის ეს ყველაფერი. [ასოცირებული პროფესორი]

არგუმენტების მეორე წყებაში მსხვერპლად სტუდენტი გვევლინება, აქ ზოგიერთი პროფესორი თავს იმართლებს არგუმენტით – „შეაყარე კედელს ცერცვი“.

კერძოდ, პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებებზე საუბრისას, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტების ზოგადი მომზადების დონეზე, რომელსაც „არაფერი ეშველება“. ისინი ღიად საუბრობენ, რომ საბაკალავრო საფეხურზე მყოფ სტუდენტებს თითქმის არ აქვთ არანაირი ცოდნა კეთილსინდისიერების შესახებ. ისინი მიანიშნებენ ზოგადი განათლების საფეხურზე არსებულ პრობლემებზე და აღიარებენ, რომ ხშირად გამოირჩევიან ლმობიერი დამოკიდებულებით სტუდენტებთან, რადგან მათ უბრალოდ არ იციან, რა არის სწორი და არასწორი ქცევა.

რამდენიმე პროფესორი მსგავს ნარატივს განავრცობს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან მიმართებითაც. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს თემებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ, რადგან აქვთ მოლოდინი, რომ ეს საკითხები სწავლების წინა საფეხურზეა დაფარული, თუმცა რადიკალურად განსხვავებულ ვითარებაში უწევთ მუშაობა, აღმოაჩინენ რა, რომ სტუდენტები მინიმალურ დონეზეც კი არ ფლობენ პლაგიატის და სხვა სახის დარღვევების შესახებ ინფორმაციას. გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ ამ მიზეზის გამო მათ უწევთ საკითხების გადალაგება ისე, რომ მოიცვან ეს მიმართულებაც და ამავდროულად, გადახედონ მკაცრ დამოკიდებულებას პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების თვალსაზრისით.

მე ძირითადად ვასწავლი სამაგისტრო საფეხურზე. ხშირად მხვდება ნაშრომები, რომელიც ნათარგმნია. ეს ჩემთვის ნიშანია, რომ სტუდენტს არ აქვს ანალიტიკური აზროვნებისა და წერის უნარები, მას ურჩევნია, რომ ნაშრომი იყოს დისკრიპტული და ამბობს, რომ ეს სხვაგან წავიკითხე, მომეწონა და ამაზე უკეთ მე ვერ ვიტყვოდიო. როცა ამაზე ყურადღებას

ვამახვილებ, თითქოს სტუდენტს უკვირს და პირველად გაიგო. ეს იმიტომ ხდება, რომ მკაფიო და მკაცრი რეაქცია ამაზე არ მაქვს. მე მივუბრუნებ ხოლმე ნაშრომს და მერე შეუძლია, რომ გაასწოროს. ზოგადად, დავალებებში მე თუ შევამჩნიე ასეთი შემთხვევა, კომენტარებს ვუწერ დეტალურად და მერე ცოტა ქულასაც დავაკლებ, მაგრამ არ ვანულებ. თითქოს, გარემოდან გამომდინარე, ასე მკაცრად ვერ ვიქცევი. ვაფიქსირებ, რომ პრობლემაა, მაგრამ განულებით არ ვანულებ. [ასოცირებული პროფესორი]

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, საბაკალავრო საფეხურზე თავიდანვე არ აქვთ მოლოდინი, რომ სტუდენტის დავალება ან ნაშრომი იქნება გამორჩეულად ღირებული. მათი მტკიცებით, უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სტუდენტები მეტწილად კომპილაციური სახის ნაშრომებს ამზადებენ, სადაც მაღალია იმის ალბათობა, რომ სხვა წყაროებს გამოიყენებენ. შესაბამისად, ლექტორს აქვს მოლოდინი, რომ სტუდენტის დავალება ვერ იქნება განსაკუთრებული ან ორიგინალური. რესპონდენტთა ნაწილი ამავე მიზეზით ხსნის სამაგისტრო საფეხურზე სასწავლო კურსებში ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის არგამოყენებას. რამდენიმე პროფესორი საუბრობს იმაზე, რომ სტუდენტების უმრავლესობამ არ იცის, როგორ მოამზადოს ანალიტიკური ნაშრომი, ვერ ახერხებს ციტირების წესების დაცვას. მათ აქვთ ცოდნა, რომ უნდა დაიმოწმონ წყაროები, თუმცა სიღრმისეულად ვერ უკავშირებენ თეორიებს, კონსტრუქტებს და ეს მითითება გამოიყურება ხელოვნურად. თავის მხრივ, ამ მოცემულობის ერთ-ერთ მიზეზად თავად პროფესორები ასახელებენ იმას, რომ მათსავე კურსებშიც კი ამ საკითხებს არ ეთმობა საკმარისი დრო, რადგან ხშირად ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა მაღალია და ამის ფონზე სილაბუსის შედგენისას თავიდანვე გამორიცხება ანალიტიკური სახის ნაშრომის მომზადება, რადგან ამის მოსამზადებლად კიდევ უფრო დიდი ძალისხმევა და დრო არის საჭირო.

ჩვენმა სტუდენტებმა არ იციან, როგორ წერონ. მიუხედავად იმისა, რომ აქვთ სურვილი, მოამზადონ აკადემიური ნაშრომი, რეალურად არ იციან, როგორ მოახდინონ ციტირება. ისეთი აქტივობები, როგორცაა ორი ან სამი წყაროს

შეპირისპირება, ან თეორიის გამოყენება ანალიტიკურ ნაშრომში, ან საკუთარი ნაშრომის კრიტიკული შეფასება სხვა წყაროების განხილვის ჭრილში, ფაქტობრივად არ აქვთ. ამას ვამბობ არა მხოლოდ ჩემი კურსის მაგალითზე, არამედ სხვა კურსების გათვალისწინებითაც. [ასოცირებული პროფესორი]

არგუმენტების მესამე ჯგუფში პლაგიატის მსხვერპლად უშუალოდ უნივერსიტეტი გვევლინება, რადგან სწორედ მას შეიძლება მიადგეს ზიანი პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში. ამ ტიპის ნარატივებში უნივერსიტეტი წარმოგვიდგება უარყოფით კონტექსტში, როგორც მსხვერპლი, რომელიც არ იმსახურებს კარგ მოპყრობას. რესპონდენტთა ნაწილი ღიად საუბრობს სამუშაო დატვირთვაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მძიმეა (ამის შესახებ დეტალურად საუბარია ქვეთავში – აგენტობის მინიმიზაცია: პასუხისმგებლობის გადატანა).

რაოდენობრივ კომპონენტში ამგვარი არგუმენტაციის მაგალითად გამოყენებულია დებულება – „სამუშაო გარემო არ არის ჩემთვის მისაღები, არ მაქვს შესაბამისი ანაზღაურება, ამიტომ შეიძლება დადგენილი წესები (რომელიც ეხება პლაგიატის დადგენას და რეაგირებას) ზედმიწევნით არ შევასრულო“.

რესპონდენტების დაახლოებით მესამედი (33%) გარკვეული ხარისხით ეთანხმება ამ დებულებას. ამასთანავე, დებულებაზე თანხმობის მაჩვენებელი უფრო მაღალია მოწვეულ ლექტორებში (38%) ამ უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციის მქონე რესპონდენტებთან შედარებით (26.5%) და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($X^2 = 6.324 (1,371), p < .015$); ასევე ანალიზისას ჩანს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აკადემიური მიმართულების მიხედვით – ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულებების წარმომადგენელთა ამ დებულებაზე თანხმობის მაჩვენებელი (22 %) უფრო დაბალია ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების წარმომადგენლებთან შედარებით (35%), ($X^2 = 4.148 (1, 372), p < .045$). თანხმობის მაჩვენებელი განსხვავდება ასაკის მიხედვით – 66+ ასაკობრივ კატეგორიაში ის 55%-ს შეადგენს. ხოლო 36-50 წლის რესპონდენტების კატეგორიაში – მხოლოდ 20%-ს ($X^2 =$

20.632 (1, 372), $p < .001$). ასევე თვალსაჩინო განსხვავებებია პროგრამის Turnitin გამოყენების მაჩვენებლების მიხედვით ($X^2 = 3.914$ (1, 371), $p < .05$)

ცხრილი 19. რესპონდენტთა განაწილება მორალური გამოთიშვის სკალაზე სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება/დეჰუმანიზაცია)

ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება - დეჰუმანიზაცია	ქულა მორალური გამოთიშვის სკალაზე				X ² (df, N)	p
	დაბალი		მაღალი			
	n	%	n	%		
სქესი					.011(1,372)	1,000
კაცი	84	67,2%	41	32,8%		
ქალი	164	66,7%	82	33,3%		
განათლების მიღწეული დონე					3.671(1,372)	,060
დოქტორანტურა	147	71,0%	60	29,0%		
სხვა	101	61,6%	63	38,4%		
აკადემიური სტატუსი					6.324(1,371)	,015
პროფესორი	125	73,5%	45	26,5%		
მოწვეული ლექტორი	123	61,2%	78	38,8%		
მიმართულება					4.148(1,370)	,045
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	52	77,6%	15	22,4%		
ჰუმანიტარული და სოციალური	196	64,7%	107	35,3%		
ასაკი					20.632(3,372)	,000
21-35	58	60,4%	38	39,6%		
36-50	114	80,3%	28	19,7%		
51-65	66	59,5%	45	40,5%		
66+	10	45,5%	12	54,5%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი					3.914 (1,371)	,051
დაბალი	202	64,7%	110	35,3%		
მაღალი	46	78,0%	13	22,0%		
სტაჟი					3.477(2,371)	,176
0-5 წლამდე	33	56,9%	25	43,1%		
6-15 წლამდე	105	70,5%	44	29,5%		
15 +	110	67,1%	54	32,9%		
სულ	248	66,8%	123	33,2%		

რეგრესიული მოდელის მიხედვით, აკადემიური მიმართულება ($B = -0.672, p < .05, \text{Exp}(B) = 0.511$), ასაკი ($B = 0.522, p < .01, \text{Exp}(B) = 1.686$) და ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი ($B = 0.713, p < .05, \text{Exp}(B) = 2.041$) მნიშვნელოვან პრედიქტორებად რჩებიან და გავლენას ახდენენ ქცევის მსხვერპლთან დაკავშირების/დეკუმანიზაციის ამსახველ დებულებაზე თანხმობის ალბათობაზე.

ცხრილი 20. ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება-დეკუმანიზაცია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	,052	,251	,044	,835	1,054
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	-,300	,307	,955	,328	,741
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,575	,301	3,657	,056	,563
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	-,672	,332	4,088	,043	,511
ასაკი - 25-35	,522	,177	8,718	,003	1,686
გამოცდილება - 0-5 წელი	-,294	,219	1,807	,179	,745
ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (დაბალი)	,713	,350	4,147	,042	2,041
მუდმივა	-1,288	,505	6,497	,011	,276

Nagelkerke R Square=,092

N=327

რეგრესიული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი); ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (მაღალი).

რაოდენობრივ კომპონენტში გამოვლენილი ეს ზოგადი ტენდენციები გვაფიქრებინებს, რომ აკადემიური პერსონალის ქვეჯგუფები თავს ერთნაირად ინტეგრირებულად არ გრძნობენ უნივერსიტეტში. მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებო ჯგუფს წარმოადგენს მოწვეული პერსონალი.

თვისებრივ ნაწილში ასევე საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებისა და ასაკის ცვლადის მიმართებასთან დაკავშირებით. კერძოდ, რაოდენობრივ კომპონენტში ჩანს ტენდენცია, რომ მორალური გამოთიშვის ამ მექანიზმს უფრო ხშირად მიმართავენ ძალიან ახალგაზრდა ან შედარებით ასაკოვანი

რესპონდენტები, მაშინ, როდესაც მორალური გამოთიშვის მაჩვენებელი შედარებით დაბალია შუა ასაკის რესპონდენტებში.

თვისებრივ ნაწილში ჩართული აკადემიური პერსონალის დაკვირვებით, ასაკოვანი კოლეგები ხშირად მეტ ძალისხმევას და ენერგიას საჭიროებენ ტექნოლოგიების ასათვისებლად, ვინაიდან ამ ასაკში სწავლის თავიდან დაწყება რთულია. შესაბამისად, ზოგიერთს ამ ძალისხმევის გაწევა არსებული ხელფასისა და კონტექსტის გათვალისწინებით „არ უღირს“. თუმცა თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ დაკვირვებას ვერ განაზოგადებს ყველა ასაკიან პროფესორზე და კოლეგაზე, რადგან მრავლად არიან ისინიც, ვინც ზედმიწევნით მიჰყვება ინსტრუქციებს და ცდილობს, მაქსიმალურად გაითვალისწინოს არსებული წესები და რეგულაციები.

საგულისხმოა, რომ მეტ-ნაკლებად მსგავსი ნარატივი გამოიკვეთა ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალთან მიმართებითაც. რესპონდენტების თქმით, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები არ ემორჩილებიან საუნივერსიტეტო რეგულაციებს და ცოტა გულგრილად უდგებიან პლაგიატის პრევენციის საკითხს. თითქოს მათ ყველაზე კარგად უნდა ესმოდეთ საკითხის მნიშვნელობა, რადგან „ტექნოლოგიებთან ერთად დაიბადნენ“ და არ უნდა უჭირდეთ მათი გამოყენება, მაგრამ, რესპონდენტების დაკვირვებით, ახალგაზრდა კოლეგებს უფრო მეტად უჩნდებათ აკადემიურ გადაცდომებზე თვალის დახუჭვის სურვილი.

ასაკს რაც შეეხება, ცოტა ინდივიდუალურია – საშუალო ასაკის აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურობს ამ მიმართულებით. თითქოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი ან ასაკში მყოფი ცოტა უფრო ლოიალურია. ზოგადად, ცნობილი ფაქტია, რომ იმას, რაც სავალდებულოა, ახალგაზრდები არ აკეთებენ და უფრო თავისუფლება ურჩევენიათ. [სრული პროფესორი]

ამ შემთხვევაშიც რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამ მსჯელობას ვერ განაზოგადებენ ყველა ახალგაზრდა კოლეგაზე, რადგან იცნობენ მათაც, ვინც დიდი პასუხისმგებლობით

ეკიდება პლაგიატის საკითხს, აქვს შესაბამისი კომუნიკაცია სტუდენტებთან და სასწავლო პროცესში იყენებს შესაბამის ტექნოლოგიებს.

ბრალის ატრიბუცია

მორალური გამოთიშვის კიდევ ერთი მექანიზმია ბრალის მსხვერპლზე ატრიბუცია. ამ მექანიზმშიც ცენტრალური როლი ენიჭება მსხვერპლს, თუმცა დეჰუმანიზაციის მექანიზმისგან განსხვავებით, სადაც მსხვერპლი პასიურ ობიექტად გვევლინება, ამ სტრატეგიაში იგი „მთავარი დამნაშავეს“ როლს ასრულებს.

ამგვარი ნარატივის ჩამოყალიბებისას, თვისებრივ კომპონენტში ცენტრალურ ფიგურად ისევ უნივერსიტეტი გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავადვე შეიძლება დაზარალებულს პლაგიატის შედეგად, ხანდახან მისი პოლიტიკა „თვითდესტრუქციას“ მოგვაგონებს, რომელიც აკადემიურ პერსონალში „დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის მუხტს წარმოქმნის“.

მაგალითად, რესპონდენტთა ნაწილი ღიად მიანიშნებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის „ხისტ დამოკიდებულებაზე“ – დავალებების შეფასებისას ლექტორებს უწევთ, იმოქმედონ უნივერსიტეტში არსებული ისეთი რეგულაციებით, რომლებიც „სივრცეს არ ტოვებს თავისუფლებისთვის“.

ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად ისე ქმნიან წესებს, რომ არ ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კომპლექსურობის საკითხს, რომ შეიძლება არსებობდეს გარემოებები, რაც სტუდენტისა და ლექტორის თანამშრომლობაზე მოახდენს გავლენას, მათ შორის შეიძლება განსაზღვრავდეს სტუდენტის მიერ დავალებების შესრულების სიხშირესა და ხარისხს, ან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის პრაქტიკას. [მოწვეული ლექტორი]

გამოკითხულთა მტკიცებით, ლექტორების წინააღმდეგობას სწორედ ეს მკაცრი რეგულაციები აყალიბებს, რადგან „პრაქტიკაში გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც არსებული წესებით მიდგომას ვერ დაეკვემდებარება“.

რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს იმაზეც, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ ითვალისწინებს პროფესორების განსხვავებულ სასწავლო საჭიროებებს და არ აქვს დიფერენცირებული მიდგომა.

აკადემიურ პერსონალში ჯერ კიდევ არის ტექნოლოგიური კომპეტენციების პრობლემა. შესაძლოა, დღესაც იყოს პროფესორი, რომლისთვისაც უფრო მარტივია, თუ დავალებას სხვა ფორმით ჩაიბარებს და არა მაინცდამაინც ელექტრონულად, ან კონკრეტულ პროგრამაში ატვირთვის გზით. როგორც წესი, ასეთ ადამიანებს უჭირთ იმის აღიარება, რომ დახმარება სჭირდებათ და საერთოდ უარს ამბობენ ტექნოლოგიების გამოყენებაზე. [მოწვეული ლექტორი]

ამავე კონტექსტში რამდენიმე რესპონდენტი მიუთითებს იმასაც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს პროფესორის ასისტენტის ფუნქცია, რომ სისტემატურად იყოს ახალგაზრდა ან დამწყები ლექტორი, რომელიც დაეხმარება პროფესორს, მათ შორის ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენებისას.

რაოდენობრივ კომპონენტში ბრალის ატრიბუცია კითხვარში წარმოდგენილი იყო შემდეგი დებულებით – „დამსაქმებელი არ ზრუნავს ჩემს პროფესიულ განვითარებაზე, ამიტომ მეც არ ვთვლი აუცილებლად სწავლების მეთოდების ცვლილებას და სიახლეების დანერგვას“.

რაოდენობრივი მონაცემების შედეგები მიუთითებს, რომ აკადემიური სტატუსი და ტექნოლოგიების გამოყენება აქაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დამოკიდებულებებზე. კერძოდ, მოწვეული ლექტორები უფრო მეტად არიან მიდრეკილები ბრალის ატრიბუციისკენ (36%-ს მაღალი ქულა აქვს ბრალის ატრიბუციის სკალაზე), მაშინ, როდესაც პროფესორებს შორის იგივე მაჩვენებელი 24%-ს შეადგენს ($X^2 = 6.441(1, 371), p = .013$).

გარდა ამისა, ამ დებულებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილება ტექნოლოგიების გამოყენება. ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი მაჩვენებლის მქონე პირებიდან

მხოლოდ 19%-ს აქვს მაღალი ქულა ბრალის ატრიბუციის ამ კომპონენტში ($X^2 = 4.813$ (1.371), $p < .031$).

ცხრილი 21. ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება – ბრალის ატრიბუცია

ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება - ბრალის ატრიბუცია	ქულა მორალური გამოთიშვის სკალაზე				X ² (df, N)	p	
	დაბალი		მაღალი				
	n	%	n	%			
სქესი					.020 ^a	,906	
	კაცი	86	68,8%	39	31,2%		
	ქალი	171	69,5%	75	30,5%		
განათლების მიღწეული დონე					.349(1,371)	,573	
	დოქტორანტურა	146	70,5%	61	29,5%		
	სხვა	111	67,7%	53	32,3%		
აკადემიური სტატუსი					6.441(1,371)	,013	
	პროფესორი	129	75,9%	41	24,1%		
	მოწვეული ლექტორი	128	63,7%	73	36,3%		
მიმართულება					.597(1,370)	,469	
	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	49	73,1%	18	26,9%		
	ჰუმანიტარული და სოციალური	207	68,3%	96	31,7%		
ასაკი					4.037(3,371)	,257	
	21-35	64	66,7%	32	33,3%		
	36-50	105	73,9%	37	26,1%		
	51-65	76	68,5%	35	31,5%		
	66+	12	54,5%	10	45,5%		
ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი					4.813 (1, 371)	,031	
	დაბალი	209	67,0%	103	33,0%		
	მაღალი	48	81,4%	11	18,6%		
სტაჟი					1.149(2,371)	,563	
	0-5 წლამდე	37	63,8%	21	36,2%		
	6-15 წლამდე	103	69,1%	46	30,9%		
	15 +	117	71,3%	47	28,7%		
სულ		257	69,3%	114	30,7%		

ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზმა აჩვენა, რომ მორალური გამოთიშვის ამ კომპონენტში მაღალი ქულების მქონე რესპონდენტებზე გავლენას ახდენს ორი ფაქტორი.

კერძოდ, პროფესორები ნაკლებად ეთანხმებიან დებულებას მოწვეულ ლექტორებთან შედარებით – პროფესორის სტატუსი ასოცირებულია მორალური გამოთიშვის მაღალი ქულების მიღების ალბათობის 57%-ით შემცირებასთან ($B = -0.845, p < .01, \text{Exp}(B) = .429$). ასევე ტექნოლოგიის გამოყენების სკალაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე პირები დაახლოებით 2-ჯერ მეტი ალბათობით ეთანხმებიან ამ დებულებას ($B = -0.837, p < .05, \text{Exp}(B) = 2,309$).

ცხრილი 22. ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება – ბრალის ატრიბუცია (სხვადასხვა ფაქტორის გავლენა მორალური გამოთიშვის სკალის მაჩვენებელზე) – ბინარული ლოგისტიკური რეგრესია

	B	S.E.	Wald	p	Exp(B)
სქესი - კაცი	,039	,251	,023	,878	1,039
განათლების მიღწეული დონე - დოქტორანტურა	,297	,311	,910	,340	1,346
აკადემიური სტატუსი - პროფესორი	-,845	,304	7,724	,005	,429
აკადემიური მიმართულება - ზუსტ./საბ.	-,296	,316	,880	,348	,743
ასაკი - 25-35	,258	,176	2,151	,142	1,295
გამოცდილება - 0-5 წელი	-,189	,220	,737	,391	,828
ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი - დაბალი	,837	,367	5,203	,023	2,309
მუდმივა	-1,422	,521	7,455	,006	,241

Nagelkerke R Square=,07

N=327

რეგრესიული ჯგუფები: განათლების მიღწეული დონე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); აკადემიური სტატუსი (მოწვეული ლექტორი); აკადემიური მიმართულება (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები); ასაკი (36-50, 51-65, 66+); გამოცდილება (6-15 წელი, 16+ წელი); ტექნოლოგიის ინტეგრაციის მაჩვენებელი (მაღალი).

თვისებრივ კომპონენტში ჩართული რესპონდენტების აზრით, გასაკვირი არ არის ის გარემოება, რომ მოწვეული პერსონალი და ტექნოლოგიებში ნაკლებად გარკვეული რესპონდენტები პლაგიატთან დაკავშირებული რეგულაციების უკეთ შესასრულებლად მეტ ტექნიკურ დახმარებასა და ინფორმაციას საჭიროებენ.

გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი ბრალის ატრიბუციისას ყურადღებას ამახვილებს თავად ტექნოლოგიის ხარვეზებზე. კერძოდ, საუბრობს იმაზე, რომ ტექსტებს შორის

მსგავსების აღმომჩენი პროგრამა არ არის სრულყოფილი იმ რესურსების თვალსაზრისით, რასთანაც ის არსებულ ტექსტებს ადარებს. პროფესორთა ეს ჯგუფი იხსენებს შემთხვევებს, როცა დავალებაში დანამდვილებით იყო გადმოწერილი ტექსტი, თუმცა პროგრამამ ეს ვერ აღმოაჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს კონკრეტული დავალება არ იყო სტუდენტის ორიგინალური ნამუშევარი, მაინც მომიწია შეფასების დაწერა, რადგან პროგრამულად პლაგიატი ვერ დადგინდა. [ასოცირებული პროფესორი]

ამ ნარატივს ავითარებენ სხვა რესპონდენტებიც, რომლებიც ზოგადად საუბრობენ მსგავსი პროგრამების მუშაობის ხარვეზებზე. ისინი ექვევებ აყენებენ მათ ეფექტურობას ქართულ ენაზე არსებულ ტექსტებთან მიმართებით, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. მათი მტკიცებით, წყაროების უმრავლესობა ჯერ კიდევ ნაბეჭდი ფორმით არის, ამიტომ სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ გადაიწერონ ისე, რომ „ეს პროგრამა ამას ვერ დაადგენს“.

რამდენიმე რესპონდენტი ასევე იხსენებს შემთხვევას, როცა სტუდენტები შეგნებულად ცდილობდნენ ტექსტის იმგვარად მომზადებას, რომ პროგრამას მსგავსებები ვერ ამოეცნო. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სტუდენტები ამზადებენ ვიდეოინსტრუქციებს, სადაც ხსნიან კონკრეტულ ნაბიჯებს, თუ როგორ უნდა მოამზადო დავალება ისე, რომ პლაგიატის დადგენა ვერ მოხდეს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით გამოკითხულთა ნაწილი არაეფექტურად მიიჩნევს ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენებას.

მქონდა შემთხვევა, როცა სტუდენტმა ატვირთა დავალება, მსგავსების მაჩვენებელი იყო ნული. ამ სტუდენტს ერთხელ არ ამოუღია ხმა მთელი სემესტრის განმავლობაში, მაშინვე მივხვდი, რომ ეს მისი დაწერილი არ იყო. თავიდან ვიფიქრე, რომ სხვას დააწერინა, მაგრამ შემდეგ ჩემს კოლეგას ვანახე და აღმოჩნდა, რომ სტუდენტს შეგნებულად ჰქონდა ჩასმული დამატებით ასოები ყველა სიტყვაში ისე, რომ პროგრამამ ეს სიტყვები აღიქვა განსხვავებულად. ვერც კი

წარმოვიდგენდი, ამდენს თუ მოიფიქრებდნენ. მერე ჩემმა კოლეგამ გამიზიარა ვიდეო, რომელიც ღიად იდო YouTube-ში, სათაურით – „როგორ უნდა მოატყუო Turnitin-ი“. ეს ერთი მაგალითია და უამრავი არსებობს კიდეც, ათასი ხრიკია, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს პროგრამა გამართულად არ მუშაობს და დიდად მის მიმართ ნდობა არ მაქვს. [ასოცირებული პროფესორი]

მსხვერპლთან დაკავშირებული მორალური გამოთიშვის ეს მექანიზმები დამატებით ნიუანსებს წარმოაჩენს პლაგიატზე თვალის დახუჭვის რაციონალიზაციისას და პლაგიატთან ბრძოლის საუნივერსიტეტო პოლიტიკაში არსებულ დამატებით მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს.

კვლევის ძირითადი მიგნებები და მათი ინტერპრეტაცია

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის (Turnitin) გამოყენების გამოცდილებისა და აკადემიურ პერსონალში პლაგიატის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა; ამ ორ განზომილებას შორის შესაძლო მიმართებების გამოვლენა. ამ მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები უკავშირდებოდა პროგრამის გამოყენების არსებულ პრაქტიკას და ზოგადად აკადემიურ პერსონალში პლაგიატის სიმწვავისა და მასთან ბრძოლის ეფექტურობის აღქმის საკითხებს.

საქართველოს ორ საჯარო, მულტიპროფილური უნივერსიტეტის სტუდენტებში პლაგიატთან ბრძოლის გამოცდილების კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პრობლემასთან გამკლავების ფორმალური გარე და შიდა მექანიზმების არსებობის მიუხედავად, პლაგიატის მასშტაბის აღქმა, რომელიც პრობლემის რეალური სიმწვავის ირიბ ინდიკატორად შეიძლება ჩავთვალოთ, მაინც ძალიან მაღალია. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა პლაგიატის პრევენციის საუნივერსიტეტო მექანიზმების ხარვეზებიც.

ამასთანავე მაღალია პლაგიატის გამოვლინებისადმი შედარებით ლოიალურად

განწყობილი აკადემიური პერსონალის წილი, რომელიც, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, სტუდენტებში პლაგიატის შემთხვევებს დასაშვებად მიიჩნევს.

რესპონდენტთა ეს პოზიცია, რომელიც კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ნიუანსური ინფორმაციითა და არგუმენტებით გამდიდრდა, არ ნიშნავს, რომ სწავლებაში ჩართული პერსონალისთვის პლაგიატი მისაღებია – რესპონდენტების მსჯელობა მიგვანიშნებს, რომ პლაგიატთან ბრძოლის აუცილებლობის მიუხედავად, ზოგადად, საუნივერსიტეტო პოლიტიკა, ისევე, როგორც ცალკეული პერსონალის მცდელობები, პლაგიატთან ბრძოლის მიმართულებით საკმარისად ეფექტური არ არის, რასაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ორგანიზაციული და ინდივიდუალური გამოწვევა განაპირობებს.

პლაგიატთან მიმართებით პერსონალის ქცევა ხშირად განპირობებულია მათი წარსული გამოცდილებებითა და საუნივერსიტეტო გარემოში დამკვიდრებული ნორმებით. მაგალითად, ზოგიერთ რესპონდენტს აქვს მიდგომა, რომ მსგავსი საკითხები მათი კარიერის განმავლობაში დიდი გამოწვევა არ ყოფილა, რაც აისახება მათ დღევანდელ ქმედებებში. ასევე, გარკვეულწილად, კულტურული ფაქტორები (მაგ., წარმოდგენა, რომ პლაგიატი ზოგადად სისტემის პრობლემაა ან ეს ქართული საგანმანათლებლო ტრადიციის ნაწილია) გავლენას ახდენს პერსონალის მხრიდან პლაგიატთან ბრძოლისადმი ნაკლებად აქტიურ მიდგომაზე. ასეთი კონტექსტში, პერსონალის ქცევა შეიძლება აიხსნას არა ინდივიდუალური სურვილით, არამედ ფართო ინსტიტუციური და კულტურული გავლენებით.

ანალოგიური ტენდენცია იკვეთება რესპონდენტების მსჯელობაში ტექსტების დამდგენი პროგრამის (Turnitin) გამოყენების პრაქტიკასა და შედეგებზე. სამიზნე უნივერსიტეტებში პლაგიატთან ბრძოლის ამ კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენების ათწლიანი გამოცდილების მიუხედავად, პლაგიატთან ბრძოლის ზოგადი მიზნის ფარგლებში მისი ეფექტურობის შესახებ მოსაზრებები არაერთგვაროვანია, ისევე, როგორც არაერთგვაროვანია ამ კონკრეტული პროგრამის გამოყენების პრაქტიკა. კვლევის შედეგების თანახმად, ეს მდგომარეობა განპირობებულია, ერთი მხრივ, უნივერსიტეტში პროგრამის დანერგვის კუთხით მხარდაჭერის პოლიტიკის გამოწვევებით, მეორე მხრივ –

თავად პროგრამის შეზღუდვებით, ხოლო მესამე მხრივ, ზოგადად, პლაგიატთან ბრძოლის საუნივერსიტეტო პოლიტიკის ხარვეზებით. ამასთან, აღნიშნულს თან ერთვის სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც უნივერსიტეტებში აკადემიური წესების აღქმასა და დანერგვას უკავშირდება. მაგალითად, ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენების მიმართ სკეპტიციზმს საფუძვლად უდევს ტრადიციული მიდგომა, თითქოს პლაგიატთან ბრძოლის პროგრამები მხოლოდ ტექნიკური ინსტრუმენტებია და ისინი ვერ ახერხებენ სტუდენტების ნამუშევრების ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ამას ემატება ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში, არსებული ნორმები და ტრადიციები უფრო ლოიალურობას უსვამს ხაზს, ვიდრე მკაცრ აკადემიურ სტანდარტებს. ამგვარი თავისებურებები ხშირად აისახება პროფესორების ქცევით მოდელებში, რომლებიც ინდივიდუალურ გამოცდილებებს ეყრდნობა.

პლაგიატის პრევენცია ტექნოლოგიების გამოყენებით

კვლევის მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს პარადოქსული წინააღმდეგობა პლაგიატთან ბრძოლის ტექნოლოგიების მნიშვნელოვნების აღქმასა და ამ ინსტრუმენტის პრაქტიკაში გამოყენების რეალურ მაჩვენებლებს შორის. შედეგები მიუთითებს, რომ ორ სამიზნე უნივერსიტეტში გამოკითხული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (90%) მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ ტექნოლოგიას, თუმცა საკუთარ საქმიანობაში მას მხოლოდ ნახევარი იყენებს.

ტექნოლოგიების გამოყენების სკალაზე აკადემიური პერსონალის რაწერებისას იკვეთება ტენდენცია, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენების შედარებით მაღალ საფეხურზე გამოკითხული აკადემიური პერსონალის მხოლოდ 16% იმყოფება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწავლო კურსებში სისტემურად და კომპლექსურად ამ პროგრამის გამოყენება გავრცელებულ პრაქტიკას არ წარმოადგენს.

კვლევის ეს მიგნება თანხვედრაშია ჰუპერისა და რიბერის მოდელის მიხედვით ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ადრეული კვლევების მაჩვენებლებთან. მაგალითად, მეიერის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ამ თეორიის

ჭრილში უშუალოდ ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის (Turnitin) ადაპტაციას სწავლობდა, ზუსტად იმავე მიგნებაზე მიუთითებს: მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობა აღიარებს პროგრამის მნიშვნელობას და იცნობს მის ძირითად ფუნქციებს, პრაქტიკაში მისი გამოყენების მაჩვენებელი დაახლოებით 15%-ის ფარგლებშია (Meyer 2018).

მოცემული კვლევა განაგრძობს ამ დასკვნას და სამიზნე უნივერსიტეტებში, ტექნოლოგიური ინოვაციების მხარდამჭერ სისტემაში არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს. კერძოდ, რესპონდენტების მსჯელობა საუნივერსიტეტო პოლიტიკის ხარვეზებს სულ მცირე სამი მიმართულებით წარმოაჩენს: ა) უნივერსიტეტების პოლიტიკა საკმარისად ეფექტური არ არის ამ კონკრეტული ინსტრუმენტის დანერგვის მხარდაჭერის კუთხით; ბ) უნივერსიტეტებში არ არსებობს საკმარისი „სივრცე“ გამოცდილების გაზიარებისთვის, ამ ტექნოლოგიის შეზღუდვების/ხარვეზების ღიად განხილვისთვის, ისევე, როგორც ალტერნატივების შეთავაზებისა და დატესტვისთვის; გ) ინსტრუმენტი არ არის განხილული პლაგიატთან ბრძოლის ზოგად საუნივერსიტეტო პოლიტიკასთან ბმაში.

ა. ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი ინსტრუმენტის (Turnitin) დანერგვის მხარდაჭერა

ჩვენი თეორიული მოდელის ჭრილში ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის დანერგვის მიმართულებით ჩატარებული ადრეული კვლევებიც ცალსახად აჩვენებს, რომ ორგანიზაციული მხარდაჭერის სტაბილური და თანმიმდევრული მექანიზმების არსებობის გარეშე ტექნოლოგიების ათვისების პროცესში აკადემიური პერსონალი ძირითადად საწყისი საფეხურებით შემოიფარგლება (Meyer 2018). ჩვენი კვლევის შედეგები ამ მიგნებას ეხმიანება, რადგან გამოვლინდა, რომ სამიზნე უნივერსიტეტებში Turnitin-ის გამოყენების მიუხედავად, მისი პრაქტიკული ეფექტურობა შეზღუდულია. ეს გამოწვეულია როგორც ორგანიზაციული მხარდაჭერის ნაკლებობით, ისე ზოგადად საუნივერსიტეტო პოლიტიკის ხარვეზებით, რაც ტექნოლოგიის სრულყოფილი დანერგვისთვის აუცილებელია.

კვლევების ნაწილში ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ჭრილშია აღწერილი. ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ამ მხრივ ტექნოლოგიისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება წარმოადგენს – მასწავლებლების ნაწილი მიიჩნევს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე უფრო ეფექტურ შედეგს მიაღწევდნენ (Sahal and Ozdemir 2020). ჩვენი კვლევის შედეგები ადასტურებს ამ ტენდენციას. მაგალითად, ზოგიერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ პლაგიატის გამოვლენა შესაძლებელია ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის (ან ნებისმიერი სხვა პროგრამის) გამოყენების გარეშე, რაც ტექნოლოგიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამის გამოყენების მიზნების განხილვა და ამ მიზნებზე შეთანხმება.

მოცემული კვლევის მიგნებები კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტში ეხმიანება იმავე თეორიული მოდელით განხორციელებული სხვა კვლევების დასკვნებს – ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების ფორმატების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ქვეჯგუფთან მუშაობის დიფერენცირებული მიდგომები (J. M. Gullifer and Tyson 2014; Owen and Demb 2004).

პლაგიატის საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე აკადემიურ პერსონალს უჭირს, ღიად ისაუბროს კონკრეტულ შემთხვევებზე მათი კოლეგების თანდასწრებით, ამიტომ მათთვის უფრო მოსახერხებელია, თუ მსგავსი საკითხები განიხილება ინდივიდუალურად. კვლევები ადასტურებს, რომ თუ ტრენინგი არის ზოგადი ხასიათის და ტარდება ჯგუფურად, ის ნაკლებად ეფექტურია (Buckley and Cowap 2013). ხშირად ერთგვარ ბარიერს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის შიგნით არ არსებობს მუდმივმოქმედი რგოლი, რომელიც სისტემურად და უწყვეტად იზრუნებდა აკადემიური პერსონალის ინფორმირებასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე (Polly, Martin, and Guilbaud 2021). ჩვენი კვლევის შედეგები მიუთითებს მსგავს მიგნებებზე. რესპონდენტების ნარატივებიდან აშკარა ხდება, რომ სისტემური მიდგომის ნაკლებობა

ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა, რაც პლაგიატთან ბრძოლის ინსტრუმენტების ეფექტიანობას აფერხებს. ისინი ღიად საუბრობენ, რომ პლაგიატთან ბრძოლის ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება შეუძლებელია უნივერსიტეტში მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერისა და სისტემური მიდგომის გარეშე.

ბ) სივრცე გამოცდილების და ალტერნატივების განხილვისთვის

სტრუქტურული ორგანიზაციული ფაქტორებისა და მხარდამჭერი მექანიზმების გარდა, ჰუპერისა და რიბერის თეორიასთან მიმართებით უკვე არსებული კვლევების ნაწილი ასევე მიუთითებს თავად პროგრამის ეფექტურობისადმი დამოკიდებულების მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ტექნოლოგიებით სწავლება გულისხმობს ამ მიდგომების მნიშვნელობაზე საერთო ხედვის არსებობას. ტექნოლოგია ვერ იქნება ეფექტური მასწავლებლის, აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობისა და მოტივაციის გარეშე (Sackstein and Slonimsky 2017).

შესაბამისად, ტექნიკურ მხარდაჭერასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისეთი ორგანიზაციული კლიმატის და გარემოს შექმნა, სადაც წახალისებული იქნება თავად ტექნოლოგიის ხარვეზების განხილვა, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ახალი, ალტერნატიული იდეების პრაქტიკაში გამოყენებისა და პილოტირების შესაძლებლობების შექმნა. რამდენიმე კვლევა, რომელიც ჰუპერისა და რიბერის თეორიის ჭრილში უშუალოდ ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის ადაპტაციას შეისწავლიდა, აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომლებიც აღწევენ რეორიენტაციისა და ევოლუციის ფაზებს (ეს ფაზები ასახავს ზოგადად ტექნოლოგიების უფრო საფუძვლიან ინტეგრაციას და გამოყენებას საგანმანათლებლო გარემოში), ჩვეულებრივ, არიან გრძელვადიანი სისტემური ორგანიზაციული მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების ხედვის მქონე ადამიანები (Orey, Jones, and Branch 2011).

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რესპონდენტთა ჯგუფი, რომელიც ზოგადად იცნობს პროგრამას, საკუთარ პრაქტიკაში ინტენსიურად იყენებს ტექნოლოგიებს, მაგრამ უშუალოდ ამ კონკრეტულ პროგრამას არაეფექტურად ან ტექნიკურად რთულად

მიიჩნევს (მაგ., პროგრამის გამოყენებისას სტუდენტებს უჭირთ ორიენტაცია; არ არის სახალისო და მეგობრული პლატფორმა; ასი პროცენტით მსგავსების დადგენას ვერ ახერხებს; ქართულ ენასთან მიმართებით შეიძლება ჰქონდეს ხარვეზები და სხვ.). ამ მხრივ, ჩვენი კვლევის შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება ე. წ. ტექნოლოგიების მიმღებლობის მოდელს (Technology Acceptance Model), რომელიც ტექნოლოგიების მიმართ დამოკიდებულების შესწავლისას კონცენტრირდება ორ ძირითად ფაქტორზე – აკადემიური პერსონალის წინასწარ წარმოდგენებზე, კერძოდ: ა) რამდენად გამოსადეგია კონკრეტული პროგრამა და ბ) თუ რამდენად ადვილია მისი გამოყენება (Davis 1989). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიის მიხედვით, კურსის ხელმძღვანელმა კონკრეტული ტექნოლოგია შეიძლება არ გამოიყენოს იმ მიზეზით, რომ არაეფექტურად ან არარელევანტურად მიიჩნევს მას სასწავლო მიზნებთან მიმართებით, ან ფიქრობს, რომ ის ტექნიკურად რთულია. მოცემული კვლევის რესპონდენტების ნაწილი, ვინც იცნობს, თუმცა ამ ეტაპზე ინტენსიურად არ იყენებს Turnitin-ს, აღნიშნავს, რომ მათი წარმოდგენით, პროგრამას გარკვეული შეზღუდვები აქვს და სანაცვლოდ ისინი ამჯობინებენ სხვა, უფრო მოქნილი, მომხმარებელზე უკეთ მორგებული პლატფორმების თუ პროგრამების (მაგ., Google) გამოყენებას.

გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ არ იყენებს ამ პროგრამას იმის გამო, რომ ეს მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და დროს. კვლევის მიზანი არ ყოფილა პროგრამის ხარვეზების შესწავლა, თუმცა ეს მიგნებები საინტერესოა ზოგადი საუნივერსიტეტო პოლიტიკის გააზრების კუთხით. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტში საკმარისი ძალისხმევა არ იხარჯება იმისათვის, რომ არსებობდეს შესაძლებლობები პროგრამის რელევანტურობისა და ეფექტურობის დიად განხილვისთვის, ალტერნატიული მოდელების პილოტირებისა და ამ მხრივ გამოცდილების გაზიარებისთვის.

გ) ზოგადი საუნივერსიტეტო პოლიტიკა

მოცემული კვლევა, საკითხის გარშემო არსებული სხვა კვლევების მსგავსად, აჩვენებს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატთან ბრძოლის ტექნოლოგიების დანერგვის ამოცანის კონტექსტში ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს

ორგანიზაციის შიგნით ამ ცვლილების საბოლოო მიზნის ეფექტური კომუნიკაცია და სტანდარტებზე შეთანხმება, ისევე, როგორც კონტროლისა და წახალისების თანმიმდევრული მექანიზმების დანერგვა და კონტექსტის თავისებურებების კარგად გათვალისწინება (Childers and Bruton 2016). ჩვენი კვლევის შედეგები ეხმიანება წინარე კვლევას, რადგან სამიზნე უნივერსიტეტებში Turnitin-ის გამოყენების მიუხედავად, პლაგიატის პრევენციის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ პროგრამის არსებობაზე, არამედ აკადემიურ პერსონალთან მისი გამოყენების სარგებლიანობასთან დაკავშირებით სწორად კომუნიკაციაზე. ჩვენი რესპონდენტების ნაწილმა აღიარა, რომ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია ამ პროგრამის შესაძლებლობების შესახებ, რაც მათ ამ მიმართულებით საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიღმა აქცევდა.

აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ

აკადემიური კეთილსინდისიერება აკადემიური სივრცის ერთ-ერთი გამაერთიანებელი, ფუნდამენტური ღირებულებაა. შესაბამისად, კვლევაში რესპონდენტების მიერ გამოთქმულ მსჯელობას ფონად გასდევდა იდეა, რომ პლაგიატი „როგორც ამ პრინციპების დარღვევის გამოვლინება“, ზოგადად, მიუღებელია აკადემიურ სივრცეში.

ამ ზოგადი იდეის კონტექსტში რესპონდენტებმა იმსჯელეს ისეთი სიტუაციების გამომწვევ მიზეზებზე, როდესაც აკადემიურ პერსონალს უწევს პლაგიატზე თვალის დახუჭვა ან თვლის, რომ პლაგიატთან ბრძოლის ინდივიდუალური ან ორგანიზაციული სტრატეგიები საკმარისად ეფექტური არ აღმოჩნდა. კრიტიკული თვითრეფლექსიის შედეგად გამოთქმული ეს მოსაზრებები ნაშრომში ბანდურას ე. წ. მორალური გამოთიშვის რვა მექანიზმის მიხედვით არის დალაგებული (იხ. ცხრილი 24).

უკვე ჩატარებული კვლევები, რომლებიც ბანდურას თეორიის მიხედვით ცდილობს ახსნას პლაგიატის მიმართ დამოკიდებულება, სტუდენტების მაგალითს შეისწავლის (Marat, Prameswari, and Ardhinindya 2015). ლიტერატურაში არსებობდა ერთგვარი სიცარიელე აკადემიურ პერსონალში პლაგიატთან დაკავშირებული მორალური დილემების შესწავლის კუთხით. მოცემული კვლევა ამ დანაკლისის შევსების

მცდელობას წარმოადგენს. კვლევის დასკვნები მიანიშნებს, რომ მორალური გამოთიშვის მექანიზმები შეიძლება განსხვავებულად მოქმედებდეს ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, სადაც სისტემური არაეფექტურობა და ისტორიული მემკვიდრეობა ხელს უშლის აკადემიური კეთილსინდისიერებისადმი უფრო მეტად გამყარებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. აღნიშნული განავრცობს ბანდურას თეორიას იმის ილუსტრირებით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მორალური გამოთიშვის ძირითადი მექანიზმები გამოიყენება უნივერსალურად, მათი გამოხატულება და ინტენსივობა შეიძლება ჩამოყალიბდეს კონკრეტული კულტურული და ინსტიტუციური ფაქტორებით.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს ის, რომ პლაგიატის გამოვლინებების მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება და პლაგიატის შემთხვევების ახსნის არგუმენტაცია მრავალფეროვანია. მიუხედავად იმისა, რომ მორალური გამოთიშვის მექანიზმების მიხედვით აკადემიური პერსონალის ნარატივების კლასიფიკაცია ერთგვარად პირობითია და საკითხის რეპრეზენტაციის მხოლოდ ერთ სპეციფიკურ რაკურსს გვთავაზობს, ის პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებების კომპლექსურობას წარმოაჩენს და სცდება აქამდე დამკვიდრებულ ჩარჩოებს, რომელიც ამ საკითხს განიხილავს.

ერთი მხრივ, კვლევის შედეგები თანხვედრაშია სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ დომინანტურ დისკურსთან, სადაც პლაგიატი საქართველოში „საბჭოთა წარსულის“ თანმდევ სენად ან პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის ხარვეზების შედეგად წარმოგვიდგება (ბაქრაძე et al. 2016; Tsertsvadze and Khurtsia 2020) – მსჯელობაში რესპონდენტები მიმართავენ საკუთარი აგენტობის მინიმიზაციის სტრატეგიას – პასუხისმგებლობის დიფუზიას, სადაც პლაგიატზე თვალის დახუჭვა უფრო საყოველთაოდ გავრცელებულ ნორმას წარმოადგენს, ვიდრე ამ ნორმიდან გადახვევას. რესპონდენტების მსჯელობაში ასევე ხშირია კოგნიტიური რეკონსტრუქციის ისეთი მექანიზმების გამოყენება, სადაც პლაგიატის გამოვლინება კონტექსტით განპირობებულ „ლოგიკურ“ ან „გარდაუვალ“ შედეგად არის მიჩნეული.

თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტების მსჯელობაში გვხვდება კოგნიტიური რეკონსტრუქციის ისეთი შემთხვევებიც, სადაც პლაგიატზე თვალის დახუჭვა „გაუგებრობის“ ან მეტიც, „კეთილი განზრახვის“ შედეგია.

მორალური გამოთიშვის მექანიზმების ამ სიმრავლეში ძალიან ხშირად ცენტრალურ ობიექტად უნივერსიტეტი გვევლინება, რომელიც ამ ნარატივებში სხვადასხვა რაკურსით არის წარმოდგენილი. ზოგიერთ მექანიზმში იგი წარმოგვიდგება როგორც პლაგიატის განმაპირობებელი „კონტექსტური ფაქტორი“, „პლაგიატის მსხვერპლი“ ან „ძირითადი დამნაშავე“. უნივერსიტეტის ეს მრავალფეროვანი რეპრეზენტაციები პლაგიატთან ბრძოლის კონტექსტში უნივერსიტეტის ორგანიზაციული და კონტექსტური გამოწვევების, ისევე, როგორც პოტენციალისა და წარმატებების უკეთ დანახვაში გვეხმარება.

ამ მხრივ ჩვენი კვლევის შედეგები გარკვეულწილად ეხმიანება ქეთი ცოტნიაშვილის (2023) სადისერტაციო ნაშრომს აკადემიური იდენტობების ტრანსფორმაციის შესახებ საქართველოში, სადაც ხაზგასმულია დომინანტური დისკურსის საპირწონედ ლოკალური ნარატივების მრავალფეროვნების წარმოჩენის მნიშვნელობა.

ჩვენი კვლევის შედეგები ქეთი ცოტნიაშვილის ნაშრომში წარმოდგენილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებასაც ეხმიანება – პლაგიატთან ბრძოლის საუნივერსიტეტო გამოცდილების მაგალითზე ჩვენი რესპონდენტების მსჯელობა აჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს პრაქტიკაში მექანიზმი, რომელსაც ავტორი „გაორებას“ (duplicity) უწოდებს (Tsozniashvili 2023). კერძოდ, რესპონდენტების მონათხრობში ჩანს, რომ უნივერსიტეტის შიგნით წარმატებით თანაარსებობს პლაგიატთან ბრძოლის განსხვავებული და, ზოგჯერ, წინააღმდეგობრივი ხედვები, პრაქტიკა და მიზნები, პლაგიატთან მიმართებით (როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ) მოქმედებს სხვადასხვაგვარი სტანდარტები, პლაგიატთან ბრძოლის ინტენციები, პრაქტიკა და ფორმალური (გაცხადებული) პოლიტიკა ხშირად არ არის თანხვედრაში. უნივერსიტეტი იღებს ავტორიზაციას იმ შემთხვევაში, როცა არსებითად არ აკმაყოფილებს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და

მიდგომები ხისტად უცვლელი რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა უნივერსიტეტში უკეთესი იდეები და პრაქტიკა არსებობს.

კვლევის საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის, რომ რესპონდენტების უმრავლესობა მსჯელობაში მორალური გამოთიშვის ერთდროულად რამდენიმე მექანიზმს მიმართავს. ეს მიგნება აჩვენებს, რომ პლაგიატთან ბრძოლის ინდივიდუალური პოზიციის ფორმირებაში ერთდროულად ბევრ ფაქტორს შეაქვს წვლილი.

მიუხედავად იმისა, რომ მორალური გამოთიშვის ძირითადი მექანიზმები უნივერსალურია, ისინი განსხვავებულად ვლინდება რესპონდენტების სხვადასხვა ჯგუფის თხრობაში, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს დარგის სპეციფიკა, სწავლების საფეხური, აკადემიური პერსონალის დატვირთვა, უნივერსიტეტის მუშაობის გამოცდილება, საზღვარგარეთ სწავლისა და მუშაობის გამოცდილება, ტექნოლოგიების გამოყენებისადმი მზაობა და ინტერესი, ზოგადი კმაყოფილება უნივერსიტეტში მუშაობით და თავად ტექნოლოგიების გამოყენებით კმაყოფილება. ეს მიგნებები პლაგიატთან ბრძოლის საუნივერსიტეტო სტრატეგიების დივერსიფიკაციის აუცილებლობაზე და ინდივიდუალური აქტორების სპეციფიკურ მოლოდინებზე მორგების საჭიროებაზე მიუთითებს.

ცხრილი 23. თვისებრივი კვლევის შედეგები ბანდურას მორალური გაუცხოების მექანიზმების კრილში

ჯგუფი	მექანიზმი	მაგალითი
კოგნიტიური რეკონსტრუქცია - ქცევის წარმოჩენა პოზიტიურ კრილში	მორალური გამართლება	<ul style="list-style-type: none"> - პლაგიატზე თვალის დახუჭვა, როგორც სტუდენტების სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვის ფორმა; - სანქციების ნაცვლად ინფორმირება - როგორც ზოგადი განათლების ხარვეზების კომპენსირების მექანიზმი; - პლაგიატზე თვალის დახუჭვა, როგორც სტუდენტების კარიერული მიზნების მიღწევაში დახმარება.
	ხელსაყრელი შედარება	- ინდივიდუალური შემთხვევების შეპირისპირება (სხვა პროფესორთან უფრო მძიმე მდგომარეობა);

		<ul style="list-style-type: none"> - დარგების სპეციფიკის შეპირისპირება (პლაგიატი უფრო გავრცელებულია ჰუმანიტარულ დარგებში, ვიდრე ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულებით); - საფეხურების სპეციფიკის შეპირისპირება (მაგისტრატურაშიც იგივე ხდება, ბაკალავრიატი რა გასაკვირია).
	ვეფემისტური ნიშანი	<ul style="list-style-type: none"> - პლაგიატი, როგორც ტექნიკური პრობლემა (ტერმინების აღრევა, პლაგიატის არსის ბუნდოვანება); - პლაგიატი, როგორც სწავლის შესაძლებლობა.
საკუთარი აგენტობის მინიმიზაცია გამოწვეულ ზიანში	პასუხისმგებლობის დიფუზია	<ul style="list-style-type: none"> - საბჭოთა წარსული; - ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე პლაგიატის კუთხით არსებული კრიტიკული მდგომარეობა.
	პასუხისმგებლობის გადატანა	<ul style="list-style-type: none"> - უნივერსიტეტის პოლიტიკის კონსისტენტურობის ხარვეზები; - ინფორმაციის გავრცელების და კომუნიკაციის პრობლემა; ახლად შემოერთებული აკადემიური პერსონალი; - მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღმა; - ტექნიკური მხარდაჭერის/გადამზადების პროგრამების ხარისხის და ხელმისაწვდომობის პრობლემა; - პროფესორის და ადმინისტრაციის როლების დისბალანსი; - სტანდარტების არარსებობა შეფასების საკითხებში; - აკადემიურ ნაშრომებში პლაგიატის აღმოჩენის პროცედურების სრულყოფის აუცილებლობა; - აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა და გაწეული შრომის ანაზღაურება; - სიერცის არარსებობა ალტერნატიული სტრატეგიების განხილვისთვის
ქცევით გამოწვეული შედეგების უგულებელყოფა	შედეგების იგნორირება	<ul style="list-style-type: none"> - არავინ ზარალდება, რადგან პლაგიატის დადგენა ისედაც შესაძლებელია (პროგრამის გარეშე); - არავინ ზარალდება, რადგან კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის საჭირო პროგრამის გამოყენება.

ქვევის მსხვერპლთან დაკავშირება	დეჰუმანიზაცია	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტი, რომელიც საკუთარ შეცდომებზე მაინც ვერ ისწავლის; - პირველწყაროს ავტორი, როგორც აბსტრაქტული ფენომენი; - უნივერსიტეტი, რომელიც აკადემიურ პერსონალზე არ ზრუნავს.
	ბრალის ატრიბუცია	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამა თავად შეიცავს ხარვეზებს; - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წესები ხისტია და არარელევანტური.

მიმართებები პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებასა და ტექნოლოგიების გამოყენებას შორის

კვლევა აჩვენებს ტენდენციას, რომ მორალური გამოთიშვის მაჩვენებლები უარყოფითად არის დაკავშირებული ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებლებთან. რაოდენობრივ კომპონენტში, მორალური გამოთიშვის მექანიზმების საილუსტრაციოდ მოცემულ თითქმის ყველა დებულებასთან მიმართებით თანხმობის მაჩვენებელი უფრო დაბალია იმ რესპონდენტებში, რომლებიც უფრო სრულყოფილად ფლობენ და სისტემურად იყენებენ ტექნოლოგიებს პლაგიატთან ბრძოლის პროცესში. კვლევის ეს მიგნება, თვისებრივ მონაცემებთან კომბინაციაში, პლაგიატთან ბრძოლის ტექნოლოგიების გამოყენებასა და პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებას შორის ორმხრივ ურთიერთკავშირზე მიუთითებს. უნივერსიტეტის დონეზე პლაგიატთან ბრძოლის ხელშემწყობი პოლიტიკის კონტექსტში ის მიგვანიშნებს კომპლექსური ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობაზე, რომელიც ერთდროულად იქნება მიმართული როგორც დამოკიდებულების ცვლილებაზე, ისე ტექნოლოგიების ათვისებაზე.

ამასთანავე, ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებლების შედარებით დაბალი ახსნითი პოტენციალი რაოდენობრივ მოდელებში მიგვანიშნებს, რომ ტექნოლოგიების ცოდნის გარდა, პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებაზე და მასთან ბრძოლის პრაქტიკაზე ბევრი

სხვა ფაქტორიც მოქმედებს. ტექნოლოგიების ცოდნა ყოველთვის არ არის მათი პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების გარანტია. ისევე, როგორც პლაგიატთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიები არ შემოიფარგლება მხოლოდ პლაგიატის საწინააღმდეგო ტექნოლოგიების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ღია იყოს პლაგიატთან ბრძოლის მიმდინარე სტრატეგიის კრიტიკისა თუ ალტერნატიული იდეებისადმი, რომლებიც უნივერსიტეტში პლაგიატთან ბრძოლის სტრატეგიების გაუმჯობესებას უკავშირდება.

დასკვნა და რეკომენდაციები

საკვლევ საკითხებთან მიმართებით მოცემული კვლევა რამდენიმე მნიშვნელოვან მიგნებას წარმოაჩენს:

- საქართველოს ორ საჯარო, მულტიპროფილურ უნივერსიტეტში პლაგიატთან ბრძოლის ფორმალური გარე და შიდა მექანიზმების არსებობის მიუხედავად, პლაგიატის შემთხვევების მასშტაბის აღქმა ძალიან მაღალია. თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული პროფესორი აღნიშნავს, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად ხვდება პლაგიატის შემთხვევებს საუნივერსიტეტო სივრცეში;
- კვლევაში ჩართული რესპონდენტები ერთხმად მიიჩნევენ, რომ პლაგიატი, როგორც აკადემიური კეთილსინდისიერების ფუნდამენტური პრინციპის დარღვევის გამოვლინება, ზოგადად, მიუღებელია აკადემიურ სივრცეში. თუმცა ამ ფონზე ყოველი მეხუთე გამოკითხული პროფესორი, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, სტუდენტებში პლაგიატის შემთხვევებს დასაშვებად მიიჩნევს;
- მიუხედავად ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამების გამოყენების ათწლიანი გამოცდილებისა, ამ ტექნოლოგიის პოტენციალის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით საუნივერსიტეტო სივრცეში ისევ მნიშვნელოვანი გამოწვევებია. გამოკითხული რესპონდენტების 90% მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროგრამის გამოყენებას პლაგიატთან ბრძოლის მიზნებისთვის, თუმცა 50% მას პრაქტიკაში საერთოდ არ იყენებს. ტექნოლოგიების გამოყენების სკალაზე ამ

პროგრამის გამოყენების თვალსაზრისით შედარებით დაწინაურებულ, ინტეგრაციის ფაზაზე რესპონდენტების მეხუთედზე ნაკლები იმყოფება;

- რესპონდენტების მსჯელობა პროგრამის Turnitin დანერგვის კუთხით საუნივერსიტეტო პოლიტიკის ხარვეზებს სულ მცირე სამი მიმართულებით წარმოაჩენს, ესენია: ა) უნივერსიტეტების პოლიტიკა საკმარისად ეფექტური არ არის ამ კონკრეტული ინსტრუმენტის დანერგვის მხარდაჭერის კუთხით; ბ) უნივერსიტეტებში არ არსებობს საკმარისი „სივრცე“ გამოცდილების გაზიარებისთვის, ამ ტექნოლოგიის შეზღუდვების/ხარვეზების ღიად განხილვისთვის, ისევე, როგორც ალტერნატივების შეთავაზებისა და მოსინჯვისთვის; გ) ინსტრუმენტის დანერგვის პოლიტიკა კარგად არ არის სინქრონიზებული პლაგიატთან ბრძოლის ზოგად საუნივერსიტეტო პოლიტიკასთან;
- მორალური გამოთიშვის მექანიზმებს შორის ყველაზე ხშირია ე. წ. ხელსაყრელი შედარების სტრატეგიის გამოყენება, სადაც საკუთარი ქმედების სიმძიმის შესამსუბუქებლად აკადემიური პერსონალი პლაგიატის სხვა, უფრო მწვავე შემთხვევაზე რეფერირებას მიმართავს;
- რესპონდენტების ნარატივებში ასევე ხშირია პასუხისმგებლობის გადატანისა და დიფუზიის მექანიზმები, სადაც ამ ქმედების განმაპირობებელ ფაქტორად ან მთავარ დამნაშავედ თავად უნივერსიტეტი და მისი პოლიტიკა გვევლინება. ეს ნარატივები პლაგიატთან ბრძოლის მრავალ სისტემურ ხარვეზზე მიგვითითებს, როგორცაა: საინფორმაციო და ტექნიკური დახმარების პროგრამების დახვეწის საჭიროება, დიფერენცირებული მიდგომების ნაკლებობა, სტანდარტების ბუნდოვანება, აკადემიური პერსონალის დატვირთვის რეგულირების პრობლემები;
- მორალური გამოთიშვის მაჩვენებელი უარყოფითად არის დაკავშირებული ტექნოლოგიების ათვისების ხარისხთან – ის უფრო დაბალია იმ რესპონდენტებში,

რომლებიც უფრო სრულყოფილად ფლობენ და სისტემურად იყენებენ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში. კვლევის ეს მიგნება პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებასა და მასთან ბრძოლის ტექნოლოგიების ინტეგრაციისკენ მიმართული ინტერვენციების შეთანხმებულად, ერთმანეთის პარალელურად განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს;

- ამასთანავე, ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებლების შედარებით დაბალი ახსნითი პოტენციალი მიგვანიშნებს, რომ ტექნოლოგიების ცოდნა ყოველთვის არ არის მათი პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების გარანტია. ისევე, როგორც პლაგიატთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიები არ შემოიფარგლება მხოლოდ პლაგიატის საწინააღმდეგო ტექნოლოგიების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ღია იყოს პლაგიატთან ბრძოლის მიმდინარე სტრატეგიის კრიტიკისა თუ ალტერნატიული იდეებისადმი, რომლებიც უნივერსიტეტში პლაგიატთან ბრძოლის სტრატეგიების გაუმჯობესებას უკავშირდება.

პლაგიატის თემა საკმაოდ სენსიტიურია და ხშირად ინდივიდები და ორგანიზაციები გაურბიან მასზე ღიად საუბარს. ამას მოწმობს ისიც, რომ ჩვენს კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა ერთ-ერთმა კერძო უნივერსიტეტმა. ოფიციალური მიზეზი არ დასახელებულა, თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ჰქონდა ვარაუდი, რომ კვლევაში მონაწილეობაც კი შეიძლება ყოფილიყო რეპუტაციული ზიანის მიმყენებელი. იყო შემთხვევები, როდესაც კვლევაში ჩართული სამიზნე უნივერსიტეტების წარმომადგენლები უარს ამბობდნენ ინტერვიუზე (ან საერთოდ უპასუხოდ ტოვებდნენ ელექტრონულ ფოსტაზე მისულ შეტყობინებებს).

ამ კონტექსტში ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ღირებულებაა ის, რომ უნივერსიტეტებისთვის სენსიტიურ საკითხზე ღია მსჯელობის ინიცირების მცდელობას წარმოადგენს და მის მიგნებებს კონკრეტული თეორიებისა და პრაქტიკული იმპლიკაციების ჭრილში განიხილავს.

პლაგიატთან ბრძოლის საუნივერსიტეტო პროცესის მორალური გამოთიშვის

მექანიზმებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ფაზების ჭრილში გააზრება მნიშვნელოვან ახალ ცოდნას ქმნის იმ მიმართულებით, თუ როგორ ახდენს აკადემიური პერსონალი პლაგიატისა და მასთან ბრძოლის ფორმალური მექანიზმებისადმი დამოკიდებულების რაციონალიზაციას. ეს ცოდნა საშუალებას აძლევს აკადემიურ საზოგადოებას, ახალი კვლევები დაგეგმოს ტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებული ორგანიზაციული ცვლილებების შესასწავლად; ასევე კეთილსინდისიერების კულტურის გასაძლიერებლად შეიმუშაოს კონტექსტზე მორგებული რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო მიზნებისთვის ტექნოლოგიების გამოყენების ჭრილში მომავალი კვლევებისთვის ძალიან აქტუალურ და საინტერესო საკითხს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ანალიზი სწავლებასა და კვლევაში. ასევე საინტერესო იქნებოდა ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის (ან სხვა, მაგ., ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მიერ გენერირებული ტექსტის აღმომჩენი პროგრამის) გამოყენების შესწავლა ტექნოლოგიების მიმღებლობის მოდელის (Technology Acceptance Model) ჭრილში. ეს რაკურსი შესაძლებლობას შექმნიდა თავად ტექნოლოგიების ეფექტიანობის უფრო დეტალურად შესწავლისთვის.

აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ სამომავლო კვლევებში სასურველი იქნებოდა პლაგიატთან ბრძოლის სპეციფიკის შესწავლა სხვადასხვა ლოკალურ კონტექსტში (მაგალითად, კვლევა შესაძლოა მოიცავდეს პლაგიატის პრევენციების მექანიზმების ანალიზს განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ გარემოში, როგორცაა, შედარება განვითარებულ და განვითარებად პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის; ასევე შეიძლება ფოკუსირდეს ინსტიტუციური მხარდაჭერისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დანერგვის პრაქტიკულ გამოწვევებზე რეგიონულ დონეზე).

მოცემული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პლაგიატის გამოვლინებების მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებები და პლაგიატის შემთხვევების ახსნის არგუმენტაცია გაცილებით უფრო ფართოა (მაგალითად, ტექნოლოგიური პროგრესი, განათლების განმავითარებელი როლი, პლაგიატის პრევენციის ალტერნატიული

მეთოდები და სხვ.), ვიდრე ამას საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დომინანტური დისკურსი გვთავაზობს, სადაც პლაგიატი, ძირითადად, პოსტსაბჭოთა კონტექსტის თანმდევ სენად გვევლინება.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში პლაგიატის საკითხის კვლევა გამოვიდეს ამ ტრადიციული ჩარჩოებიდან; გაფართოვდეს თეორიული მიდგომები და მეთოდოლოგია და უფრო ხშირი გახდეს თვისებრივი კვლევები, რომლებიც პლაგიატის საკითხს განსხვავებული ჯგუფებისა და ორგანიზაციების თვალთახედვით, მრავალფეროვანი კონცეპტუალური ჩარჩოებისა და კვლევითი ფილოსოფიის ფარგლებში განიხილავს.

მოცემული კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოვიყენოთ პრაქტიკული მიზნით – პოლიტიკის კონტექსტში რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად, კერძოდ, უნივერსიტეტებს შეუძლიათ აღნიშნულის გათვალისწინებით გააუმჯობესონ პლაგიატის პრევენციის არსებული პრაქტიკა.

რეკომენდაციები უნივერსიტეტებს:

- **ტრენინგი და მხარდაჭერა:** ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამის შესახებ სასწავლო მოდული სწავლებაში ჩართულ პერსონალს დაეხმარება ტექნიკური უნარების განვითარებაში, რომელიც საჭიროა პლაგიატის პრევენციისთვის. ეს ტრენინგები შეიძლება მოიცავდეს როგორც შესავალ, ისე მაღალ დონეებს, რათა ხელი შეუწყოს ინსტრუმენტების გაცნობისა და გამოყენების სხვადასხვა დონეს. სემინარები შეიძლება მოიცავდეს საუკეთესო პრაქტიკის შესახებ დისკუსიებს, რაც დაეხმარება აკადემიურ პერსონალს სწავლების პროცესში კეთილსინდისიერებისადმი პოზიტიური, პრევენციაზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული ტრენინგები და სასწავლო მოდულები იყოს მრავალფეროვანი ფორმატის, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური;
- **ტექნოლოგიის სისტემატური დანერგვა:** აუცილებელია ტექნოლოგიის დანერგვის სტრუქტურირებული მიდგომა, რათა აკადემიურმა პერსონალმა სრულად და

ეფექტურად გამოიყენოს პლაგიატის აღმომჩენი ინსტრუმენტები. უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ რეგულარული პრაქტიკული სესიები, მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერა და დეტალური ინსტრუქციების არსებობა. უნივერსიტეტები შეიძლება დაფიქრდნენ გარკვეულ სასწავლო კურსებში სავალდებულო წესით კონკრეტული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, როგორც ეს არის საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში;

- **აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის რეგულირება:** უნივერსიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ სამუშაო დატვირთვის მნიშვნელოვანი გავლენა სწავლებაში ჩართული პირების შესაძლებლობაზე, თანმიმდევრულად იმუშაონ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. სასწავლო საათები, ადმინისტრაციული მოვალეობები და კვლევის ვალდებულება ხშირად ხელს უშლის აკადემიურ პერსონალს, დრო დაუთმოს პლაგიატის პრევენციის საკითხს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარიერის ადრეულ საფეხურზე მყოფი პირებისთვის, ვისაც დიდი ჯგუფების გათვალისწინებით ბევრ სტუდენტთან უწყევს მუშაობა;
- **თანაბარი მიდგომები პროფესორებსა და მოწვეული პერსონალის მიმართ:** უნივერსიტეტებმა უნდა დანერგონ პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, შემუშავებული წესების შესრულება და მექანიზმების გამოყენება თანაბრად სავალდებულო იქნება სწავლებაში ჩართული ყველა პირისთვის. ეს ხელს შეუწყობს აკადემიურ პერსონალში თანმიმდევრული ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარებას, რათა შეიქმნას სამართლიანი აკადემიური კულტურა. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა არა მხოლოდ აძლიერებს ინსტიტუციურ ღირებულებებს, არამედ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა თანამშრომლობის კულტურას;
- **საუკეთესო პრაქტიკის ფართო აუდიტორიისთვის გაზიარება:** უნივერსიტეტებმა უნდა გამოავლინონ და გამოკვეთონ საუკეთესო პრაქტიკა, რომლებიც წარმოაჩენს ეფექტურ სტრატეგიებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის

მიმართულებით. ამ მაგალითების გაზიარებით, უნივერსიტეტს შეუძლია ხელი შეუწყოს პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ეს შეიძლება მოიცავდეს აკადემიური პერსონალის სამაგალითო მიდგომების ჩვენებას ან ტექსტებს შორის მსგავსების დამდგენი პროგრამის სასწავლო კურსებში წარმატებული ინტეგრაციის მაგალითებს.

- **პლაგიატის პრევენციის ალტერნატიული მიდგომების დადგენა:** უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის გაძლიერებისთვის აუცილებელია პლაგიატის გამოვლენის სტანდარტული ინსტრუმენტების მიღმა ისეთი ალტერნატიული პრევენციული მეთოდების იდენტიფიცირება, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება ამავე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ.

ბიბლიოგრაფია

- Abbasi, Parvin, Javad Yoosefi-Lebni, Amir Jalali, Arash Ziapour, and Parichehr Nouri. 2021. "Causes of the Plagiarism: A Grounded Theory Study." *Nursing Ethics* 28 (2): 282–96. <https://doi.org/10.1177/0969733020945753>.
- Adam, Lee, Carol Bond, and Ari Samaranayaka. 2014. "‘The Score Doesn’t Mean Much’: Students’ and Staff Understandings of Text Matching Software." *Rhetoric and Reality: Critical Perspectives on Educational Technology*, 399–403.
- Ahmed, Khawlah. 2020. "Academic Integrity: Challenges and Strategies for Asia and the Middle East." *Accountability in Research* 27 (5): 256–70. <https://doi.org/10.1080/08989621.2019.1646646>.
- Akbar, Akbar. 2018a. "Defining Plagiarism: A Literature Review." *Ethical Lingua: Journal of Language Teaching and Literature* 5 (1): 31–38. <https://doi.org/10.30605/ethicallingua.v5i1.750>.
- . 2018b. "Defining Plagiarism: A Literature Review." *Ethical Lingua: Journal of Language Teaching and Literature* 5 (1): 31–38. <https://doi.org/10.30605/ethicallingua.v5i1.750>.
- Ali, Holi Ibrahim Holi. 2013. "Minimizing Cyber-Plagiarism through Turnitin: Faculty’s & Students’ Perspectives." *International Journal of Applied Linguistics and English Literature* 2 (2): 33–42. <https://doi.org/10.7575/aiac.ijalel.v.2n.2p.33>.
- Alice Schmidt Hanbidge, Amanda McKenzie, Kyle W. Scholz, and Tony Tin. 2020. "Academic Integrity in the Digital Era: Student Skills for Success Using Mobile Technology." In *Emerging Technologies and Pedagogies in the Curriculum Bridging Human and Machine: Future Education with Intelligence*, 335–55. <http://www.springer.com/series/16427>.
- AL-Shibli, Sulaiman Said, Ahmad Abu Shakra, and Dr. M. Firdouse Rahman Khan. 2018. "PERCEPTION OF ACADEMIC STAFF OVER THEIR CAREER DUE TO TECHNOLOGY IMPLEMENTATION AT SOHAR UNIVERSITY." *International Journal of Management, Innovation & Entrepreneurial Research* 4 (1): 16–24. <https://doi.org/10.18510/ijmier.2018.414>.

- Alua, Mary Ann, Nasir Koranteng Asiedu, and Deborah Mwintierong Bumbie-Chi. 2023. "Students' Perception on Plagiarism and Usage of Turnitin Anti-Plagiarism Software: The Role of the Library." *Journal of Library Administration* 63 (1): 119–36. <https://doi.org/10.1080/01930826.2022.2146445>.
- Anderson, William F. 1957. "ATTITUDES OF UNIVERSITY STUDENTS TOWARD CHEATING." <https://about.jstor.org/terms>.
- Arabyat, Rasha M., Bashar R. Qawasmeh, Sayer I. Al-Azzam, Mohammad B. Nusair, and Karem H. Alzoubi. 2022. "Faculty Members' Perceptions and Attitudes Towards Anti-Plagiarism Detection Tools: Applying the Theory of Planned Behavior." *Journal of Empirical Research on Human Research Ethics* 17 (3): 275–83. <https://doi.org/10.1177/15562646221078655>.
- Ariel Antares, By. 2022. "HOW WRITING INSTRUCTORS USE PLAGIARISM DETECTION SOFTWARE TO SUPPORT TEACHING AND LEARNING."
- Armenakis, Achilles A, and Arthur G Bedeian. 1999. "Organizational Change: A Review of Theory and Research in the 1990s."
- Aurich, David Matthew. 2012. "ACADEMIC INTEGRITY, ACADEMIC SABOTAGE, AND MORAL DISENGAGEMENT IN HIGHER EDUCATION."
- Baker, Russell K, and Michael Adams. 2008. "An Evaluation Of The Effectiveness Of Turnitin.Com As A Tool For Reducing Plagiarism In Graduate Student Term Papers." <http://www.turnitin.com/static/plagiarism.html>.
- Bandura, Albert. 1990. "Selective Activation and Disengagement of Moral." *Journal of Social Issues* 46 (1): 27–46.
- Barsky, Adam. 2011. "Investigating the Effects of Moral Disengagement and Participation on Unethical Work Behavior." *Journal of Business Ethics* 104 (1): 59–75. <https://doi.org/10.1007/s10551-011-0889-7>.
- Bašić, Željana, Ivana Kružić, Ivan Jerković, Ivan Buljan, and Ana Marušić. 2019. "Attitudes and Knowledge About Plagiarism Among University Students: Cross-Sectional Survey at the University of Split, Croatia." *Science and Engineering Ethics* 25 (5): 1467–83. <https://doi.org/10.1007/s11948-018-0073-x>.

- Batane, Tshepo. 2010. "International Forum of Educational Technology & Society Turning to Turnitin to Fight Plagiarism among University Students." *Source: Journal of Educational Technology & Society* 13 (2): 1–12. <https://doi.org/10.2307/jeductechsoci.13.2.1>.
- Bembenutty, Héfer. 2023. "Influential Role of Self-Regulated Learning in Preventing Moral Disengagement." *Theory into Practice* 62 (3): 318–29. <https://doi.org/10.1080/00405841.2023.2226550>.
- Bennett, Kymberley K., Linda S. Behrendt, and Jennifer L. Boothby. 2011. "Instructor Perceptions of Plagiarism: Are We Finding Common Ground?" *Teaching of Psychology* 38 (1): 29–35. <https://doi.org/10.1177/0098628310390851>.
- Biliae-Zulle, Lidija, Vedran Frkovic, Tamara Turk, Josip Aaman, and Mladen Petroveèki. 2005. "Prevalence of Plagiarism among Medical Students." *Croat Med J* 46 (1): 126–31. www.cmj.hr.
- Bissessar, Charmaine. 2023. "To Use or Not to Use ChatGPT and Assistive Artificial Intelligence Tools in Higher Education Institutions? The Modern-Day Conundrum – Students' and Faculty's Perspectives." *Equity in Education & Society*, November. <https://doi.org/10.1177/27526461231215083>.
- Braun, Virginia, and Victoria Clarke. 2006. "Using Thematic Analysis in Psychology." *Qualitative Research in Psychology* 3 (2): 77–101. <https://doi.org/10.1191/1478088706qp063oa>.
- Bretag, Tracey. 2013. "Challenges in Addressing Plagiarism in Education." *PLoS Medicine* 10 (12): 1–4. <https://doi.org/10.1371/journal.pmed.1001574>.
- Bretag, Tracey, Rowena Harper, Michael Burton, Cath Ellis, Philip Newton, Karen van Haeringen, Sonia Saddiqui, and Pearl Rozenberg. 2019. "Contract Cheating and Assessment Design: Exploring the Relationship." *Assessment and Evaluation in Higher Education* 44 (5): 676–91. <https://doi.org/10.1080/02602938.2018.1527892>.
